



ლავლაკეთი

მოწყალების კარი განვიღე, კურთხეულო ღვთისშობელო, რათა  
რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღ-  
მდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრის-  
ტიანეთასა ამინ.

### სადიდებელი ღვთისა

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღვადგინე დაცემულნი და  
კვლავ მოვვანიჭე მადლი შენი; მოვვადლე განცდა თვისთა ცოდვათა  
და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოვვაც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთ-  
გულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის  
სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე,  
ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყვნელი, რათა ვინაროთ ორ-  
სავე სოფელსა შინა.

. . . და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვარ-  
თა შინა სრულისა საქართველო(ვ)სათა წინაშე მისსა ლიტანიო-  
ბითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა,  
რომელსა სასოებდა დედა(ვ)ჩემი გამოუთქმელითა სარწმუნოებითა  
და სამარადისო(ვ)თა წინაშემდგომარეობითა და დაუდუმებელითა  
კითხვითა წმინდისა სახარებისა(ვ)თა, ფსალმუნებითა და ლოცვითა,  
რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრები-  
სა ჩემისა.

# ლაკლაკეთი

№1  
2013

სალიტერატურო - სამხატვრო, სამუცნიერო - პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი **შალვა ველიაძე**

მთავარი რედაქტორის თანაშემწერი **ნაზი ველიაძე**

აღმასრულებელი რედაქტორი **გურამ თურმანიძე**

სარედაქციო კოლეგის თავმჯდომარე **ემერ დავითაძე**

სარედაქციო კოლეგია: დავით ბერიძე, მალხაზ ბერიძე, ჯემალ ბერიძე, ლამარა ბალანჩივაძე, ოთარ ბოლქვაძე, ოთარ გოგოლიშვილი, გული გაბაძე, მურმან დავითაძე, ვაჟა დავითაძე, მიხეილ დავითაძე, გურამ ველიაძე, ზვიად ველიაძე, ერასტი ველიაძე, მაგდა ველიაძე, გივი თურმანიძე, თემურ თურმანიძე, ოთარ თურმანიძე, ნუგზარ ზოსიძე, ავთანდილ მესხიძე, გიორგი რომანაძე, გიორგი სარაჯიშვილი, გიორგი სალუქვაძე, სერგო სამნიძე, გულნარა სოლომონიძე, ოთარ ფუტკარაძე, ცირა ფუტკარაძე, ვაჟა ფარტენაძე, ინგა ფევაძე, გურამ ჩხატარაშვილი, ოთარ ცინარიძე, სერგი ცენტერაძე, იამზე ცენტერაძე, ნონა წულუკიძე, პაატა ჭურკვეიძე, ვასო ზიმშიაშვილი.

ძვირფასო მკითხველო!

გთხოვთ სათუთად მოეპყრათ და გაუფრთხილდეთ ჟურნალს მასში დაბეჭდილი წატისა და შესაბამისი ტექსტების გამო.

საავტორო უფლებები დაცულია. გამოქვეყნებული წერილების მეცნიერულ და დოკუმენტურ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს, შემოსული წერილები უკან არ უბრუნდებათ. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის დაუკითხავად აკრძალულია.



ՀԿՄՈԱՆԵՐ ՁԵՅՔԱՎԵՆ ՆԱԽԱ  
ՀԱԿԻՆՈՎ ՀԱՄԱՀԱՆ. ՄԱԿԱՎՈՐԱՅ  
ԵՐԱԲ ԱԼՋՈՒ ՄԻՆԵՑԵՑ ՅՈՒԹԵՐ  
ԵՎ ԿԱՐՈ ՇԱՅՄՅԱ ՈՐ ՀԵՐԵՐ ՁԵՒՐ  
ՁՎՅՈՒՄՈՒԿԵՐԻՆ. ԿԱՀՅՈ ՍՃԵՐ,  
ԽՆԵՐՆԵՐ ԿՈՒՀԵԼ ՏՎԵՏՈՎԵԼ ՅՆԻՒՅ  
ՄԿԻՆՈՎ ԲԱՑԿԱԳԵՐՄԵՐ.



ԽՆԵՐ ԿԱՀՅՈ, ՁԵՒՐ  
27 ԶԻԳՐ, 2013 թվ



ՁԵՅՔԱՎԵՆ ՑՅՈՎՈՒՆ ԺԵՐ-ԺԵՐ  
ԱՎԵՐԻԿԱՆ ԿԱՐԵ ԿԱԲՈՎ, ԿԱՎԵՐ-  
"ՀՎԵՐՎՈՐ" ՔԱԽԵՐ. ԱՎԵՐԵՎՅՈ ՑԱ-  
ԽԵՐՆ, ԻՆ ՊՐ ՀԻ ԽՎԵՐՎՈՐ ԿԱԽԵՐԵՐ  
ՎԻ ՇՎԵՐՆ ՀՎԵՐՎՈՐՆ ԽՎԵՐ" ԵՄԵՐ/ՅՈՒ  
ԸՆՎԵՐՆ ԿԱԽԵ ԽՎԵՐՎՈՐԵՐ  
ՌԱՄՎԻՌ ՎԱՐԴԵՐ. ՎԵՐԵՄԵՐՆ ՏԱՐ  
ԵՎՆՅՈՐ ՎԻ-ՆՅՈՐ!

ՏԵՐՄԱՅԱԿ ՀԻՒՐՈ ՀՅՈՒԽԻ  
ՎԱԽԻ ՈՒԽԻՆՎՈՐՆ ԵՎՑԵՐՄԵՐ

~~~~~

ՖՐԵՌ ԸՆՎԵՐ  
ԱՎԵՐԵՎ


21.03.2013 թվ

ՎԻՌՎՈՐՆ ՏՈՂԵՐ!

ԿՈՎԵՐ ԱԼՋՈ ՇԵԿԵՐՈՒ ՏԵԼՈՎՈՒ ԸՎԵՐԵՐ  
ՇՎԵՐՆ, ՇՎԵՐՎՈՎՈՎՈՆ ԸՎԵՐԵՐԵՐԵՐ ԲԱԽԵՐ  
(ԸՎԵՐՆԵՐ ՇՎԵՐՎՈՎՈՎՈ ՑԵՆԵՐՎՈՎՈՆ).


ՇՄՈՐԵՐ "ՀՎԵՐՎՈՐԵՐ" ՎԵԼՈՎՈՎՈ ՎԵԼՎԵԼՎՈՎՈ  
ԽՎԵՐԵՐ ՎԵՐՄԵՐ, ՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐ  
ՎԵՐՎԵՐ ԽՎԵՐՎԵՐՎԵՐ, ՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐ  
և ՎԵՐՎԵՐՎԵՐ ՎԵՐՎԵՐՎԵՐՎԵՐ!

ՖՐԵՌ-  
ՎԵՐՎԵՐ  
09.12.2012 թ:



## ისტორიულ ლომისიანთას ხეობაში მცხოვრები ლაკლაპისძეთა სულიერი საუნჯე

ისტორიის შემოქმედნი ერთეულები არიან, მაგრამ  
ისტორიაში მონაწილეობა ყველა ჩვენგანის ვალია  
აღბერ კამიუსი



ლაკლაპისძების ღვთისმშობლის ჭედური ხატი

მთავარი საზომი უნდა იყოს ქართველი ერის ღირსეული არსებობისთვის.

საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება სამ ძირითად მაგისტრალურ ღერძს ეყრდნობა, როგორც ეს საქართველოს უგვირგვინო მეფემ და უკერთხო პატრიარქება ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) გვიანდერძა: მამული, ენა, სარწმუნოება და დღეს როგორც გვმოძღვრავს ერის სულიერი მამა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ეროვნული იდეით: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ჩვენი მხსნელი, ჩვენი ღვთისმშობლის წილზედრილი საქართველოს გადამრჩენი მაღალი ღმერთია, სანამ ქართველი კაცი მთელი თავისი არსით არ მიეჯაჭვება უფლის მცნებას (ათ მცნებას) ის ვერ იშვება ახალ ბედნიერ ადამიანად, ჩვენ უნდა შევძლოთ სულიერი ფერისცვალება - სულიერი ევოლუცია. ჩვენ უნდა ვიქცეთ კეთილი საქმის შემსრულებლად - სამაგალითო სხვებისთვის.

ადამიანის არსებობის მიზანი - არის ღვთაებრივი ხატის აღდგენა, პიროვნების ამაღლება ღვთაებრივ სრულყოფილებამდე.

ქართველი კაცის უმთავრესი დანიშნულება - მსახურებაა სამშობლოსათვის. ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობა, იღები და მიზნები მიმზიდველი და მისაღები უნდა იყოს საქართველოსთვის.

ეროვნული განახლება, ეროვნული ენერგია მიმართული უნდა იყოს სამშობლოს სასიკუთო საქმისადმი.

თანამედროვე ადამიანი მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების, მოზღვავებული ინფორმაციისა და ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში მცხოვრები მტკიცედ უნდა იცავდეს თავის ჭეშმარიტ მიზნებს, ეროვნულ ინტერესებს, თანაც არა მარტო დღევანდელს, არამედ ისტორიულად ფორმირებულს - წინაპართა ტრადიციებს.



გზის ჩვენებით უნდა შეძლოს უურნალმა სწორ გზას დააყენოს მომავალი თაობა. ახალი თაობის ზნეობრივი აღზრდაა ღირებული ფასეულობა საქართველოსთვის. „ღვთისა და სამშობლოს რწმენით უნდა გაიზარდოს ეროვნული თაობა.“ ჩვენი ენერგია, შემოქმედებითი პოტენციალი მომავალი პიროვნების აღზრდაზე, მის მატულიშვილად ჩამოყალიბებაზე უნდა იყოს მიმართული.



უნდა მიაწოდოს: საფინანსო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებას, პოლიტიკოსებს. მისაღები გეგმები და პროექტები, რჩევები, ქვეყნის მოსახლეობის მთისა და ბარის ფართო საზოგადოების პრობლემატიკური საკითხების კომპლექსურად მოვარების საქმეს უნდა განსაზღვრავდეს.

ბუნების მომაღლებული სიმდიდრით, ეროვნული შემოქმედებითი პოტენციალით, შრომითი რესურსების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გამოყენებით საქართველო ჭეშმარიტად დაიმკვიდრებს ცივილიზებულ სამყაროში ღირსეულ ადგილს.

ძვირფასო მკითხველო, უურნალ „ლაკლაკეთი“-ს სახელწოდებას განსაზღვრავს:

უურნალს „ლაკლაკეთი“ ვუწოდეთ ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატის არსებობის გამო, რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ლაკლაკეთი სოფელია შუახევის მუნიციპალიტეტში. ლაკლაკიძეების ჭედური ხატი კი, XI საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლი, მოოქრული ვერცხლის ხატი (80X64 სმ) შესრულებულია ლაკლაკიძეთა ოჯახის დაკვეთით, ზარზმის მონასტრისთვის, ცენტრში გრავირებული ორნამენტის ფონზე გამოსახულია ღვთისმშობელი და ყრმა იქსო, რომელთა სახეები ფერწერულია. განსაკუთრებით საინტერესოა ფართო ჩარჩოზე (13 სმ) მაღალი რელიეფითა და დიდი პროფესიული ოსტატობით შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი მრავალფიგურიანი კომპოზიციები. XVI საუკუნემდე ინახებოდა ზარზმის მონასტერში,

შემდგომ შემოქმედში. 1924 წ-დან გვ. ქართ. ხელოვნების მუზეუმში. ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

ლაკლაკეთის ღვთისმშობლის ხატის შესახებ გიორგი ჩუბინაშვილის გამოკვლევაში ვკითხულობდა: „ღვთისმშობელი ჩილიით, ხახევარფიგურა, მოოქრული ვერცხლი, ჩარჩო შედგება საღვთო წერილის სცენებისაგან, ჩარჩოს ფერდზე - ძლიერ შემკული ასოებით შესრულებული წარწერაა, რომელიც იხსენიებს ევპრაქსიას, ერისთავთერისთავის მირიანის დედას და ლაკლაკიძეთა გვარის სხვა პირებს, რომლებიც XI ს-ის პირველ მეოთხედში ცხოვრობდნენ. (გ.ჩუბინაშვილი ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა, ალბომი ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა 19-თბილისი - 57, გვ. 21).

საქართველოს ღვაწლმოსილი მამულიშვილი ე.თაყაიშვილი ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატის წარწერის შესახებ გვაძცნობს: ღვთისმშობლის ხატი ოქროსი, ჩვილედი, ნაჭედი, საუკხო ხელობისა. სიმაღლე აქვს 17 1/2 განი 14 1/2 ვერშოკი. ღვთისმშობელი წელს ზევით არის წარმოლენილი სახე მისი და მაცხოვარისა წამლით დახატულია, ძლიერ ლამაზი, მაგრამ დროთა ვითარების გამო დაზიანებული, აშია ბრტყელი აქვს და ზედ გაჭედით წარმოლენილია ძლიერ ხელოვნურად თორმეტი საუფლო და სახარების სცენები, სულ 15 სურათი. აშია და შარავადედები ღვთისმშობლისა და ძისა შემკობილია 32 მომსხო ძვირფასი ქვით. ეზო ხატისა მოჩუქურთმებულია ვაზის მსგავსი ლამაზი ხლართულებით. შარავადედების ზემოთ, მარჯვნივ, ლამაზი ასომთავრულით სწერია: **დედა ჭე** ქვემო აშიაზედ შუაში, სადაც წარმოლენილია იოაკიმე უდაბნოში ანგელოზითურთ, აწერია ასომთავრულით სამსტრიქონად:

ج-ج ج-ج


ხატს და აშიებს შუა ოთხივე მხარეს უკლის ასომთავრული წარწერა იშვიათის სი-  
ლამაზისა. . . . ჩვენ გწამს ( წერს  
ეთაყაიშვილი ) რომ ყოველი წარწერა ც  
სხვების წასაკითხავად არის დაწერ-  
ილი და ოდესმე წაუკითხავი და  
გაუგებარი არაფერი არ დარჩება.  
ზემო და ქვემო სტრიქონები წარწერ-  
ისა ჩვეულებრივია. აქ ყოველ სიტყ-  
ვას ორ-ორი წერტილი უზის და მათი  
წაკითხვა ძნელი არ არის, ხოლო ამ  
სტრიქონებს რამდენიმე ასო აკლია  
ამოტეხილია, მაგრამ აზრით მათი აღ-  
დგენა ადვილია. . . .

ამ წარწერაში პირველისა, მესამისა  
და მეოთხე სტრიქონის კითხვა ჩვენის  
აზრით ეჭვს არ იწვევს. არ შეიძლე-  
ბა ასევე ითქვას მეორე სტრიქონის  
შესახებ, რომ აქაც **ლლკო**, რომელიც  
გამოერებულია მეოთხე სტრიქონში  
უნდა წავიკითხოთ **ლაკლაკოა**, არც  
ამაში გვაქვს ეჭვი, ამას შემდგომ რომ  
გვითხულობთ **კრისთავთ** კრისთავს  
მირიანს, ესეც საჭეშმარიტოდ მიგვაჩ-  
ნია. . .

უქარაგმოდ და შეუმოკლებლიად წარწერა უნდა  
იყითხებოდეს:

- 1 წმიდაო დელიცალო, მეოს ეჟავ წინაშე ძისეა შეენისა  
და ღმისორსა ჩეუნისა ყოველ-
- 2 თა ლაკლაკთა: ერისთავთ ერისთავა მირიანს და ხურ-  
ციქს, ძეთა ხურციკისთა: მირიანს, სახანს, (ანუ  
სკმიონს), ქურდიის (?), ხვ-ს (?). მე გლახა-  
ვან ეპრაქსია, დედამიან ხერციკისა და მირიანისამან,
3. ესტონ ესტონ სალოცველად ყოველთა ლაკლაკთა, ხე-  
კასენებელად სულისა ჩემისა.
4. ეს ხატი ეს სალოცველად ყოველთა ლაკლაკთა, ხე-  
კასენებელად სულისა ჩემისა.

ყველა ამ წარწერაში ჩამოთვლილნი პირნი ლაკლაკისძენი არიან. სერაპიონის ცხოვრებიდან ჩვენ ვიცით, რომ გიორგი ჩორჩანელის დად ლატავრო, რომელსა უკანასკნელ ტეკლა ეწოდა (სერაპ. ზარზ. ცხ. გვ. 40), იყო ცოლი დიდისად მთვარისა მირიანისი, ძისა, ბეშქენ ბაჰლაუნდისა იოანესაი (გვ. 39) ამათ ჰყავდა შვილები: ს უ ღ ა, ბ ე შ ქ ე ნ და ლ ა კ ლ ა კ ი და ერთი ქალიც, რომლის სახელი არ არის მოხსენიებული (გვ. 40 იქვე) გიორგი ჩორჩელმა თავისი მამული, ეკლესია და მონაგები თავის დას გადასცა და მის შვილებს საკუთრებად დაუმტკიცა (გვ. 40). ამან გამოიწვია შფოთი და არეულობა სამცხეში: / მოკლა ლაკლაკმა დისი ძე თვისი/ (გვ. 40) არეულობა გაგრძელდა სამ წელს. მეოთხე წელს მღვდელმოძღვარმან გიორგი შ უ ა რ ტ ყ ლ ე ლ მ ა /დაიპყრა საყდარი აწყურისა. . . და კელთ იდვა განგებაი სამრცხისა, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვსა. . . და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანა (გვ. 41-იქვე)



თუ ეს შესანიშნავი ხატი იმავე საუკუნეშია მოჭედილი, რომელსაც ეკუთვნის ფერისცვალების ხატის წარწერა, ( ფერისცვალების ხატი დაიწერა 886 წელს ე. თაყაიშვილი ) აღნიშნული ხატი განახლებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში ცნობილი ზვიად ერისთავის მიერ ვარერიძე გვ. 124). რაც ჩვენთვის ჯერ დამტკიცებული არ არის, მაშინ წარწერაში მოხსენიებული ლაკლაკთა შთამომავლობა ასეთი იქნება.

ამათ გარდა ლიტერატურაში ცნობილია კიდევ ი ვ ა ნ ე ლ ა კ ლ ა კ ი, რომლის შვილს ერისთავს ფარსმანს სამწერლობა გაუკეთება და ზარზმის ეკლესისათვის შეუწირავს. ცნობილია აგრეთვე ათონის აღაპებში მიქელ ლაკლაკაი. ერთი ვიღაც ლაკლაკისძე იხსენება კიდევ თისელის მონასტრის სვინაქსრის წარწერაში არა უგვიანეს - XIV საუკუნისა. (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე ტ-1 1919-1920 გვ. 114-118. ე. თაყაიშვილი).

ლაკლაკი პირველად ეს სიტყვა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში გვხვდება მამაკაცის საკუთარ სახელად. (ნ.ვაჩნაძე სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო თბ. 1075 გვ. 107-108)

... როგორც ათონის და ჯვრის მონასტრების აღაპებიდან აშკარად ჩანს, მამაკაცის საკუთარი სახელი ლ ა კ ლ ა კ ი ამ ხანისათვის უკვე გვარად არის ქცეული ( ივანე ლაკლაკი, მიქელ ლაკლაკი, ლაკლაკთა ქალი და ა.შ.) (იქვე გვ. 115)

ისტორიულ წყაროებში წსენიებული სამცხეში არსებული პუნქტები: თორა, ციხისჯუარი, აწყური, რკინის ჯუარი, დემოთა, ლომისიანთა. ხალხის გადმოცემით დღევანდელი ტბეთის საცხოვრებელ უბან ლომისიანეთში მოღვაწეობდა სასულიერო პირი გაბრიელ ლომისიანისძე. (რ.სურმანიძე; სვიმონ ევფრატელი, გაბრიელ ლომისიანისძე-ჟ-ი ახალი ერა №4 2000წ.). ისტორიული გადმოცემებით ადრე შუასაუკუნეების ლომისიანთას ხეობაში (სამებაში) დღევანდელ უჩამბში საცხოვრებლად მოსულა სამი ქართველი: მ ო ფ ო რ ა, ს ა მ ო ე ლ ო დ ო ლ ო ა კ ლ ო ა კ ი, მათ საცხოვრებლად სხვადასხვა მიწის ნაკვეთი აურჩევიათ. დროთა მდინარების შედეგად ზემოთ აღნიშნული სამი კაცის მიერ შერჩეულ საცხოვრებელ ადგილს შესაბამისად მათი საკუთარი სახელიდან გამომდინარე დარქმევია: მ ო ფ ო რ ი ნ ე თ ი, ს ა მ ო ლ ე თ ი დ ო ლ ა კ ლ ა კ ე თ ი. წინაპართაგან მოსმენილი ეს ამბავი: მოსმან ბერიძეს, ხასან ბერიძეს [ხასან ნათელაძეს, ვასილ ბერიძეს] და სხვებს ხშირად მოუყოლიათ ხალხისთვის.

ლაკლაკეთში გადიოდა (აბრეშუმის გზად წოდებული) ძველი სავაჭრო - საქარავნო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი - გურია-ჭვანის ხეობა-ოთოლთას ციხე-კავიანის ციხე- ცინარე-თის ციხე-ლაკლაკეთის საბაჟო პუნქტი- ნათლისმცემლის ეკლესია- ჯვარი მინდორი-შავშეთი (ტაო-კლარჯეთი).

ხალხის მეხსიერებას დღემდე შემორჩა ლეგენდად, რომ სოფელ ლაკლაკეთში გაჩერებულა ტაო-კლარჯეთში მიმავალი დავით აღმაშენებელი, აგრეთვე აბუსერისძე ტბელის დედა - ხათუთა (ეკატერინე) ლაკლაკეთიდან იყო.



სოფელი მოფრინეთი და სამოლეთი



სოფელი ლაკლაკეთი

ზემოთ აღწერილი ისტორიული წყაროების და ისტორიული მეხსიერების (ხალბური გადმოცემების) გათვალისწინებით სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ სამცხეში ატეხილი ფეოდალური შინაბრძოლა, რომელიც სამ წელიწადს გრძელდებოდა პირველობისთვის, მხოლოდ გიორგი შუარტყლელის მიერ მეამბოხეთა დაშოშმინების მერე ლაკლაკი თავის სახლობით გადმოსულა ლომისიანთას ხეობაში მუდმივ საცხოვრებლად და ლაკლაკეთიდან მოუჭედიათ ლაკლაკიძების ღვთისმშობლის ჭედური ხატი.

## ხიჭაურში უნივერსიტეტის დაფუძნება ლვითი ური მყალობაა



1903 წელს აჭარის მთიანეთში, კერძოდ ქედასა და საღორეთში პირველი ქართული სკოლები აღსდგა. ცოტა მოგვიანებით ქართული სკოლები აღსდგა თხილვანაში, ოლადაურში, ღორჯომში. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში უკვე ღორჯომში, ხისაძირში, ქედაში, მახუნცეთში, ხოლო ცოტა მოგვიანებით უჩამბაში, ცხმორისში საშუალო სკოლები იყო.

ქართველი ერის ღირსეული შვილები დღენიადაგ ზრუნავდნენ, რომ დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში სწავლა-განათლება მაღალდონებები ყოფილიყო.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე აჭარას, მის მკვიდრთ დიდად აფასებდნენ. მომაკვდაგმა ვაჟა-ფშაველამ, რომელსაც წამლის ფულიც კი არ ჰქონდა, მასზე შენაწირი თანხა აჭარელ ძმებს შესწირა.

დიდი ქართველები მაშინ ქვეყანაში პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე ოცნებობდნენ. ვაჟა რომ კვდებოდა მა-

შინ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიაც დაკარგული ჰქონდა.

უფალმა ინგა და 1918 წლის 8 თებერვალს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს საქართველოში პირველი უნივერსიტეტი დაარსდა. ასევე უფლის ნებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა.

ანდრია პირველწოდებულის წილნაყარ აჭარაში თითქმის სამ საუკუნეს ქართულ წერა-კითხვასთან ერთად ქრისტეს რჯულზე წირვა-ლოცვაც ტაბუდადებული იყო. თურქთა ბატონობა მკაცრმა და დაუნდობელმა კომუნისტურმა რეჟიმმა შეცვალა. ხავსი მოედო, კედლები დაიბზარა, ფრესკები წაიშალა სხალთის ისტორიულ ტაძარში.

წყალის ნაგუბარში წყალი ჩადგა - 1989 წლის 29 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სხალთაში ჩამობრძანდა და საუკუნეებით მიჩუმათებულ სხალთის

ტაძარში 1989 წლის 19 აპრილს დაღუ-  
პულთა სულების მოსახსენებელი პარაკლისი  
გადაიხადა, საყოველთაო ნათლობა ჩაატარა.

წყალს მონატრებულ მიწასავით მიიღო სხ-  
ალთის ტაძარმა მრევლი. მამა ობი სხალთის  
აღორძინებულ მონასტრის პირველი მღვდელი  
იყო. იგი მამა გრიგოლმა ჩაანაცვლა. „აღდგენა



მეუფე სპირიდონი და ბიძინა ივანიშვილი

ისტორიისა-ერის გამოცოცხლებაა, გამომხვევებაა,  
აწყოს გაგება და წარმართვაა. მერმისის  
გამორკვევაა სიბნელისაგან“, - ილია ჭავჭავა-  
ძის ეს სიტყვები ყველა დიდ საქმეს სათავედ  
დაუდო მამა გრიგოლმა, აჭარის მთიანეთში  
მისი მღვდელმსახურების წლებში. მის სახელს  
მიეწერება ხულოში პროფესიული სასწავლებ-  
ლის გახსნა, რომლის 8 სპეციალობაზე ერთ-  
დღოულად 750-800 სტუდენტი სწავლობდა.  
ასეულობით დაწყებითი კლასების მასწავლე-  
ბელი, მედიცინის და, მენეჯერები, ვეტერინარი  
სპეციალისტები ამ სასწავლო კერის კედლებ-  
ში მომზადდნენ.

სხალთის მონასტრის აღდგენიდან 15  
წლის შემდეგ აჭარის მთიანეთის ისტორიაში  
სასახელო ფურცლად ჩაიწერა 2006 წლის  
20 დეკემბრი. ამ დღეს სხალთის ეპარქი-  
ის პირველ ეპისკოპოსად მეუფე სპირიდო-  
ნი (მამა გრიგოლი) აკურთხეს. უწმინდესმა  
და უნეტარებამ ილია II მეუფე სპირიდონი  
ასე დალოცა: „ყოვლადუწმინდესობავ, მეუფე  
სპირიდონ!

თქვენ მიემგზავრებით საქართველოს იმ  
კუთხეში, სადაც პირველად იქადაგეს სახ-  
არება ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ  
კანანელმა. ეს არის წმიდათაწმიდა ადგილი

საქართველოში. ეს არის სისხლით მორ-  
წყული მიწა.

მრავალი მოწამე, ღირსეული ქართველი  
შეეწირა ამ წმინდა მიწაზე ქრისტიანობას,  
ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: ადამიანმა საქა-  
რთველოში ერთი მუჭა მიწა რომ აიღოს, გან-  
საკუთრებით აჭარაში, ხელი მოუჭიროს, ქა-  
რთველის სისხლი გამოედინება. ამ სისხლით  
მორწყულ მიწაზე უნდა იქადაგოთ თქვენ და  
აღაშენოთ ტაძრები.

მე კარგად ვიცნობ აჭარას, სრულიად  
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწ-  
მინდესმა და უნეტარებამ ეფრემ II 27  
წლის ახალბედა მოძღვარი აჭარაში გამამ-  
წესა. მაშინ ვნახე, რამდენად დიდია ამ კუთხე-  
სი მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული, რამ-  
დენად წამებულია ეს მიწა, მრავალი დარბევა  
და უბედურება გადაიტანა ამ მიწამ.

მტერი ცდილობდა, რომ საქართველოსა-  
გან მოეწყვიტა ეს კუთხე, მაგრამ აჭარლებმა  
შეინარჩუნეს ქართული სული და ქართული  
ენა. დღეს ისინი უბრუნდებან თავისთ მამ-  
პაპათა სარწმუნოებას-მართლმადიდებლობას.

ღვაწლმოსილ ადამიანს, რომელიც სიონ-  
ში მოინათლა, ჰკითხეს: ახალ სარწმუნოებაზე  
გადახვედითო? მან უპასუხა: ახალ სარწმუ-  
ნოებაზე კი არ გადავდი, არამედ ძირძევ-  
ლი სარწმუნოება დავიბრუნეო. ეს გახლდათ  
დიდი პოეტი, ჩემი ნათლული ბატონი ფრი-  
დონ ხალვაში.

ასე რომ, საჭიროა დიდი რწმენა და დიდი  
სიყვარული. ღმერთმა გაგაძლიეროთ თქვენი  
რწმენითა და სიყვარულით. ეს სიყვარული  
უნდა გადასცეთ იმ კუთხის მკვიდრთ. თქვენ  
მოთმინებით უნადა შეუდგეთ სულიერ მოღვა-  
წობას. უნდა გახსოვდეთ, რომ აჭარაში ხალხი  
ჩვენი სისხლი და ხორცია. უფალი ელოდება  
მათ მოქცევას. ამიტომაც ინება უფალმა თქვე-  
ნი არჩევა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსად.

ღმერთმა მოგცეთ ძალა და მადლი. ღმერთმა მოგცეთ ის სულიერი ძალა, რო-  
მელიც დაგეხმარებათ. ეს იმას არ ნიშნავს,  
რომ განსაცდელი არ იქნება, განსაცდელი  
იქნება, მაგრამ უფლის მადლით, ყველაფერს  
გააკეთებთ, ღმერთი იქნება თქვენი შემწე და  
მფარველი.

მინდა მივულოცო მთელ საქართველოს ეს დიდი მოვლენა. მინდა დაგლოცოთ თქვენ, მეუფე დიმიტრი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო აჭარას. მინდა ყველას მივულოცო ეს დიდი ისტორიული მოვლენა. ეს არის ისტორიული „აქტი“.

მეუფე სპირიდონის სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსად კურთხევის ხანს ხიჭაურის ყოფილი სამხედრო ბაზა გაუქმდა. იქ 1949 წლის 1 მაისიდან ნახევარ საუკუნეს რუსული ჯარი იდგა. მათი საქართველოდან გასვლის შემდეგ ქართული საჯარისო შენაერთი ჩაანაცვლეს. ქვეყნის სასაზღვრო ჯარებში მიმდინარე რეფორმის შემდეგ სამხედრო ბაზის 12,3 ჰექტარი ტერიტორია და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა.

მეუფე სპირიდონმა ლოცვა გააძლიერა. მრევლთან ერთად უფალს ეველრებოდა, რომ ხიჭაურის სამხედრო ბაზა, შენობა-ნაგებობებით საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასულიყო. უფალმა ინება მრევლის ვედრება. ბაზის 7,1 ჰექტარი ტერიტორია და უმეტესი შენობა-ნაგებობანი საპატრიარქოს სიმბოლურ ფასად დაქვემდებარა.

ისევ ლოცვანი. ყოფილი შტაბის პირველი სართულის ერთ ფლიგელში სამლოცველო განთავსდა. საზემოდ იკურთხა ყოფილი სამხედრო მოწყობისა აღლუმების ტერიტორიაზე ტაძრის საძირკველის ჩაყრა.

ხიჭაურის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა იღია-II მოინახულა.

სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა ქველმოქმედი ადამიანების, საქართველოს საპატრიარქოს განყოფილებების მხარდაჭერით ხიჭაურის უნივერსიტეტის გასახსნელად შენობა-ნაგებობების მომზადება დაიწყო.

რომ არა ზოგიერთი ჩინოვნიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის მაშინდელი მოწვევის საკრებულოს 15 წევრის ახირება საპატრიარქოს დაქვემდებარებაში სამხედრო ბაზის მთელი ტერიტორია გადავიდოდა. ისტორი-



ფრიდონ ხალვაში, ტარიელ ფუტკარაძე, ოთარ გოგოლიშვილი და ეთერ ბერიძე

ულ სიმართლეს ვერავინ დაემალება მხოლოდ იმუამინდელი მოწვევის საკრებულოს ოთხმა წევრმა ვაჟა დავითაძემ, რუსულან შავაძემ, შაქრო ხიმშიაშვილმა და კახაბერ ცეცხლაძემ ხელი არ მოაწერეს პეტიციას, რომელიც მთელი ტერიტორიის საპატრიარქოზე გადაცემას ეწინააღმდეგებოდა.

დადგა ნანატრი დღე. 2009 წლის 24 სექტემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერა. ამ დღეს ხიჭაურის უნივერსიტეტი დაფუძნდა. საქართველოს ეკლესის წმინდა სინოდის წევრები, ქვეყნის, რეგიონის სახელისუფლებო სტრუქტურების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლები სააქტო დაბაზში შეიკრიბნენ.

საზემო ღონისძიების მონაწილეთა წინაშე სიტყვით გამოვიდა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი, ხიჭაურის უნივერსიტეტის რექტორი მეუფე სპირიდონი. ამაღლელვებელი და დასამახსოვრებელი იყო რუსთაველის პრემიის ლაურიატის ფრიდონ ხალვაშის გამოს-

ვლა. მან ლექსი „ხიჭაურის უმაღლესი“ წაიკითხა.

ხიჭაურის უმაღლესო სკოლავ,  
დღეს შენს გულზე მე ცრემლივით ვჟონავ,  
სიხარულის და სინათლის კონავ  
კარს მოგადექ, მეც მოწაფედ მოვალ.  
არსიანო, ხისან-გვანცავ, დომავ,  
გეყოთ მხრებზე წყვდიადების წოლა,  
გათენება თქვენი მოინდომა  
ხიჭაურის წმინდა ტბელის სკოლამ.  
ჭვანისწყალო და აჭარისწყალო  
მოიხედეთ, რა ხდება ხომ ხვდებით?!  
სხვა ხევებიც გთხოვთ რომ გაახაროთ  
ჩანჩქერებო, ამ ჩვენებურ ხმებით!  
ზარი უხმობს გზებს, წლებს, დელე-ლურდნებს,  
რომ გულს გული, სულს სული მოუნდეს,  
სად ტაძარი დუმდა, აღარ დუმდეს  
ბედის ბუდეს რწმენა დაუბრუნდეს.  
ხარ მშობელი, ხარ შვილების ყოლა,  
შენ, იმდო, თვით იმედზე მეტო,  
ხიჭაურის უმაღლესო სკოლავ,  
ხიჭაურის უნივერსიტეტო.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედე-  
გებით ხიჭაურის უნივერსიტეტის\* სპეციალ-  
ობაზე 330-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა.  
ისინი ძირითადად აჭარის მთიანეთის, აჭარი-  
დან განსახლებული ეკომიგრანტების შვილე-  
ბი იყვნენ. ეს კატეგორია სწავლის ქირისაგან  
გათავისუფლდა.

ხიჭაურის უნივერსიტეტში ღერებიების  
წასაკითხად ქვენის წამყვანი მეცნიერე-  
ბი, ღირსეული ადამიანები დროს ყოველთ-  
ვის ნახულობენ. უნივერსიტეტის, მომდევნო  
წელს წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელო-  
ბის სკოლის გახსნამ მნიშვნელოვნად შეამცი-  
რა აჭარის მთიანეთიდან უცხოეთში, კერძოდ  
თურქეთში, ნიჭიერი, მაგრამ ეკონომიკურად  
ხელმოკლე, ჭაბუქების, ქალიშვილების სას-  
წავლებლად განდინება.

უნივერსიტეტში ყოველი საღვთო და  
საერო დღესასწაული მაღალ დონეზე აღინ-  
იშნება, საზეიმო წირვა-ლოცვას ნათლობა,



ჯვრისწერა და სხვა რიტუალები მოსდევს  
ხოლმე.

მტერს მაინც არ სძინავს. ცალკეული არა-  
კეთილმოსურნე, ეროვნული ადათ-წესების მო-  
ძულე ცდილობს ხიჭაურში უნივერსიტეტის  
დაფუძნებას, იქ მიმდინარე საგანმანათლებლო  
საქმიანობას თავისებური გასაღები მოარგოს.  
ერთხელ ტელეკომპანია „იმედის“ ეკრანიდან-  
აც უნივერსიტეტის, იქ მიმდინარე სასწავლო  
შემოქმედებითი მუშაობის გაქილიკება სცადეს,  
მაგრამ უმაღვე ხელი მოეცარათ.

უნივერსიტეტმა აკრედიტაცია წარმატე-  
ბით გაიარა. 2013-2014 სასწავლო წლიდან  
18 პროგრამა იმუშავებს. არსებულ 8- სპე-  
ციალობას ორი დაემატება. სტუდენტთა რა-  
ოდენობა 3000-ს მიაღწევს.

ყველა კეთილ საქმეს გზას უფალი უნ-  
ათებს. ხიჭაურში უნივერსიტეტის დაფუძნება,  
მძლავრი სასწავლო შემოქმედებითი ბაზის  
შექმნა უფლის წყალობა. ეს წყალობა არ  
მოკლებოდეთ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს.

## პველ ფესტებზე ამოზრდილი ყლორტები

უჩამბის ხევი მნიშვნელოვანი წარსულის მქონე სოფლებითაა დასახლებული. ამაში დარწმუნებით ბოლო დროს აქ მოკვლეული მასალების გაცნობით.



მეუფე სპირიდონი და მეუფე ეფრემი

ჩანს, ისტორიულად უჩამბის თემში მართლმორწმუნე მოსახლეობა ცხოვრობდა. ამაზე მეტყველებს ნათლისმცემლის გორაზე



მეუფე სპირიდონი და მამა გიორგი

აღმოჩენილი X-XI საუკუნეებით დათარიღებული იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ნაშთები, აგრეთვე სოფელ ჭბეთში

სავარაუდოდ, საეკლესიო კომპლექსის არსებობა. სოფელ ჯაბნიძეებში კი ის ადგილი, სადაც ქაშუეთის ეკლესია მდგარა, დღესაც ინარჩუნებს პირვანდელ სახელს ქაშუეთი

მარტო ის რად ღირს, რომ უჩამბელ ლაკლაკიძეთა ოჯახის დაკვეთით ღვთისმშობლის ხატი დაიწერა ზარზმის ეკლესიისთვის. მოღწეული ვერცხლის ხატი ქართული ჭედური ხელოვნების ძვირფასი ძეგლია, რომლის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დავანების თაობაზე პირველი ცნობა აჭარის საზოგადოებას ყოფილმა პარლამენტარმა, უჩამბის ხეობელმა გურამ თურმანიძემ მიაწოდა.

უჩამბა ერთ-ერთი პირველი იყო აჭარის მთიანეთში, სადაც საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა.

იყო პერიოდი, როცა ჯერ კიდევ ბურუსით მოსილ ხეობაში პატარ-პატარა ჩირალდნებად ენთო კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, რომლებიც შემდგომ ახალ დროში კოცონად იქცა: ძველ ფესტებზე ახალი ყლორტები ამოიზარდა.

უჩამბის ხეობელი დღეს გუთნისდედაც არის და მეხრეც:

პროფესორია და ლექციებს კითხულობს,  
მშენებელ-ინჟინერია და აშენებს,  
გეოლოგია და მიწის წიაღში ოქრო-ვერცხლს ეძებს,

ბიზესმენია და ქვეყანას აძლიერებს,  
პედაგოგია და ჩვენს შვილებს აკვალიანებს,  
მეზღვაურია და ზღვებსა და ოკეანებს სერავს;  
სასულიერო მსახურია და ერს მოძღრავს;  
ექიმია და ადამიანებს ეურნავს;  
მწერალია და უურნალისტი...  
დაბალი თუ მაღალი რანგის ჩინოსანი...

ნიჭით, ერთგულებით სავსე შემოქმედი ადამიანები ჰყავდა ხეობას. დაუვიწყარია გარდასულ წელთა ცნობილი სახეები ზექე-



მეუფე ეფრემი და მამა გიორგი რია ლორთქიფანიძე-აჭარის ცაკის პირველი თავმჯდომარე, ღრმად ერუდიორებული ინტელექტუალი-ვახტანგ წულუკიძე, ბრძენი „ხათიბი“ (დავითაძე) სულიჯან თურმანიძე, ხუსეინ-ეფენდი თავდგირიძე მთიელი „კონსტრუქტორი“ არიფა დავითაძე, ფილოსოფოსი მევლუდ თურმანიძე..

ალბათ, გემახსოვრებათ, ბათუმში სტუმრობისას საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდეს მა და უნეტარეს მა ილია II-მ



მეუფე სპირიდონი, მეუფე ეფრემი, შუაში მამა-შვილი ზექერია და შალვა ველიაძები

ბრძანა, აჭარა საქართველომ კი არ უნდა მოაქციოს ქრისტიანად, არამედ აჭარამ უნდა მოაქციოს სრულიად საქართველო. მაშინ ამ პოსტულატმა ღიმილიც კი მოჰვარა ზოგი-ერთს.

თუ ადრე ჩვენს მხარეში თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ სულიერი მამები ადგი-

ლობრივ მკვიდრთაგან, ახლა საუკუნეობით შექმნილი ვაკუუმი თანდათან ივსება და ღვთისმსახურებამ უამრავი ადამიანი მი-იზიდა.

## 1. ყველას უნდა სწამდეს ღმერთი, რომ ეზი-აროს მარადიულს

ზაფხულობით სოფელში დავდიოდი. ერთი სოფელი ზემო აჭარაში გვაქვს, მეორე – გურიაში, გვიამბობს მეუფე ეფრემი (გამრეკელიძე)

ეს „ერთი სოფელი“ უჩამბის თემში შემავალი სამოლეთია, მისი ბებია-ბაბუის სამკვიდრო. მას ხშირად უგემნია დიდი ნენეს ხელით ფაქიზად დამზადებული ფესტილის, ოტურისა და ვაშლის ჩირი.

დაიბადა ბათუმში 1975 წელს.

ცოტა რომ წამოიზარდა, დადიოდა საბავშვო ბაღში სიხარულით შესცემროდა ყველაფერს.

სკოლაში შეიყვანეს, უყვარდა სწავლა, წიგნების კითხვა.

თითოთ საჩვენებელი მოსწავლე იყო. მათემატიკა უყვარდა, გეოგრაფიაც, ისტორიაც.

მეუფე ეფრემი: მშობლებს სურდათ მე და ჩემზე ხუთი წლით უმცროსი ძმა ნაღდ ქართველებად გავეზარდეთ. საიმისოდ არ გვაკლდა დედობრივი სიმშვიდე თუ მამის მკაცრი ხელი...

...ბევრი თვისება დედისა გამომყვა. დედა არის ძალიან მოკრძალებული, მშვიდი, თავმდაბალი. არ უყვარს ზედმეტი შვილი... დედმამა ერთმანეთს ავსებდა და ჩვეი შვილების დამოკიდებულებაც იყო ისეთივე, როგორსაც ისინი გვთხოვდნენ... არ გვაძლევდენ უფლებას გვეზარმაცა, ან დაგვეშავებინა რამე. რო არა ისინი, ალბათ, ჩვენ ასეთები არ ვიქნებოდით. შვილი ვერასოდეს გადაიხდის მშობლის ამაგს.

ვმადლობ უფალს ყველაფრისათვის. ის, რომ რწმენა მომეცა და საღვთო გზაზე დავდექი, უფლის დიდი წყალობაა. რწმენამ უფრო გამაძლიერა, უფრო ჯანსაღი და სწორი გზით წარმართა ჩემი ცხოვრება ...

ჩვიდმეტი წლისა ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში მოინათლა მოძღვრად არქიმანდრიტი სტეფანე (კო-

რინთელი) გახლდათ. ამის მერე შეიმოსა სტიქარით, ისწავლა ხუცური, სურდა მონასტრულად ეცხოვრა. დატოვა ოჯახი და მივიდა მეუფე იობთან. მის რეზიდენციასთან პატარა ეკლესიაში იპოვა პირველი ნავსაყუდელი ...

მეუფე ეფრემი: ცხრამეტი წლისა აღვიკვეცე ბერად და მეწოდა წმინდა ეფრემ ასურის სახელი... ეფრემ ასური უდიდესი მოძღვარია სინანულისა, თავმდაბლობისა... მაკურთხეს დიაკვანად, ვმსახურობდი სამეუფეო წირვა-ლოცვებზე... რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის ადამიანი, უფრო მძიმე ჯვარი ედება. მოდის განსაცდელები, ტვირთი მატულობს, მადლიც, მაგრამ მერე შენით უნდა გასწიო ქრისტესმიერი უღელი...

1997 წელს დიდი მარწვის პერიოდში აკურთხეს მღვდლად. მისი პირველი სამოძღვრო ტაძარი იყო მე-15 საუკუნის იტროს სიონის მონასტერი. მოგვიანებით წირვა-ლოცვას აღასრულებდა, აგრეთვე სურამის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაში.

სხვადასხვა დროს იღწოდა ეპარქიის სასულიერო გაზეთ „მახვილი მესიოსა-ს“ რედაქტორად, ლვისმშობლის ხარების ტაძრის ღთისმსახურად, სასულიერო გიბნაზის რექტორად და საღვთო სჯულის პედაგოგად.

\* \* \*

ნიშანდობლივია, რომ მისი უწმინდესობის – ილია II-ის ლოცვა - კურთხევით მას ებობა იღუმენის წოდება და ოქროს ჯვრის ტარების უფლება.

დაჯილდოვდა წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით და გამშვინებული ჯვრით, ხინო.

2004 წლის დეკემბერს წმინდა სინოდმა ბოლნელ მღვდელმთავრად აირჩია და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში შედგა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა.

მეუფე ეფრემი: მღვდელმთავრობა მართლა ჯვარია, ქრისტესმიერი უღელი... მტკიცე სარწმუნოება. – ეპის-

კოპოსს შესაბამისი სულიერი ხედვა უნდა ჰქონდეს. ეპისკოპოსი არის ზედამთხედველი, ეპარქიას განაგებს. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს სწორი გადაწყვეტილების მიღებისას, რათა შესაბამებოდეს ღვთის ნებას და ძალიან ნაკლები იყოს ადამიანური ზრახვები და სურვილები... ეს არის მართლა ჯვარცმა, ბოლომდე დახარჯვა სხვისთვის.

მეუფე არ გაურბის სიძნელეებს და ცდილობს უფლის სახლში-ტაძარში გააერთიანოს ამ რეგიონში მცხოვრები ერთი მუჭა ქართველები, გააძლიეროს ეროვნული სულისკვეთება. სწორედ მისი მცდელობა – გარჯითაა გამოწვეული ბოლნისის ეპარქიაში ბოლოდროინდელი სასიკეთო ცვლილებები.

მეუფე ეფრემი: მადლობა ღმერთს, რომ ყველა ქართულ სოფელში მოქმედი ეკლესია გვაქვს. გვყავს მოძღვრები. არის სასულიერო სასწავლებელი გავხსენით რამდენიმე ღედათა და მამათა მონასტერი. საზღვრისპირა სოფლებში და მოუგალ აღგილებში არაერთი მონასტერი დავაფუმნეთ.

ეპისკოპოსი ქრისტეს სახეა, სადაც ეპისკოპოსია, იქ არის ეკლესია. მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევა ღვთის ნებად უნდა მოვიღოთ.

მინდა, დავლოცო ბოლნისის ეპარქია, მინდა, დავლოცო სრულიად საქართველო...

მომზადებულია უერნალ „კარიპჭე-ს“ მასალების მიხედვით.





P.S. კარგად ახსოვთ უჩამბის ხეობელებს 2007 წლის ნათლობა ნათლისცემლის გორაზე, სადაც უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, მრევლს შორის იყვნენ საპატიო სტუმრებიც.

სწორედ ნათლობის ეს პროცესია ამ ფოტოებზე აღბეჭდილი.

\* \* \*

სხალთელი და ბოლნისელი ეპისკოპოსების მეუფე სპირიდონისა(აბულაძე) და მეუფე ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვაკურთხევით ღომას მთაზე ორი რაიონის მომიჯნავე ტერიტორიაზე, მინდორში ჯვარი აღმართა. უჩამბელებმა მაშინ გადაწყვიტეს, რომ ღომაზე შუამთობის დღესასწაულთან ერთად „ჯვარობის“, ზეიმსაც გამართავდნენ.

მეუფე ეფრემი: ამ დღის აღსანიშნავად მთა ღომაზე ბოლნისიდან ჩამობრძანდა. მან სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად მთაში აღმართულ ჯვართან პარაკლისი

გადაიხადა.

სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურმა დეკანოსმა ანდრიამ (თურმანიძე) ნათლობა ჩაატარა. ამჯერად, მთა ღომაზე 12-მა ადამიანმა მიიღო მართლმადიდებლური სარწმუნოება.

— ეს მთა ჩემი ბავშვობის ადგილია, — გვითხრა მეუფე ეფრემმა — ამ ტერიტორიაზე ოდესაც აქ საყდარი მდგარა, შეა საუკუნეების საქარავნო გზა გადიოდა. მომხდებმა საყდარი დაანგრიეს... მაგრამ მთას შერჩა სახელი — საყენდრია.

## 2. სად მამა—პაპა მეგულვის...

ღვთიური მომხიბლელობით გამოირჩევა ლიტურგიის დროსაც და ცხოვრებაშიც. მამა ანდრიასთანა ადამიანებზე იტყვიან ხოლმე – ბუნებამ თავისი ბარაქიანი კალთა მასზე დაიბერტყაო.

მისთვის არ არსებობს დიდი და პატარა საქმე – ყველა მისი ქადაგება გულწრფელი და ჭეშმარიტი ნიჭიდან გამომდინარეა, უფლისადმი მის გარეგან თავდრეკაში ისახება.

განა ადვილი იყო ვინმესთვის, განსაკუთრებით იმ დროს, რომ იგი მარტო ღვთისმსახური არ არის, მრევლის სამსახურში ყოველდღიურ ბრძოლა–ჭიდილში ბეჭნიერად აქვს შერწყმული ღვთისმსახურისა და პრაქტიკული მებრძოლის თვისებები.

არა მარტო გარეგნობით, არამედ მრავალმხრივი საქმიანობის ხასიათითაც იგი ჩვენი საუკუნის მამათა ტიპიური წარმომადგენერია.

\* \* \*

დეკანოზი მამა ანდრია (თურმანიძე) წარმოშობით სოფელ ტბეთიდნაა. დაბადა ქ. ბათუმში, 1984 წელს. აქვე მიიღო საშუალო განათლება.

– რას გაიხსნებდით ბვშობის წლებიდან?  
– მოსაგონარს რა გამოლევს. ტარიელ ნიურაძე – მამაჩემის ბიძია – განათლებული კაცი იყო, მშვენიერი მოლაპარაკე, სახიერო. ძალიან მიყვარდა მისი და მამის საუბარი, მიკუციქებოდი მოსაუბრებთან და ყურს ვუგდებდი... ტარიელ ბაბუას უკვირდა ჩემი ასეთი „სერიოზულობა“, და მეფერებოდა.

მახსოვს, ერთ საღამოს, ჩვენი ქალაქის მერიაში, მამის კაბინეტში მაგიდას უჯდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, მამას ესაუბრებოდა და თან იწერდა რაღაცებსაც. . მაგიდაზე თავი მქონდა ჩამოდებული და ხან ერთს შევხედავდი, ხან მეორეს და ამას ისეთი სერიოზულად ვაკეთებდი, თითქოს ყველაფერი გამეგებოდა...

ზაფხულობით ბათუმში სიცხეებს რომ დაიჭერდა, ოჯახიანად სოფელში გადავი-

ბარგებოდით სააგარაკოდამ მხრივ სოფელი ტბეთი საუცხოოა: იქაური მთის ჰაერი მართლაც ჯანმრთელობის ელექტრიკა, უფლისაგან ბოძებული საუცხოო წყაროები, ხეხილით დახუნდლული ეზოები, ხავერდოვანი მდელოებით დაფარული არემარე, მშვენიერი გასახედი მეზობელ წაბლანისაკენ, ყოველი მეკომურის სახლ–კარიდან. ჩემი სოფელი ბავშვობიდანვე საოცრად მიყვარს. აქ მყვანან ტოლ–ამხანაგები: დავითაძეებში, ჭურკვეიძეებში, წულუკიძეებში, გოჩიტიძეებში...

იმ ადგილს, სადაც ჩემს მამა–პაპათ უცხოვრიათ კი არა გზად გაუვლიათ, მათი ავლადილების ამბები გულს მარადიულად ჩამრჩენია, ამასც, მგონი, მნიშვნელობა აქვს ჩემი „თავგადასავლისათვის“.

– დაუ, იყოს ასე!

– მამა ანდრია, რამ შეუწყო ხელი თქვენი განზრახვის ასრულებას, ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ღვთისმსახურებისთვის მიგეძლვნათ?

– ღვთისმსახი, მორწმუნე მშობლები მყავს, პატარაობიდანვე ხშირად დავყავდი ტაძარში დედაჩემს – და ეკლესიურ მაღლს მაზიარებდა..

მაშინაც მოიქმნებოდნენ სიბრძნით გამორჩეული ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ სასარგებლო რჩევა მოეცათ.

შედეგმაც არ დააყოვნა: ჯერ კიდევ მოსწავლეობისას, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრის ლოცვა–კურთხევით მას დეკანოზმა სერაფიმებ (ბერიძე) ჩააცვა სტიქარი.

2002–2003 წლებში მუშაობდა ფერიის წმინდა ეკატერინეს სახელობის სათნოების სახლში.

დაამთავრა ქ. ბათუმის წმინდა ივილიანე ღმრთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია. ეს მამის გადაწყვეტილება იყო – გურამმა შვილს სწავლის სურვილი შეატყოდა და დაკვალიანა კიდეც.

ამის მერე იგი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო მართვის სპეციალობას უფლება და მცირე დროით წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის და წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის გიმნაზიებში იღვწის.

— სასულიერო ცხოვრების პარალელურად საერო საქმიანობამ ბევრი რამ მასწავლა, ბევრ რამეზე დამაფიქრა, — განაგრძობს მამა ანდრია, — აი, ავიღოთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, დილით, გამოლვიძებისას, იმის ნაცვლად, რომ ვთქვათ: „დიდება შენდა უფალო, გმადღობ, რომ მაჩუქე სიცოცხლის კიდევ ერთი დღე“, გაბრაზებული წამოვდგებით და ვწუწუნებთ მავანისა და მავანის ცუდი საქციელის გამო, ვამკობთ ეშმაკისეული უშვერი სიტყვებით, სახლიდან გასულებსაც ყველაფერი მავნედ გვეჩვენება, ასე ქუჩაში, სამსახურში, — ურთიერთდაპირისპირებას, ფიზიკურ შეხლა—შემოხლას საზღვარი არ აქვს: ბოროტების აღმოფხვრა კი ძალგვის თვი-

ევით და მამა ანდრიას წინამძღოლობით ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე შენდება წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის ეკლესია, რომელიც მალე ჩამოიხსნის ხარაჩოებს და უეჭველად შეუმსუბუქებს მძიმე ჯვრის ტარებას „წუთისოფლის სტუმრებს, — გვიქადაგებს თუ როგორ ვიცხოვროთ დედამიწაზე, რათა ზეციური სასუფეველი მოვიპოვოთ.

და ბოლოს ტროპარი: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა ღვთივ—დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ — უფალო, დიდება შენდა!“

\* \* \*



თონვე ჩვენ - ადამიანებს [ნელ–ნელა, თანდათანობით] სწორედ ამას გვასწავლის უფალი, როცა ჩვენგან მოითხოვს, ვიყოთ თავმდიბალნი, მშვიდნი და მორჩილნი, რადგან ამ უდიდეს თვისებებს უკავშირდება ყველა სათოება.

2010 წელს, 17 ივლისს სტეფანწმინდის რაიონის დარიალის ხეობაში შენებარე სამონასტრო კომპლექსის მოლოცვისას მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის მიერ მღვდელი ანდრია აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში.

მრავალრიცხოვანი მრევლისათვის ცნობილია, რომ მეუფე დიმიტრის ლოცვა—კურთხ-

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდლის – დეკანზე მამა ანდრიას, ერისკაცობაში ღევან თურმანიძეს, ჰყავს მეუღლე ელისაბედ (ინდირა) ჩხაიძე და სამი შვილი ნიკოლოზი, იონა და ლაზარე.

\* \* \*

ბრძენს უთქვამს, კაცთა მსახურება დიდი საქმეა, მაგრამ ღვთისმსახურება უფრო დიდი. უფალი წყალობდეს პირველ სულიერ ჩირალდნებს ჩვენი კუთხიდან.

გომიკარი  
18,11,2013

## გურამ თურმანიძე

აჭარის უმაღლესი საბჭოს 1991-96 წლების და საქართველოს პარლამენტის 1995-1999 წლების დეპუტატი

### როდემდის

1992 წლიდან აჭარაში ხდება გარედან პროცესირებული და შეუქცევადი ისლამიზაციის პროცესი, რომელშიც ჩვენი სახელმწიფო (მთავრობა) დღემდე უცნაური ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებს. თურქი და არაბი ფულიანი სასულიერო „მისიონერები“ დაუბრკოლებლად და უკონტროლოდ აშენებენ მუსლიმანურ სალოცავებსა (მეჩეთებსა) და სასწავლო-საგანამნათლებლო დაწესებულებებს (მედრესებს). ამ „მისიონერებს“ პარტნიორობას უწევენ საეჭვო რეპუტაციის ადგილობრივი ცალკეული ე.წ. მოწმუნები და სახელმწიფო მოხელეები. ისლამური საკულტო ნაგებობების მშენებლობის პროცესში მიმდინარეობს მასში მონაწილე სხვადასხვა მხარის მიერ საეჭვო წარმოშობის „ფილანტროფიული“ ფულის ჩადება. ასეთი გზით 2004 წლამდე აჭარის უმრავლეს სოფლებსა და დაბებში აშენდა 70-მდე ახალი მეჩეთი, რესტავრირებულ იქნა ამდენივე მეჩეთი, თავიანთი მინარეთებით გამზადდა ასამოქმედებლად. წარმოუდგენლად ბევრი სალოცავია აჭარაში ისლამის აქტიურ აღმსარებელთა რაოდენობასთან შედარებით. ამავე დროს, მთიანი აჭარის ათასობით ახალგაზრდა ისლამის შესასწავლად გაგზავნილ იქნა და კვლავ იგზავნება თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში, შესაბამისად, მომზადდა და კვლავ მზადდება ახალი სასულიერო კადრები მეჩეთების ასამოქმედებლად, მოსახლეობის ისლამიზაციის გასაღრმავებლად.

პირველ ხანებში, როცა ახალი ქართული სახელმწიფო აჭარის ტერიტორიაზე სრულყოფილად ვერ ახორციელებდა თავის ძალაუფლებას რეგიონში სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, პროისლამური პოლიტიკა ტარდებოდა, შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ჭიდაობაუპირატესობის

მოპოვების მიზნით. ვითარება სასიკეთოდ არ შეცვლილა 2004 წლიდან დღემდე. პირიქით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფარქვეშ, კიდევ უფრო გაძლიერდა გარედან პროცესირებული ისლამიზაციის პროცესი. შემდეგში „ნაციონალების“ მთავრობა მათ პირდაპირ ახალისებდა. აშკარად გამოიკვეთა თურქეთის ინტერესები, აჭარის მთასა და ბარში, ქალაქებში, აგრეთვე აჭარის ფარგლებს გარეთ აჭარლებით განსახლებულ რეგიონებში, ისლამისტურ სასწავლებლების, არა მარტო მედრესეების, არამედ, ინტერნატების და პანსიონების გახსნა-მშენებლობა, კადრების უპირატესად ჯერ ადგილზე მომზადება და შემდეგ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თურქეთში წაყვანა. სასწავლებლები გაიხსნა, როგორც ვაჟებისათვის, ასევე გოგონებისათვის. სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენტის წყარო გახდა ძირითადად ლარიბი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები. საგანგაშო მასშტაბი მიიღო ადრეული ასაკიდან ბავშვების, განსაკუთრებით, გოგონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან გამოვანა და ისლამისტურ სასწავლებლებში შეყვანა ან მიზიდვა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არცერთი მუსლიმანური სასწავლებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებული არ არის. სასწავლებლებში სწავლება ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ზრდიან მოქალაქეებს უცხო ქვეყნის ინტერესების სულისკვეთებით.

„ნაციონალური მოძრაობის“ განათლების სამინისტრო არ დაინტერესებულა რა კანონმდებლობის საფუძველზე ფუნქციონირებს სასწავლებლები, რა საგნებს და რას ასწავლიდნენ იქ ბავშვებს, რას ემსახურება აღნიშნული სასწავლებელები. შეიქმნა მომაჯადოებელი წრე, სახელმწიფო

საგანამანათლებლო და ადმინისტრაციული ორგანოები არავითარ სამუშაოებს არ ეწევიან იმ მშობლებთან, რომელებიც სიღარიბის გამო თუ გამორჩენის მიზნით, იმტებდენ შვილებს უკუღმართი აღზრდა-განათლებისათვის.

საქმეში ჩახედულმა საზოგადოებამ არაერთხელ სთხოვა მთავრობას, წესრიგი დაემყარებინა, აღეკვეთა ამ ანტიქართული სასწავლებლების ფუნქციონირება, მიუღებელი სწავლება, შედეგი არ მოუტანია. საპატრიარქომ, ბევრი გააკეთა აჭარის რეგიონში ისლამიზაციის დამღუპველი პროცესის გასანეიტრალებლად. მათი მეცადინეობით და პატრონაჟით შეუახევში ამოქმედდა აბუსერისძე ტბელის სახ. უნივერსიტეტი, სადაც უპირატესად მთიანი რაიონების ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების შვილები სწავლობენ, სოციალური უზრუნველყოფით რაც საკმარისი არ არის. საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა აჭარის რეგიონში, გამეფებული ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი საგანმანათლებლო პროცესის წინააღმდეგ, რათა დაცულ იქნეს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლება, მიიღოს ხარისხიანი განათლება ჩვენი მდიდარი ეროვნული ტრადიციების შესაბამისად.

ხელისუფლებაში უკვე ხუთი თვეა აღარ არის „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა ისლამისტური სასულიერო სასწავლებლები კვლავაც აგრძელებენ და აფართოებენ საქმიანობას. მოსახლეობის მაღალი ნდობით არჩეულ „ქართულ ოცნებას“ აჭარის ა.რ. ახალ მთავრობას, მათ მინისტრებს, განათლების სამინისტროს, რომ შეიმუშაოს სათანადო ღონისძიებები და მოახდინონ საკითხის გადაწყვეტა. საქართველოს მთავრობის წინაშე, შეასრულონ ხალხის ნება და წერტილი დაუსვან სამარცხვინო პარატიკას.

საქართველო ულოდება გადამჭრელ ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

**ჩვენს მიერ მოპოვებული სტატისტიკური მასალები, დააზლოებით 2010 წლის მდგომარეობით:**

საკულტო და სასწავლო ნაგებობანი დასავლეთ საქართველოში - 197,

(45 კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის).

აჭარის ა.რ. -184,

(44 კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის),

მეჩეთი -119,

(51 მედრესით, 9 მედრესე პანსიონატი).

სეზონური მეჩეთი -22, მედრესე -19, სამლოცველო -15,

სამლოცველო მედრესე -1, მედრესე პანსიონატი -8,

(რუკა მომზადებულია ქართველოლოგიის, პუმანიტარულ და სოციალური მეცნიერების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (ც-015-08) ბათუმი 2010 წ.

სსიპ. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი (ც) რუსლან ბარამიძე)

ასევე ბათუმში მოქმედებს სამი ვაჟთა ორი ქალთა პანსიონატი, ერთი ისლამური ბავშვთა ბაღი.

### სხვა, ძველი მონაცემები:

1871-1873 წლებში თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე 307 დასახლებული პუნქტი იყო, სადაც 141 ჯამე, ერთი თექე (დევრიშ ოდა), 65 მედრესე და 140 მეგოვე (დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი, სადაც ყურანის კითხვასა და ლოცვას ასწავლიდნენ) ფუნქციონირებდა.

გასაბჭოებამდე აჭარაში 119 მეჩეთი ფუნქციონირებდა, ამდენივე მედრესეთი (იქ 4000 ბავშვი სწავლობდა).

1939 წლისათვის აჭარაში დაიხურა ყველა მოქმედი, 132 მეჩეთი.

1990-2008 წლებში აჭარაში სულ აშენდა 71 ახალი მეჩეთი

მონაცემი ძველია, მას მერე ვითარება არ შეიცვლილა.

როდემდის...

## სამება თუ უჩამბა

შუახევის რაიონში, არის ზეობა სადაც მდებარეობს უჩამბა. უჩამბის ხეობის სოფლებია: მოფრინეთი, სამოლეთი, ლაკლაგეთი, ოქისი, ქაფთა (საცხოვრებელი უბანი), კვირაული, ტბეთი, ზარე (საცხოვრებელი უბანი), ლომისანეთი (საცხოვრებელი უბანი) გოგითი (გოგაძები), ვახტანგეთი (საცხოვრებელი უბანი), ზეკარა (სეზონურ-საცხოვრებელი) უბანი, წაბლანა, ცინარეთი, მეჭყერთა (საცხოვრებელი უბანი), ჯაპნიეთი (ჯაპნიძები) და ვერზანა (საცხოვრებელი უბანი).

მე-16 საუკუნეში ვინც გადასახადს იხდიდა, ანუ გადასახადს გადახდას ექვეძებარებოდა ტბეთში 12 ოჯახი იყო, ხოლო სამოლეთში - ორი ოჯახი. დანარჩენი სოფლები ან არ არსებობდა ან-გადასახადს არ ექვეძებარებოდა. (ეს ჩემი მოსაზრებით რათქმა უნდა).

ახლა სათაურად გამოტანილ საკითხს დავუბრუნდეთ, სა მ ე ბ ა თ უ უჩამბა.

სიტყვა „უჩ“ - თურქული სიტყვა და ქართულად საში ნიშნავს, „სამ“-ს თუ მოუწერი „ება“-ს, მივიღებთ სამებას, რაც წმინდა სამებასთან ასოცირდება, და ალბათ ასეც არის რადგან სამოლეთში მდებარეობდა, სავარაუდოდ, წმინდა სამების ტაძარი.

ამიტომ სიტყვა „უჩამბა“ - წმინდა სამებისაგან წარმოიშვა ისმალურ-თურქული ენობრივი გავლენის გამო (ამ აზრს ჩემთან ერთად ბევრი იზიარებს) და დროა მას ძველი, ქართული სახელი „სამება“ დაუბრუნდეს. ხელვაჩაურის რაიონში ბათუმით ახლოს, არის დასახლება „გოროდოკი“ - იმის ზემოთ მდებარეობს სოფელი სამება, სადაც ახლახან აიგო სამების სახელობის ტაძარი, რაც მისასალმებელია.

ღვთის მაღლითა და ძალით ბევრი ისტორიული ძეგლი და მასალა გადარჩა. დროა ყველავერს თავისი სახელი დავარქვათ. ლაკლაგიძების ჭედური ხატის გადარჩენაც ღვთის წყალობა და ჩემ აზრს, სამება - უჩამბაზე, უფრო ამყარებს.

როგორც უჩამბას, ასევე აჭარაში არსებულ სოფლებს „ოქტომბერს“ და „პირველ მაისს“ დროა ძველი სახელები დავუბრუნოთ.

\* \* \*

ჩვენ, აღნიშნულ ოქმში წარმოშობით საკითხის ისტორიულ წყაროებით დასაბუთების მიზნით მივედით ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიონალ ზაზა შაშიკაძესთან რომელიც წლების წინ მუშაობდა თურქთის არქივებში: საქართველოზე დაცული ისტორიული წყაროების, ქართული ისტორიოგრაფიულ მეცნიერებაში ახალი დამამტკიცებელი საბუთების მოპოვებისა და

წარმოჩენის მიზნით. ბატონმა ზაზა შაშიკაძემ გვაჩუქა წიგნი: „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ (ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოსალები გამოსაცემად მიამზადეს: ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ. თბილისი 2011 წელი)

აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში ამ სათაურით ზემოთ დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ: XVI საუკუნის 60-იან წლებში, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველის მთელ რიგ რეგიონებთან ერთად, ოსმალებმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაც დაიპყრეს და აქ საკუთარი ხელისუფლების დამყარებას შეეცადნენ. როგორც წესი, მოხდა ხეობის აღწერა და ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მსართველობით სისტემის შექმნა, რის შემდეგაც აღნიშნული ტერიტორია ოსმალების იმპერიაში აჭარის ლივის (იგივე სანჯაფის)-ანუ სადროობის სახით იქნა გაერთიანებული.

სულთან სელიმ II-ის (1566-1574წწ) დროს შედეგენილი „ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი“ ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი მოიცავს როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარას. „დავთარში“ ზემო და ქვემო აჭარა ცალკეულ ნაპიებად (რაიონებად) არის დაყოფილი (გვ. 12).

სოფლების ჩამონათვალი დავთარში შემდეგი თანამდებობით არის მოცემული:

ზემო აჭარის ნაჰიე ხელისუფლი (აჭარის-ზ.შ.) ლივაში: (გვ. 13).

.....  
უჩამბა-2 კომლი.

.....  
ტბეთის ციხის რაბათში 12 კომლი ცხოვრობს. როგორც: ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს „ტბეთი კარგა დიდ ადგილებს, დიდ ხეობას ეწოდება“. აღნიშნული ციხეც სოფლიდან მოშორებით, ხეობაში, დღვენდელი ცინარებისა და სამოლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ციხე უნდა იყოს. (გვ.17)

ამ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ ისტორიულად უჩამბის ხეობას „ტ ბ ე თ ი ს“ (შ.ვ.) ხეობა ერქვა, უფრო ადრე შეს საუკუნეებში კი „ლ ო მ ს ი ა ნ თ ა ს“ (შ.ვ.) ხეობის სახელწოდებით მოიხსენება ქართულ ისტორიულ წყაროებში. ხოლო სიტყვა „უჩამბა“ წარმოიშვა სამი სოფლის: მ ო ფ რ ი ნ ე თ ი , ს ა მ თ ლ ე თ ი , ლ ა კ ლ ა კ ე თ ი ს შერწყმის საფუძველზე, რომელიც „ს ა მ ე ბ ი ს“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ხოლო შემდგომ დაპყრობელის ქობრივი გავლენის გამო მას უწოდეს „უჩამბა“.

## თემურ თურმანიძე

### უჩამბას ანუ სამებას ვუძღვნი მეუფე ეფრემს (გამრეკელიძეს) და დეკანოზ ანდრიას (თურმანიძეს)

შენი წყაროთი ვიზარდეთ  
და შენი სუფთა ჰაერით.  
გზას გვინათებდა რწმნისკენ,  
თაფლის და ფიჭის სანთელი.  
წმინდისერიდან გვასპეტაკებდა,  
თეთრი თოვლი და ნამქერი,  
სიფხიზლეს მუდამ გვმატებდა,  
გუდნის ღელე და ჩანჩქერი.

ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ:  
ტბეთი, გოგიეთ, წაბლანა,  
მოფინეთ, ლაკლაკეთი, . . .  
მან უჩამბლებად გაგვზარდა.

სამების მადლი გვფარავდა,  
სამებას ვუნთეთ სანთელი,  
წმინდა სამების მადლია,  
აქ რომ გადარჩა ქართველი.

უჩამბა ანუ სამება,  
ფუძეა ჩვენი რწმენისა,  
ქართულად ლოცვა-წირვისა,  
და სადიდებლად ლმერთისა.

24.12.2011 წ.

### ღურლუმელას ღელე

ღულუნ - ღულუნ  
მოღუღუნებს  
ღურღუმელას ღელე,  
ამ წყაროსთან წყურვილს იქლავს,  
„პაშა“, „ჭიპო“, „ჩელე“ ...  
თუ კი ერთხელ მაინც დალევ  
შენ ამ სოფლის წყაროს,  
ცხრა მთასა და ცხრა ხეობას  
გადაივლი ძმაო.  
ზეპარიდან გამოივლი,  
თუ ზვარიდან, ბიჭო,  
ამ წყაროსთან ჩამოჯექი,  
დაღლილო და დინჯო.  
წყურვილს სურვილს დაუმატებ  
და გაუტევ ვინძლო,  
ამ ხეობის საღღეგრძელო

დამილიო გიჯობს.  
დამილოცე ეს მთა-ბარი,  
ბუნება და ღმერთი,  
გოგიეთი, ვახტანგეთი,  
წაბლანა და ტბეთი.  
ჯაბნიეთი, ქიზინეთი,  
ჩემი ღელულეთი.  
მოფრინეთი, ლაკლაკეთი,  
ქვაფთა, ცინარეთი,  
დამილოცე ეს ხეობა,  
ქალ-ვაჟების ეშხი.  
ამ ხეობის წყაროები,  
გუდნის ღელის შხეფი,  
და ბუნების შემოქმედი  
ჩვენი ერთი, ღმერთი.

### ჩემო აჭარავ

ჩემო აჭარავ, შენი წარსული  
მძიმე იყო და ძნელად სავალი.  
დღეს საქართველოს სიამაყე ხარ,  
ვით სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარი.  
ტრადიციებით, სტუმართმოყვრობით,  
დღემდე გიტოკავს ძარღვი მთავარი,  
საქართველო და ენა ქართული  
შენი ღმერთია, შენი წარსული.  
შენი გონიო, შენი ხერთვისი, შენი სხალთა და  
შენი ხიხანი,

ასე ლამაზი, ასე წარმტაცი,  
მე საქართველოს ბურჯად ვიცანი.  
ბევრჯერ ჰქონია ერს სიამაყე  
შენი წარსულით, ჩემო აჭარავ,  
სიყვარულით და რწმენით გადარჩა  
ენა ქართული, სისხლი თაკარა.  
ჩემო აჭარავ შენი წარსული,  
მძიმე იყო და ძნელად სავალი,  
დღეს საქართველოს სიამაყე ხარ,  
ვით სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარი.

## უჩამბის ხობის სოფლები XVI-XVIII საუკუნეებში

ახლო წარსულში ოსმალობისდროინ-დელი აჭარის სოფლების შესახებ ქართული ისტორიოგრაფიას ძალზე მწირი მასალები გააჩნდა. ჩვენთვის უცნობი იყო დასახლებული ადგილების რაოდენობა, კომლთა რიცხვი, სულადობა და ა.შ.

ბოლო წლებში ეს ხარვეზი გარკვეულად შეივსო ახლადგამოცემულური ნაშრომებით, რაც წარმოდგენას გვიქნის უცხოელთაგან აჭარის დაპყრობამდე ჩვენი სოფლების სახელებზე, გაწერილ გადასახადებზე და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე მიღვილ წყაროებში უჩამბის ხეობის სოფლები არსად შეგვხვდრია. პირველად ორიოდ სოფლის სახელი გამოჩნდა „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარში“, რომელიც თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაბექ, ხოლო გამოკვლეული დაურთო მიხეილ სვანიძემ (თბილისი, 1972).

არსებული ხარვეზი ნაწილობრივ შეავსეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, რომლებმაც ოსმალურიდან თარგმნეს და გამოკვლევა-კომენტარები დაურთეს წიგნს, რომელსაც „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ (თბილისი, 2011წ) ჰქვაა. ქრონილოგიურად ეს გამოცემა უფრო ძველ პერიოდს, 1566-1574 წლებს მოიცავს. ამიტომ სწორედ ამ ნაშრომით დავიწყებთ. „დავთრებში“ დასახელებულია ზემო აჭარის 59 სოფელი, მათ შორის უჩამბის ხეობის სამი პუნქტი: ტბეთი, უჩამბა და ტბეთის ციხის რაბათი.\*

ტბეთის შესახებ დოკუმენტებში ჩაწერილია, რომ იგი ახლოსაა სოფელ ლურ ავალთან და ამჟამად მოსახლეობისაგან დაცარიელებულია. იგი მიკუთვნებულია ზემო აჭარის ლივაზე და მარცვლებულისა და სხვა შემოსავლებისაგან დაბეგრილია 1500 ახ-

ჩით (ვერცხლის ფული, რომელიც პირველად 1328 წ. მოჰქონდა. 1687 წელს ახჩა ყურუშმა შეცვალა. გვ.66).

სოფელ უჩამბაზე წიგნში ვკითხულობთ, რომ იგი ექვემდებარება ზემო აჭარას. სოფლის ყველა სახის გადასახადი (ისფენჯი, \*\* მარცვლეული და სხვ.) 5615 ახჩას შეადგენს (გვ. 77).

საყურადღებოა, რომ დოკუმენტში მოტანილია იმდროინდელი უჩამბის ორი მცხოვრების სახელი და მამის სახელი: აღდგომელი, მე გაბრიელის და ერდექულა ფირული(ს ძე).

დავთარში მესამე პუნქტად დასახელებულია ტბეთის ციხის რაბათი. ისიც ექვემდებარება ზემო აჭარას. სოფელ ტბეთისა და უჩამბისგან განსხვავებით აქ ჩამოთვლილია რაბათის 12 მცხოვრების სახელი და მამის სახელი.

არბადი, ძე ლარიბასი  
ბასილი, ძე არბადის  
ბესიკი, გიორგი(ს ძე)  
ლევანი, ძე მისი  
ბუნჯი, ძე ჯამასარასი  
მახარებელი, ძე მისი  
გიორგი, ძე საბითასი  
მასარა, ძე დანიელისა  
როსტევან, ძე ოქროპირისა  
იასონ, ძე აბულისა  
მეპჰედ, ძე ამბროსისა  
ოქმაზ, ძე როსტევანისა  
ტბეთის ციხის რაბათზე გაწერილია  
საკმაოდ დიდი გადასახადი - 16950 ახჩა.  
იმ დროს იბეგრებოდა: ისფენჯი, ხორბალი,  
ქერი, ფეტვი, კაკალი, ხილი, იონჯა და თივა,  
ბოსტანი, კანაფი, ფუტკარი, ღორი, იალაღი,  
ცხვარი, წისქვილი, საქორწილო გამოსაღები  
და სხვა. (გვ. 78, 79).

\* სამივე სოფელი შეტანილია აჭარის ლივის მოკლე დავთარშიც, მაგრამ მონაცემები იგივეა, ამიტომ ჩვენ აღარ გავიმეორებთ (რ.ს.).

\*\* სამხედრო ბეგარის სანაცვლო გადასახადი (რ.ს.).

ერთის შეხედვით მცირე ცნობებიდან შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი დასკვნების გატეტება:

1. ნათქვამია, რომ ტბეთი ახლოსაა სოფელ ლუი ავალთან. თუ ოსმალური ტექსტი სწორადაა ამოკითხული, გამოდის რომ ტბეთის მახლობლად იყო სოფელი ლუი ავალი, რომელიც აღწერის დროს დაცარიელებულია, მაგრამ შემდეგ აქ აღარაგინ დაბრუნდა, სოფელი გაქრა და მისი სახელი მცხოვრებთა მეხსიერებაშიც არ შემორჩა.

2. სოფლის სახელი უჩამბა ეტიმოლოგიურად რთულად ასახსნელ სიტყვას ეკუთვნის, ამიტომ სამწუხაროდ მეცნიერებმა იოლი გზა გამონახეს და ჩათვალეს, რომ იგი ოსმალური წარმოშობისაა. „დავთარში“ ყველა დასახლებული ადგილი ძველი ქართული სახელებით მოიხსენება. არც უჩამბაა გამონაკლისი. ამიტომ ჩვენი სავარაუდო მოსაზრებით მისი ფუძე თურქული სიტყვა „უჩ“ (სამი) კი არ არის, არამედ მამაკაცის სახელი „უჩა“ უნდა იყოს. თუმცა ამას სპეციალური კვლევა სჭირდება (სხვათაშორის უჩამბა-ს ბედი გაიზიარა აღმე-მაც, ამიტომ აქაც ენათმეცნიერებს გულმოდგინე კვლევა მართებთ).

3. ზემო აჭარის ტოპონიმიაზე მიძღვნილ შრომებში ტბეთში ციხის, ნაციხვრის და სხვათა არსებობაზე არაფერი შეგვხვედრია „დავთრებში“ კი ნახსენებია ტბეთის ციხე და მისი რაბათი (ციხის ირგვლივ დასახელება, რომელიც მეციხოვნეულია ამარაგებდა წყლით, საკვები პროდუქტებით და ა.შ.), საიდანაც სხვა სოფლებისგან განსხვავებით, მოსახლეობა არსად წავიდა და იცავდა ციხე-სიმაგრეს. აქაც საჭირო იქნება ტბეთელებმა იზრუნონ ციხის ადგილმდებარეობის დადგენისათვის.

4. როგორც ცნობილია ქართული გვარების ისტორია მე-12-16 საუკუნეებიდან იწყება. დავთარში ჩამოთვლილი უჩამბისა და ტბეთის ციხის რაბათის არცეთ მცხოვრებს გვარი არ გააჩნია, ისინი სახელითა და მამის სახელით იხსენიებიან. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ პიროვნებების გვარები მოგვიანებით მამის სახელისაგან წარმოიშვა, მაშინ შესაძლოდ მიგვაჩნია ტბეთში პირველად შემდეგი გვარების გამოჩენა: გაბრიელისძე, ლარიბაშვილი, არბადიძე, გიორგაძე, ჯამასარიძე (ჯა-

ფარიძე), ბუნჯაძე (ბრუნჯაძე), მახარობლიძე, ოქროპირიძე, აბულაძე და ა.შ.

ტბეთის რაბათში ორი არაქართული სახელია: მეპმედ (ძე ამბროსისა) და ოქმაზ (ძე როსტევანისა), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სოფელში უკვე მძღვრობს ოსმალური წესები და ამბროსი და როსტევანი იძულებული არიან შვილებს არაქართული სახელი დაარქვან.

145-150 წლის შემდეგ არის შედგენილი აღწერის სია ეწ. „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარი“. აქ 1707 წელს დასახელებულია სოფლები; რაბათი, უჩამბი და სამულები. ჩვენს ადრინდელ გამოკვლევებში ამ რაბათის ადგილ-სამყოფელი არ ვიცოდით. ახალი მასალები გვაფიქრებინებს, რომ ეს იგივე ტბეთის ციხის რაბათია, მაგრამ ამ დროს ციხე უკვე უქცეველია, მეციხოვნებიც აღარ არიან; თუმცა დასახლებულმა ადგილმა რაბათი-ს სახელი კვლავ შეინარჩუნა. გაწერილი გადასახადი 12000 აჩხა ჩამორჩება ადრინდელს, რაც მცხოვრებთა რიცხვის შემცირებით უნდა აიხსნას. რაბათის მოხელე არის ვინმე მაკმუდი (გვ. 129).

იმავე 1707 წელს რაბათის მომდევნო სოფლად დასახელებულია მეზობელი უჩამბი (სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ რაბათი ტბეთისაა). იგი ისევე მიკუთვნებულია ზემო აჭარის ნაპიეს და დაბეგრილია 12000 აჩხით, ხოლო სოფლის მოხელეა ვინმე ისმაილი (გვ. 129).

„ჯაბა დავთარში“, რამდენიმე სოფლის შემდეგ დასახელებულია ზემო აჭარის ნაპიეს სოფელი სამულებით, რომელიც 1709 წელს დაბეგრილია 5000 აჩხით. აქ ოსმალეთის წარმომადგენელია ვინმე იბრაიმი (გვ. 132).

ძველ დოკუმენტებში უჩამბისა და სამულების (აღბათ საკუთარ სახელ სამულებისგან არის წარმომდგარი) ერთდროულად შეტანა ნიშნავს, რომ ორივე დამოუკიდებელი სოფელია და ოსმალო ხელისუფალი ცალკალკე ბეგრავს.

ჩვენს დროში უჩამბა თემის ცენტრს ჰქვია მხოლოდ, ხოლო სამოლები (უნდა იყოს სამულებით) საკმაოდ დიდი სოფელია. ისტორიული ჰქეშმარიტების აღსაღენად და არა ადმინისტრაციული საზღვრების შესაცვლელად, აღბათ საჭირო იქნება ამ სოფლების ძველი საზღვრების დადგენა.

## აჭარა გურამ ემირიძეს

ახალდაბაში ტირის შენი ალადასტური,  
წარბი შეუკრავს იზაბელას სხვენზე გაყვანილს,  
შენს ქართველობას არ ჭირდება ვინმეს დასტური,  
შენს ქართველობას მოწიწებით უნდა თაყვანი.

შვილდაკარგული დედის ცრემლში რკინაც გაღნება,  
რომელი შვილი განუდგება მშობელს საკუთარს,  
შენს ქართველობას საქართველომ უთხრა მაღლობა,  
დიდი ილიას აწონილმა სიტყვამ აკურთხა.

რუსთველის აზრი აცისკროვნებს მაღალ მთა-გორებს,  
აკაკის ლექსმა ჩემს თვალებზე ცვარი გააშრო,  
ამ დროს ვიღაცა შენს წყლულებზე ზარებს აგორებს  
და შენიღბული ერისკაცის როლებს თამაშობს.

ვერნების ტყეში რას ჩურჩულებს მუხა ბებერი?!  
ვერ შეუცვლიან აჭარისყალს წალმა დინებას,  
შენს ქართველობას წინაპართა სისხლით შეფერილს,  
მომდგარა ვიღაც უტიფარი, ეპოტინება.

ვიცი, ამ წყენას არ ჩაიდებ გულში ბოლომდე,  
შენ ხომ დედა ხარ, ზნემაღალი სულით ესოდენ,  
ძაბით მოსილი როს მოძმეთა სიკვდილს გლოვობდი,  
ვიღაც უგნურმა კეთრიანი გუნდა გესროლა.

სხვები კი, სხვები ჩრდილში დგანან ანგელოსებად.  
შენ კი საკუთარ წყაროს ასმევ ყველას ერთიან,  
მოჭრილი მუძუს ტკივილებით კვლავაც მოსილო,  
მტრისა და მოყვრის განმკითხავი მხოლოდ ღმერთია.

მე არასოდეს არ შემშლია შენი გზა-კვალი,  
თეთრათის ტყეში ისევ მწიფობს ჩემი მაყვალი,  
შენს ქართველობას ჩემი ხმა და ჩემი თაყვანი,  
ვიცი, სად უდგას საქართველოს ბევრი აკვანი.

ვინ დაითვალოს შენს მიწაზე ოქროს ბელტები?!  
ვაზის ლერწივით ლოცვასავით ცაში მიდიხარ,  
ისე მცირე ხარ, საკოცნელად არ მემეტები,  
ვეღარ ეტევი შენს მიწაზე, ისე დიდი ხარ.

გული ხარ, დედა საქართველოს ცხელი გული ხარ,  
სული ხარ, ჩემი წინაპარის წმინდა სული ხარ,  
თეთრათის ციდან ფოთოლივით გადმორგულიხარ,  
კახაბრის ველზე ყვავილივით ამოსული ხარ.

იქ მარადიდში შენი ცრემლი ისევ ცხელია,  
და სარფის ცრემლი ისევ ისე თუთქავს წამწამებს,  
ვდგავარ, გიყურებ, მის მაგივრად თავად მრცხვენია,  
ვინც უსინდისოდ ჩირქი მოგცხო, ცილი დაგწამა.

ჩემო აჭარავ, ტირის შენი ალადასტური,  
თვალი შეურთავს იზაბელას, სხვენზე გაყვანილს,  
შენს ქართველობას არ ჭირდება ვინმეს დასტური,  
შენს ქართველობას ჩემი ხმა და ჩემი თაყვანი!

წიგნიდან „რჩეული ნაწერები“,  
ტომი I, გამომც. „აჭარა“,  
ბათუმი, 2012 წ. გვ. 244-246.

## ბათუმის ისტორიიდან

XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია და ნელ-ნელა მისი საზღვრები აჭარის ტერიტორიებს უახლოვდება. 1877-78 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთისა და მის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის ინტერესები გარკვეულწილად ერთმანეთს დაუმოხვა, რადგან ძირდებილი ქართული მიწების ოსმალთა უღლისაგან გამოხსნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

აქტიურად დაიწყო რაზმების ჩამოყალიბება ქართლში, მიერთში, კახეთში, სამეგრელოსა და გურიაში. რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის დროშის ქვეშ 30 ათას ქართველზე მეტი იძოდდა. 1878 წლის 3 მარტს სან სტეფანოში მეომარმა მხარეებმა საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ოსმალეთმა ფულადი კონტრიბუციის ნაწილი გარკვეული ტერიტორიების დათმობით გადაიხადა. მათ შორის იყო ისტორიული ქართული მიწები: კოლა-არტანი, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ოლთისი, ტაოს-კარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი და აჭარა.

ბერლინის კონვენციები (1878 წლის 13 ივნისი-13 ივლისი), რომელიც სან სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას თვალისწინებდა, რუსეთმა შეძლო ძირითადი ტერიტორიული მონაპოვრის შენარჩუნება. ამრიგად, აჭარა დედასაქართველოს დაუბრუნდა.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში გენერალ სვიატიპოლქ მირსკის მეთაურობით რუსთა არმია შემოვიდა და მიღება-გაცილების ცერემონიალზე ე.წ. აზიზიეს (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე დევრიშ ფაშასაგან ქალაქის გასაღები ჩაიბარა.

ბათუმის ოლქში სამი — ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუები გაერთიანდა. ქალაქი ბათუმი „პორტო-ფრანგოდ“ გამოცხადდა. იდეა ინგლისს ეკუთვნოდა, რომელმაც ბერლინის კონვენციები ამ ქალაქის პორტო-ფრანგოდ გამოცხადება მოითხოვა და გაიტანა კიდეც.

„პორტო-ფრანგოს“ სტატუსმა ბათუმს გარკვეული სიკეთე მოუტანა. ამ პერიოდიდან

ბათუმი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნელ-ნელა თანამედროვე ევროპული ქალაქის იერი შეიმინა. თუმცა, გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ეროვნული მრეწველობა კონკურენციას ვერ უწევდა მოზღვავებულ ევროპულ საქონელს. ამასთან, გამოიკვეთა სხვა ნაკლიც — კონტრაბანდა, მექრთამეობა და ა.შ. შექმნილი ისტუაცია ერთ-ერთ მიზეზი იყო, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებას (მუჭავირობას). „პორტო-ფრანგო“ 1886 წელს გაუქმდა.

1883 წლის 12 ივნისს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძვლზე ბათუმის ოლქი გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა დამტკიცდა. გუბერნატორის თანაშემწი უშუალოდ ბათუმის ოკრუგს განაგებდა.

ქალაქს არ გააჩნდა თვითმმართველობა, რაც დიდად უშლიდა ხელს მის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. 1885 წელს ბათუმის 90-მა მცხოვრებმა წერილობით მიმართა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსს, ბათუმისათვეს ქალაქის სტატუსის მინიჭების თაობაზე. 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ამავე წელს ჩატარდა ქალაქის სათათბიროს წევრების არჩევნები.

1903 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას გამოეყო.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი და მთლინად სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ეკონომიკურად ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აქ ბიძგი მისცა საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის აღმავლობას. ბათუმი როგორც მსხვილი საქალაქო ცენტრი, მისი პირველხარისხოვანი ნავსადგურით, წამყვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიისა და შუა აზის სატრანზიტო ვაჭრობაში.

პირველ მსოფლიო ომამდე ბათუმმა ევროპული ქალაქის იერი მიიღო, რაც მისი თვით-

მმართველობის პროგრესული მოღვაწეობის და ქალაქის შემოსავლების მიზანმიმართულად გამოყენების შედეგი იყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914-1918 წ.-წ.) პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაშიც შეცვალა. რუსეთის იმპერიაში 1917 წლის რევოლუციით გამოწვეულმა არასტაბილურობამ და ოქტომბრის გადატრიალების შედეგად წარმოქმნილმა სერიოზულმა ანარქიამ, გამოიწვია კავკასიის ფრონტის მოშლა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიური სხეულიდან ხელმეორედ მოწყვეტა.

როგორც ცნობილია, 1918 წლის 3 მარტს ბრესტში ბოლშევიკურ რუსეთსა და გერმანიას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების IV მუხლით ბათუმის, ყარსის და არდანის ოლქები თვითგამორკვევის საფუძველზე უნდა გამოსულიყო რუსეთის მფლობელობიდან და ალგენილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1877 წლის სახელმწიფო საზღვარი. ცხადია, მოვლენების ასეთი განვითარება აბსოლიტურად მიუღებელი იყო ამიერკავკასიისათვის. ბათუმის ოლქის საკითხის განხილვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1918 წ. 14 მარტიდან 5 აპრილამდე. ამიერკავკასიის დელეგაციის მიზანს წარმოადგენდა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლამდე არსებული საზღვრების შენარჩუნება, ხოლო ოსმალეთის დელეგაცია ამიერკავკასიის მხარისაგან ბრესტის საზავო გადაწყვეტილების უპირობოდ ცნობას მოითხოვდა. მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

1918 წლის 14 აპრილს ოსმალეთისა და ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურები შეთახმდნენ, რომ შექმნილი მდგომარეობა ჩაეთვალათ არა განხეთქილებად არამედ შესვენებად კონფერენციის მუშაობაში. სამწუხაროდ ეს შეთანხმება დაირღვა, იმავე დღეს ოსმალეთის ჯარმა მოახდინა ბათუმის ანექსია.

ტრაპიზონის კონფერენციის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა ბათუმის საზავო მოლაპარაკება, რომელიც ორ ეტაპად (1918 წლის 11-26 მაისი და 31 მაისი - 4 ივნისი) გაიმართა. პირველად ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის, ხოლო მეორე ეტაპზე, ამ უკანასკნელსა და ამიერკა-

კასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის. კონფერენციის პირველ ეტაპზე ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია (თავმჯდომარე ა. ჩხენკელი) უკვე ცდილობდა მოლაპარაკებას საფუძვლად დადებოდა ბრესტის საზავო შეთანხმება. ოსმალეთი კი, ზავის ახალ პირობებს მოითხოვდა. მათ იმდენად დიდი ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნდათ, რომ მისივე მოკავშირე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის პროტესტიც გამოიწვია.

შექმნილი სიტუაციიდან რეალურ გამოსავლად ითვლებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის რეალიზება. საბოლოოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ აქტი ბათუმი შემუშავდა და 26 მაისს თბილისში გაფორმდა.

ბათუმის საზავო კონფერენციის დასკვნით ეტაპზე, 1918 წლის 4 ივნისს ოსმალეთმა იარაღის მუქარით აიძულა ახალბედა საქართველოს რესპუბლიკა ბრესტის ზავით გათვალისწინებული ბათუმი, არტანის გარდა, დაეთმო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები.

ოსმალებმა სამხ. დას. საქართველოში შემოიღეს თავიანთი მმართველობა. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული ტრადიციებით გამორჩეული ბათუმის თვითმმართველობა არ გაუქმდებულა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ წერტილი დაუსვა ბათუმის ოლქში ისმალეთის ექვსთვიან საოკუპაციო რეჟიმს.

1919 წლის დასაწყისიდან ბათუმის ოლქი და ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა ანტანტის გამარჯვებულ სახელმწიფოთა საოკუპაციო ზონას. ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობამ ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორად დანიშნა გენერალი კუპროლის.

ინგლისელებმა საწყის ეტაპზე შექმნეს სამოქალაქო მმართველობის სტრუქტურაც – ბათუმის ოლქის მართვის საბჭო, რომელიც ძირითადად რუსული ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. საბჭოს, რომელსაც ხელმძღვანელობდა კადეტი პ. მასლოვი, გამოირჩეოდა, მკეთრი ანტიქართული ხასიათით. 1919 წლის 14 აპრილს გუბერნატორის ბრძანებით საბჭო დაშლილად გამოცხადდა.

1920 წლის 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. მართალია, ბოლშევიკურმა რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ დღითიდღე ცხადი ხდებოდა, რომ იგი მეზობელი ქვეყნის ხელმეორედ დასაპყრობად ემზადებოდა.

1921 წლის თებერვალს საბჭოთა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს იწყებს. ომის პირველ ეტაპზე მცირერიცხოვანმა ქართულმა არმიამ რამდენიმე გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ თებერვლის ბოლოს სასწორი მაინც დამპყრობთა მხარეს გადაიხარა და 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავა.

რუსეთსა და საქართველოს შორის წარმოებული ბრძოლებით ისარგებლა ოსმალეთმა და მას არდაგან-ართვინი წააგლიჯა. 10 მარტს ოსმალთა ერთი ბატალიონი ხულოსა და ქედაში შევიდა, 12 მარტს კი, თურქები ბათუმშიც გამოჩნდნენ. მათი დამატებითი ძალები ქალაქში 15-16 მარტსაც შედიან. თურქელი ხელისუფლების მიერ გავრცელებული ვერსიით, ისინი საქართველოდან რუსების განდევნას აპირებდნენ. თუმცა, 17 მარტს ოს-

მალთა ჯარმა ბათუმის ცენტრალური ფოსტა და სხვა სტრატეგიული ობიექტები დაიკავა, რითაც დადასტურდა, რომ მათი მიზანი რეგიონის ანექსია იყო.

17 მარტსვე მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანია და ხელისუფლების სხვა წევრები ბათუმის პორტიდან ემიგრაციაში მიდიან. აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში უკან დახეული ქართული არმია გარდაუვალი კაპიტულაციის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, სარდლობა იღებს გადაწყვეტილებას, რომ ჯარმა სამშობლოსთვის უკანასკნელი ვალი აღასრულოს და საქართველოს ოსმალთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნოს. არმიას მოხალისეები საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან უერთდებიან.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით 18 მარტს ბათუმისათვის ბრძოლები იწყება. 21 მარტს კი, ქართველებმა ოსმალები ბათუმიდან განდევნეს და აჭარა საქართველოს შეუნარჩუნეს. სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირები ბათუმში ყოფილ „აზიზიეს მოედანზე”, ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე დაკრძალუს.



## სელიმ ხიმშიაშვილი

„ოქენე შეგიძლიათ ჩემი თავი ჩემს სხეულს მოა-  
შოროთ, მაგრამ აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება.  
ამას მე ჩემს შვილებს ანდერძად დავუბარებ.“

სელიმ ხიმშიაშვილი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გან-  
თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძო-  
ლი სელიმ ხიმშიაშვილი დაიბადა 1755 წელს  
ხულოს მახლობლად, სოფელ ნიგაზეულში.

ხიმშიაშვილები აჭარის მმართველებად  
XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან ჩანა. ისტორიულ წყაროებში ხიმშიაშვილთა აღ-  
ზევება სელიმის მამის აბდულ-ბეგის სახ-  
ელთანაა დაკავშირებული. როგორც გ.ყაზბეგი  
აღნიშნავს „აბდულ ხიმშიაშვილმა „დიდი  
გაუკაცობა“ გამოიჩინა, დაწინაურდა ოსმალე-  
თის სამსახურში და სულთანის მიერ ის  
მექვიდრეობით დამტკიცებული იქნა აჭარ-

ის მმართველად. აბდულ ხიმშიაშვილი 1784  
წლის 29 მაისს დაიღუპა გურიაში, სოფელ  
აკეთს. აბდულ-ბეგის გარდაცვალების შემდეგ  
აჭარის მმართველობა მექვიდრეობით ხვდა  
წილად მის შვილს - სელიმ ხიმშიაშვილს.

სელიმი თავისი დროის ცნობილი პოლი-  
ტიკური მოღვაწეა, რომელმაც ღრმა კვალი  
დამჩნია ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ  
საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძო-  
ლას. მან ისარგებლა XVIII-XIX საუკუნის  
მიჯნაზე ოსმალთა იმპერიაში გაჩაღებული  
სეპარატისტული მოძრაობით, თავად ჩაება  
მასში და ორჯერ 1803-1809 და 1812-1815  
წლებში ამაღლდა ახალციხის საფაშოს ტახ-  
ტზე. ს.ხიმშიაშვილმა, წინარე სამუსლიმანო  
საქართველოს ყველა სხვა ფაშებისაგან გან-  
სხვავებით, პირველმა გამოამჟღავნა პორტასა-  
გან გამოყოფის სურვილი და გვიანფეოდა-  
ლურ საქართველოს ორი დიდი ლოზუნგიდან  
- „გამოხსნა“ და „აღდგომა“ დღის წესრიგში  
დააყენა პირველი ლოზუნგი - „გამოხსნა“  
- სამხრეთ საქართველოს დიდი ტერიტო-  
რიისა, რაც აშკარად პროგრესი იყო. ამით  
მან „სამუსლიმანო საქართველოს“ პოლი-  
ტიკოსთაგან პირველმა, ხელი შეუწყო ოსმა-  
ლეთის ბატონობის დასუსტებას, მოსახლეო-  
ბის ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების  
გამოფხიზლება-ამაღლებას და განმათავისუ-  
ფლებელი ბრძოლის გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ ს.ხიმშიაშვილს კავში-  
რი და მიმოწერა პქონდა კავკასიის რუსულ  
ხელისუფლებასთან, მჭიდრო ურთიერთობა,  
შეხვედრები და მოყვრობაც კი - ქართულ  
სამეფო-სამთავროებთან, თავად-აზნაურობას-  
თან, პოლიტიკოსებთან. ის 1798 წელს ეს-



წრებოდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II დასაფლავებას, ეხმარებოდა იმერეთის მეფეს - სოლომონ მეორესა და ქართლ-კახეთის ტახტის დაუცხრომელ მაძიებელს ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონს.

სელიმი, როგორც აჭარის მმართველი, ნომინალურად ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას, მაგრამ შექმნილ ვითარებას ვერ ურიგდებოდა და პირველ ეტაპზე იბრძოდა ახალციხის საფაშო ტახტზე პროქართული, მისთვის სასურველი კანდიდატურის გაყვანისათვის, ხოლო შემდეგ გაუჩნდა სურვილი საფაშო ტახტის დაუფლებისა, საიდანაც მისი მიზნების შესრულება უფრო ეფექტური და რეალური იქნებოდა.



1801 წლიდან, რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ, სელიმი უფრო აქტიურად მოქმედებს და თავისი ჯარით შეტევაზე გადადის. სელიმსა და ახალციხის ფაშას (შერიფ-ფაშას) შორის წარმოებულ ბრძოლის დროს ოსმალთა მთავრობა თავდაპირველად მაყურებლის როლში გამოდის, უცდიდა ვინ გაიმარჯვებდა, როდესაც სულთანი დარწმუნ-

და, რომ სელიმ-ფაშამ სძლია მოწინააღმდეგეს, ოფიციალურად გამოუგზავნა ფაშობასთან დაკავშირებული რეგალიები და სამთულიანი (უმაღლესი ხარისხის) ფაშის წოდება მიანიჭა.

სელიმს სულთანი და მისი სერასკირები ანგარიშს უწევდნენ. იგი ძლიერია, მასთან ხალხია, თან საიდუმლოდ რუსეთის სარდლობაც ეხმარება. მართლაც დიდების ზენიტში მდგრმი სელიმი ამიერიდან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთთან. სელიმი და ქართველი საზოგადოება გრძნობდნენ, რომ სამხრეთ საქართველოს გამოხსნა შესაძლებელი იყო რუსეთის დახმარებით, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთობლივი ბრძოლით. სულ უფრო აქტიური ხდება სელიმ ხიმშიაშვილისა და კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლების და გენერლების - ციციანოვის (ციციშვილი), ტორმასოვის, გულოვიჩის, ქართველი თავადაზნაურების მიმოწერა და ურთიერთობები. ერთ წერილში სელიმი ციციანოვს წერს - „მე არამც თუ თქვენთან ომი მინდა, არამედ მენატრება, თქვენის ჯარის დახმარებით მთელი ამ გურჯისტანის ადგილები ჩამოიერთვას ოსმალეთს და გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ათაბაგების დროს ოყოო“.

რუსეთთან და საქართველოსთან ურთიერთობების გამო სელიმ ხიმშიაშვილი საბოლოოდ დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას. სელიმის თავდაუზოგავი ბრძოლით შეიქმნა პირობები სამხრეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოსახსნელად, მაგრამ ასეთი ხელსაყრელი ვითარება რუსეთის გენერლობამ ევროპა-მცირე აზიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და სუბიექტური მიზეზების გამო ვერ გამოიყენა.

სელიმის გაძლიერებას ვერ ურუგდებოდნენ და მის წინააღმდეგ, სულთანის წაქეზებით იბრძოდნენ ყარსის და სხვა ვილაეთების ფაშები, ერზრუმის სერასკირი, რაც 1815 წლამდე გრძელდებოდა.

სელიმ ხიმშიაშვილის მოქმედებამ სულთანი ააფორიაქა. მან სელიმი მოღალატედ გამოაცხადა, გამოსცა ფირმანი ფაშობიდან გადაეყენებისა და დასჯის შესახებ.

1815 წლის 10 ივნისს ამიერკავკასიის მთავარმმართველი გენერალი რტიშჩევი სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველს ვეიდემეირს სწერდა: „არზრუმის სერასკირმა ბაბა-ფაშა ფეპლევნმა, რომელიც მართლა ჩამოვიდა 15-ათასიანი არმიით ახალციხის საფაშოში, დაუყონებლივ გამოჰყო 6 ათასი ჯარისკაცის-აგან შემდგარი რჩეული რაზმი, რათა გარს შემოერტყას აჭარის თითქმის მიუვალ ხიხანის ციხე-სიმაგრეს, სადაც ახალციხიდან გაძევების შეძლევ სელიმ ხიმმიაშვილმა თავი შეაფარა მოელი თავისი ოჯახით. აჭარა მისი საგვარეულო მაბულია. ამ ჯარებმა, რომელთაც რამდენიმე დღის განმავლობაში გამოცხადებული ჰქონდათ ციხის ბლოკადა, ვერაფერი ვრ შესძლეს. შესაძლოა ამათაც ისეთი ბედი სწვეოდათ როგორიც სერასკირის მიერ წინათ გაგზავნილ ორ რაზმს, რომელებიც მოგერიებულ და დამარცხებულ იქნენ, რომ სელიმ-ფაშის ყველაზე უფრო საყვარელ ადამიანს, რომელიც მისი სრული ნდობით სარგებლობდა, არ გაედო ციხის ალაყაფის კარები სერასკირის ჯარებისათვის და არ ჩაებარებინა ციხე და თვით სელიმ-ფაშაც არ გადაეცა მის განკარგულებაში... ამგვარად, ბაბა-ფაშამ ხელთ იგდო ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ამბოხებული სელიმი, თავი მოჰკვეთა მას და „ცარგრადში“ (სტამბოლი) გაუგზავნა სულთანს.

ბოლო დროს მეცნიერ-მექლევართა ერთი ნაწილი წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმა-მენ მოსაზრებას, რომ ხიხანში შეფარებული

სელიმი არავითარი ღალატის მსხვერპლი არ ყოფილა. ის ყოველდღიურად ხედავდა რა ხეობის სოფლების მოსახლეობის დაწიოკებასა და მსხვერპლს, თვით ჩაბარდა ბაბა-ფაშას, რათა ეხსნა საკუთარი კუთხე და ხალხი განადგურებისაგან.

1815 წლის 3 ივნისს ხიხანის ციხესთან ახლოს მდებარე სოფელ ბაკი-ბაკოში, სერიფანის ფერდობზე თავი მოკვეთეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ეროვნულ გმირს - სელიმ ხიმშიაშვილს.

თავის მოკვეთის წინ სელიმმა ბაბა-ფაშას პირში მიახალა საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები - „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყით, რომ გურვისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“.

მოკვეთილი თავი სულთანს ჩაუტანეს სტამბულში, რომელსაც გადმოცემის თანახმად სელიმისი მკვდელები სამაგალითოდ დაუსჯია, ხოლო თავი დიდი პატივით დაუკრძალავთ სულტანების სასაფლაოზე. ტანი ჯერ სოფელ ბაკოს მახლობლათ შიგანაში დაუმარხავთ, ხოლო შემდეგ, მის მეუღლეს - ელმას ხანუმს გაღმოუსვენებია და მის მშობლიურ სოფელ ნიგაზეულში წყანიშურის უანში ხიმშიაშვილთა საგვარეულო სასაფლაოზე დაუმარხავს, სადაც საფლავზე მისი ძლიერების და მარადიულობის სიმბოლოდ ერთად შეზრდილი ნაძვი და მუხა ამოსულა.

## მელაპარაკე ქართულად

არ არსებულა,  
არ თქმულა,  
ზღვა ამოევსოს მდინარეს,  
მელაპარაკე ქართულად, —  
გუმბათი ეტყვის მინარეთს.

მელაპარაკე ქართულად,  
წყალში მდგომს წყალი მწყურია.  
ვერ ვეგუები ამ სურათს  
ენა სამშობლოს გულია.

ამ ენის სათავეებთან  
უფლის სურვილი ჩათქმულა...  
ქედს ნუ მოვიდრექთ დევებთან,  
მელაპარაკე ქართულად!

წიგნიდან „როცა სული მთხოვს“  
გამომც. „აჭარა“, 2013, გვ.8.

## მირიან (გურიან) დავითაძე

ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### სავარდებო

ტბეთში ასული კაცი, ცენტრში, ღურლუმელა დელესთან ახლოს მდებარე კივრებიდან სამოთხ ასეულ მეტრს გაივლის, წმინდისერს სამხრეთ-დასავლეთიდან შემოუვლის და ელიაწ-მინდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე სავარდებოში აღმოჩნდება.

თბილი და მზიანია სავარდებო. ირიჟრაჟებს თუ არა, მზე გომანის მთას ამოანათებს და მისი მცხუნვარე სხივები სავარდებოდს ეცემა.

სავარდებო მიმზიდველი ადგილია. ყველას სურს მისი ნახვა. მისდამი ინტერესი არამ-არტო დღევანდელმა, არამედ უძველსმა, სულიერმა ძალამ განაპირობა.



ტბეთის არე-მარეში ჭურკვეთის მახატავრის ოდენა დაგაკებაზე – ელიაწმინდის სავარდებოში ყველაზე ბევრი ასკილი ხარობს. ეს ველური ვარდი აქ მრავალფეროვანია : მუქი და ღია წითელი, ალისფერი, თეთრი და ყვითელ გვირგვინიანიც კი შეუმჩნევიათ.

ელიაწმინდაზე არქეოლოგიური სამუშაოები ჯერჯერობით არ ჩატარებულა. წმინდისერ-ელიაწმინდა-სავარდებოს მიწა ბევრი სიწმინდე-სიძველის შემომნახველია. აქ დიდ სამონას-ტრო ეზო-კარს მოხატული სავარდებო ამშვენებდა.

წმინდისერი ტბეთის ყველა კუთხიდან თითქმის თანაბარი მანძილითაა დაშორებული და კარგათაც მოჩანს. აქედან ზართა სასიამოვნო წკრიალი ერთნაირად ესმოდათ ყველგან : ჭურკვეთში, პატარეთში, გოჩიტეტში, ლომსიანეთში, ვახტანგეთში და გოგიეთში. ზარის ხმა მეზობელ წაბლანაშიც კარგად ისმოდა და ლაპლაკეთ-ცინარეთსაც წვდებოდა. წმინდა ადგილი ლოცვისათვის უხმობდა ყოველ ქართველს.

უჩამბის ხეობის მოსახლეობა დღეს ელიაწმინდაზე მრავალწანაგა, ლამაზი, ჯარგვალით ნაშენი ეკლესის აგებაზე ფიქრობს. მის ეზო-გარემოს სავარდებო დაამშვენებს. აქ მოსული მართლმადიდებელი მრევლი კი მამულის მარადჟამობისათვის ილოცებს.



## დედისა და ქალის ფეხმანი

საქართველო გმირი და სათაყვანებელი ქალების ქვეყანაა, ისინი უპრეტენზიოდ ქმნიდნენ ისტორიას და დღესაც ასე აკრძელებენ სიცოცხლეს; ენას, კულტურას და სარწმუნოებას სათუთად ინახავდნენ, ოდითგან ქართველი ქალი ზნეობათა სათავე იყო, მტკიცედ ედგა დედაბომად ოჯახსა და სამშობლოს, ამიტომაც ქართველი კაცი უზომო პატივს მიაგებდა ქალს, ზნეობრიობის ბურჯად მიიჩნევდა. სწორედ ამიტომაც დომინირებდა ქალის კულტი ძველ საქართველოში.....

- თუ რომელიმე ერის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო. ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ზალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსიცა, - ბრძანებდა დიდი აკაკი....

ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა-გვმოძლვრაგს ვაჟა ფშაველა.

ბიბლიაში მრავალი ქალის სახელია მოხსენებული. ზოგიერთმა ქალმა ღრმა კვალი დატოვა ისტორიაში, ზოგი მათგანი კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხსაც განაპირობებდა. ამის დასტურად ქალთა მოდგმის სიამაყის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენება კმარა. ოდითგანვე გვყავდა ქალი წმინდანები. სამშობლოს სამსხვერპლოზე თავშეწირულნი და მამულის სამსახურში დაფურფლილნი. ქართველ ქალს ძლევამოსილი მეფის გვირგვინიც ამშვენებდა. რად ღირს დიდებული მეფეთმეფე თამარის სახელი, რომლის წინამდლობრიბისა და მფარველობის დროს ქართველი ერი მედგარი ძლიერი რაინდული და კეთილშობილი იყო..

ქალი იყო მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა შედევრების შთაგონების წყარო. ქართველმა

მწერლობამ ჯერ კიდევ მე-5-ე საუკუნეში შეამკო რწმენა ურყევი, პრინციპული, შეუპოვარი, მებრძოლი ქალის-შუმანიკის შესანიშნავი სახე.

ქართულმა ენამ დააკანონა ბძენი ილიას გამოთქმა. “ქართვლის დედა“ და ამით სამუდამოდ აამაღლა ქალის ღირსება და ქართვლის დედა საქართველოს სიმბოლოდ აქცია. სწორედ ამით არის შთაგონებული და უმაღლეს პოეტურ საფუძველზე აყვანილი ქალთა უკვდავუბერებელი ჰიმნი რუსთველისა; “ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს თუნდაც ხვადია”...

ყოველი ღირსეული ოჯახი ვალდებულია ერის მომავალზე იფიქროს, პირველ რიგში ამრავლოს ერი, იზრუნოს ღირსეული თაობის, ღირსეული მემკვიდრის დატოვებაზე. შვილის აღზრდა ეს იგივეა რაც საზოგადოების აღზრდა. საზოგადოება კი გამომდინარეობს ოჯახიდან, რომლის სული ქალია. საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯაში და გარეთ სიკეთეს თესდეს. ესმოდეს რას ემსახუროს და რა აზრები გაავრცელოს. როგორ დამოძლვროს შვილები. ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდევაც აღადგინოს.

დღეს უდიდესი ენერგიით იბრძვის, იღწვის და იკვლევს ქართველი ქალი, მონაწილეობს ეროვნული კულტურის შექმნასა და განვითარებაში, ზრდის შვილებს, უვლის ოჯახს, მან კარგად იცის, როგორ დაიცვას ქართველ ქალური იერსახე, თავდაჭრილობა. კდემამოსილება, მაღალი ზნეობა, მოქალაქეობრივი შეგნება.

ქალის ფეხმენი ჩვენს მრავალტანჯულ ისტორიულ ტაო-კლარჯეთის ულამაზეს კუთხეში-აჭარაში. განასაკუთრებულია... ბედის უკუღმარ-

თობა საქართველოს ძირმცველ კუთხეს გამოცდას უწყობდა, მმიმე და რთულია აჭარის ქალთა წარ-სული ცხოვრების გზა, სამასწლიანმა ქარტეხ-ილებმა ქალთა ღირსება კიდევ უფრო გამოკვე-თა. ოსმალთა ბატონობამ დაღი ვერ დააჩნია ჩვენი მხრის მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალის ყოფას. მაგრამ ეროვნული ფესვი ამოძირებას გადაარჩინა ჩვენმა შესანიშნავმა დედებმა, არ გააცივეს ქართული კერა, არ მო-შალეს ეროვნული ზნე-ჩვეულებანი. მოიგონეს „დედაბრული“ ქართული ანბანი და შეილებს ქართულად წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ამი-ტომაც ჩვენი დიდი დედა არა მარტო ჩვენი, არამედ ქართული ენის მშობელიცაა და დამ-სახურებულად აგვიას გმირი ქალის რანგში.

იაკობ გოგებაშვილი აჭარის შესახებ წერდა:

„საუკეთესო ზნეობრივი თვისებები აჭარლებისა არის მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მი-გებება, ღირსეულად თავის დაჭერა, ზრდილობა, თავაზიანობა, დაუღალავი გამრჯეობა. .

სწორედ ქართველი ქალის ფერომენმა რომ ნაყოფიერად ითანამშრომლოს თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და სამართ-ლებრივი სახემწიფოს აღმშენებლობაში, აჭარა-ში ქალთა საინიციატივო ჯგუფმა დავაფუძნეთ საზოგადოებრივი მოძრაობა “ქალთა ლაშქარი“ - საქართველოს დასაცავად. ჩვენი მიზანია კვ-ლავაც ხელი შევიწყოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ქალის როლისა და აქტიურობის ამაღლებას. როგორც ყოველთვის, ახლაც თავის წონად სიტყვას აჭარის ქალებიც იტყვიან.

საქართველოში დღეს ისევ ქალის წმინ-და მანდილმა უნდა ჩამოაგდოს მშვიდობა ისევ დედამ უნდა აუნთოს ერს რწმენის სანთელი, აღადგინოს სიწმინდე და ზნეობრიობა, დაიცვას ოჯახისა და ქვეყნის ღირსება...

### ლოცვად მოვსულვარ

თეთრი მთებიდან წამოვსულვარ  
ძველი სიზმრებით,  
ახალი წელი ჩემთან ერთად  
ოჯახს წვევია  
ავმელერებულვარ მეშვიდე ზმად  
თბილი რითმებით,  
ანგელოზები სულში თბილად  
ჩამსახლებია

ლოცვად მოვსულვარ მომყოლია  
ზღაპრის გმირები  
ლეგენდებიდან, მითებიდან  
სევდა მწვევია  
შემომჩვევია სიყვარული  
წრფელი ფიქრებით  
ხიხანის ციხის სიძლიერედ  
შემომრჩენია  
ლოცვად მოვსულვარ  
გამჩენია რწმენა იმედი  
ცის მნათობები, დედამიწა  
გარს მეხვევიან  
ქალ-ვაჟი ქვეყნის სადიდებლად  
გამიჩნია  
რაც სიყვარულით მოვიპოვე  
ეხლა ჩემია.

### გაიღვიძე საქართველოვ

გაიღვიძე საქართველოვ!  
ჭრილობები გაგვიახლეს,  
მმა-მმას გადაკიდებია,  
ქართლის სული ლამის წახდეს  
გთალეს დღისით, გთალეს მზისით,  
სამახაბლო ჩამოგთალეს,  
გთალეს მტრის და მოყვრის ხელით  
აფხაზეთიც ჩამოგთალეს,  
ჩვენი კუთხის იდგა ჯერი,  
ჩანაფიქრი ვერ დამალეს,  
ხან ეკრანით შეგვესივნენ,  
ხან გაზეთით შეგვედავნენ,  
ხან გაზარდეს ჩვენი კუთხე  
და ხან დაგვიპატარავეს.  
ვერ გაიგებ ვინ ვის ლანძღავს,  
ვერ გაიგებ ვინ ვის აქებს  
ბოროტება მართავს საჭეს,  
ერის კაცებს უგებს მახეს,  
გაიღვიძე საქართველოვ!  
მტერი ითვლის წუთებს, წამებს  
ნაბიჯ-ნაბიჯ გვეპარება  
მკვდარი ცოცხალს ასამარებს.  
ამნაირად ხალხის მტანჯველს  
ისტორია არქმევს სახელს  
გაიგვიძე საქართველოვ!

გ ა ი ღ ვ ი ძ ე!                    გ ა ი ღ ვ ი ძ ე!

## ისტორიული ქობულეთის ტურისტული პრიორიტეტები

ქობულეთი კლიმატურ ბალნეოლოგიური კურორტი, XX საუკუნის 30-იან წლებიდან რეგიონალური მნიშვნელობის კურორტად ითვლებოდა. XIXს-ის მეორე ნახევარში ქობულეთი იქცა ელიტარულ კურორტად. აქ საუბარია არა მთლიანად დასახლებულ პუნქტზე, არამედ ზღვისპირა ზოლზე, რომელიც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II - ის განკარგულებით გადაეცა საუკეთესო მთავარსარდლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რუსულ-თურქული კამპანიის დროს.

გავლენიანმა მაღალჩინოსნებმა სათანადოდ შეაფასეს ნაჩუქარი მიწის მნიშვნელობა და დაიწყეს ქობულეთის ზღვისპირა ზოლში მდიდრული აგარაკების გაშენება, სადაც ოჯახის წევრებთან ერთად ატარებდნენ ზაფხულისა და ზამთრის შვებულებებს.

ქობულეთის გამაჯანსაღებელმა კლიმატმა, სულ მაღალ გაითქვა სახელი უზარმაზარ იმპერიაში და აქ თუნდაც, რამდენიმე დღის გატარება რჩეული საზოგადოებისათვის ყველაზე დიდი სიამოვნება იყო. კურორტზე არა მხოლოდ საუბრობდნენ, არამედ წერდნენ კიდეც. ამის მტკიცებულებაა მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები იმ დროისათვის ყველაზე ცნობილი გაზეთის „კავკაზის“ ფურცლებზე, სადაც გამოჩენილი ექიმები პანტიუხოვი და პერედელსკი წერდნენ ქობულეთის უნიკალური გამაჯანსაღებელი ჰავის შესახებ. ისინი იხსენიებენ ქობულეთს, როგორც „სმოლენსკას“ (ასე ერქვა რუსული დიდგვაროვნების სასახლეებს) და უწოდებდნენ „რუსულ რივიერას“. გარდა ამისა ავტორები იშველიებდნენ ექიმ პრეობრაჟენსკის და პროფესორ შერბაკოვის სიტყვებს, რომლის მიხედვითაც ქობულეთის ჰავა საუკეთესოდ მოქმედებს გულისხმობრდვთა, ნერვულ სისტემასა და სასუნთქორებლის გადავიდა. ერთ-ერთი საუკე-

თესო აგარაკი, რომელსაც სამედიცინო თვალ-საზრისით იდეალური ადგილმდებარეობა ჰქონდა, ლავრენტი ბერიას საკუთრება გახდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბერია მოსკოვში გადავიდა, მისი აგარაკი სანატორიუმად გადაკეთდა. რომელსაც „საქართველო“ დაარქევს. იგი ერთ-ერთ პრესტიულულ დასასგენებელ ადგილად ითვლებოდა საბჭოთა კავშირში, აქ დასვენებისა და მკურნალობის უფლება მხოლოდ რჩეულებს ჰქონდათ, მათ რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი მეცნიერები, კინოსა და თეატრის მოღვაწეები.

ეს ყველაფერი ქობულეთის ახლო წარსულს მოიცავს, თუ გადავხდავთ უფრო მორეულ ისტორიას მივხდებით, რომ ქობულეთი არის გამორჩეული ქალაქი თავისი ისტორიული, კულტურული თუ ტურისტული მონაპოვარით.

ტურისტებისთვის ქობულეთი საინტერესოა განსაკუთრებით მდიდარი ქვის ხანის, ადრე ფეოდალური და ანტიკური არქეოლოგიური ძეგლებით, რაც ძველ კოლხეთსა და საერთოდ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის წარმოქმნას ადასტურებს. ძველი კოლხეთისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისათვის მეტად მდიდარ და მრავალფეროვან მასალებს იძლევა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქრის გათხრები. ქობულეთის ფიჭვნარი მდებარეობს ქობულეთის ჩრდილოეთით, საქალაქო ცენტრიდან დაახლოებით 10კმ-ზე, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან. საქართველოს ზღვისპირეთის სხვა თანადროულ ძეგლებთან შედარებით ფიჭვნარში უკეთ არის შემონახული წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური, და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები, სახელოსნო უბნები და საკულტო ადგილები; მიკვლეულია ნაქალაქართან უშუალოდ დაკავშირებული ადგილობრივი, კოლხური მოსახლეობის ადრეანტიკური, ძვ.წ.

V. ს ბერძენ მოახალშენეთა, ძვ. წ. IV ს. და ადრეელინისტური ხანის ვრცელი სამაროვნები. ფიჭვნარის მრავალრიცხოვან მონაპოვარში ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს უცხოური, შემოტანილი კერამიკული ნაწარმი, რომელიც უძირფასეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს ძველი კოლხეთის ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ადრე დაწინაურებულ ცენტრებთან სავაჭრო - ეკონომიკური და კულტურულ ურთიერთობათა შესწავლისათვის. ფიჭვნარში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით დასტურდება, რომ ღრმა ისტორიული ფესვების ძქონე ძველი კოლხეთისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობას შედარებით ორგანიზებული, სისტემატიური ხასიათი ძვ. წ. აღ.VIIს-ის მე-II ნახევრიდან მიუღია.

პირველ ხანებში ჩვენში უპირატესად გავრცელებულია საბერძნეთის იონურ ცენტრებში დამზადებული ე. წ სადა ზოლებიანი როდოსულ - იონური კერამიკული ნაწარმი. ბათუმის ციხის, ფიჭვნარისა და ფოთის მიდამოებში წარმოებული გათხრებისას აღმოჩენილია მათი საკმაოდ ადრეული ნიმუშებიც, მაგრამ მათი რიცხვი საკმაოდ მცირება, ამიტომ ამ პერიოდისთვის იონური ნაწარმის ინტენსიურ იმპორტზე საუბარი ნაადრევი იქნებოდა: სამაგიეროდ დ. წ. VI ს-ის შეს წლებიდან მათი რიცხვი საკმაოდ მომრავლდა: ზოგჯერ სადა ზოლებიანი იონური კერამიკული ნაწარმის მთლიანი ნიმუშები ფიჭვნარის ძვ. წ. V ს-ის ბერძენ მოახალშენეთა სამარხეულ კომპლექსებში გვხდება. ესენია საღვინე თასები, სკიფოსები, ენოხოს ტიპის ჭურჭელი, მფორისები, ლეკითოსები და ა.შ. ისინი დამზადებულია სუფთა, კარგად განლექილი თიხისაგან, რომელთა გამოწვა ღია მოვარდისფრო, მოწითალო ან ყავისფერია, ზოგჯერ შერეულია მოთეთრო ნაწილაკები ან ქარსი. ჭურჭლის ზედაპირი კარგადაა მოპრიალებული. ლაკი, რომლითაც ჩვეულებრივ ზოლებია მოხატული ან ჭურჭლის ზედაპირია დაფურული, ყავისფერია.

ფიჭვნარის მონაპოვარმა მნიშვლელოვნად გაამდიდრა ერთობ მწირი ცნობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საბერძნეთის მატერიალურ ცენტრ ათენთან ურთიერთობის შესახებ. სახეზეა საკმაოდ უტყუარი მასალები, რომლე-

ბიც შესაძლებლობას იძლევა თვალი ვადევნოთ ამ ურთიერთობათა ხასიათს მთელ კლასიკურ ხანაში. მსგავსად იონურისა, ატიკური შავლაკიანი კერამიკული ნაწარმი ფიჭვნარში აღმოჩენილია როგორც კულტურულ ფენებში, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი რაოდნობით სამაროვნების გათხრებისას. აღნიშნული მეთოდით მშვენიერი გემოგებით დამზადებული მაღალმხატვრული ატიკური კერამიკული ნაწარმი ძვ.წ. VI ს-ის II ნახევრიდან თანდათანობით იპყრობს საერთაშორისო ბაზარს. სწორედ ამ საუკუნის ბოლოდან ფიჭვნარის და საერთოდ, კოლხური მოსახლეობა ებმება ათენთან სავაჭრო - ეკონომიკურ ურთიერთობაში. ფიჭვნარის გვიანარქულ ფენებში (ძვ.წ. VI ს. ბოლო -V ს. დამდევი) არაერთგზის არის აღმოჩენილი ატიკური მოხატული შავფიგურიანი თუ სადა შავლაკიანი საღვინე ჭურჭლების - კილიკების, თასებისა თუ სხვათა ნატეხები.

არქეოლოგებისა და მკვლევარების შეფასებით ფიჭვნარი უდიდესი ძეგლია, რომლის შესწავლა საწყის ფაზაშია. 2012 წლის არქეოლოგიური გათხრები, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა არქეოლოგებისთვის. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ დააფინანსა ხუთთვანი არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ნაქალაქარში. ექსპედიციის უმთავრესი მიღწევა იყო ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნის ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვანის აღმოჩენა შესწავლილი იქნა 2 400 წლის წინანდელი 14 სამარხი. მანამდე, აღმოჩენილი იყო უფრო ადრეული, ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის კოლხური მოსახლეობის სამაროვანი. სულ გათხრილია 450 სამარხი, მოპოვებულია ელინიზმის ეპოქის, მეოთხე-მესამე საუკუნეების უმდიდრესი მასალა. ასევე მოკვლეულია ადგილობრივი მოსახლეობის 280 სამარხი. ახლად აღმოჩენილ სამარხებში მრავლად იყო წარმოდგენილი კერამიკა, სამკაულები, მონეტები. ასე რომ, ამ ეპოქის სამაროვანი პირველად იქნა გამოკვლეული ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების ისტორიაში. მეორე დიდი სამაროვანი, რომელზეც გაგრძელდა გათხრები,

ჭელი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნით  
დათარიღებული ბერძნული ნეკროპოლია. 26  
ახალი სამარხი აღმოჩნდა და 16 სააღაპო  
მოედანი ძალიან საინტერესო მასალებით. მოპ-  
ოვებულია მოხატული შესანიშნავი ჭურჭელი,  
რომლის მსგავსი აღრე არ გვქონია, სხვადასხ-  
ვა სახის ორნამენტული კერამიკა, კოლხური  
ჭურჭელი, სამკაულები, (განსაკუთრებით მრავ-  
ლადაა მძივები), სინოპური მონეტა. სინოპა  
დიდი ქალაქი იყო, რომელიც ბერძნული კოლ-  
ონიზაციის შედეგად, ჯერ კიდევ ჩვენს წელ-  
თაღრიცხვამდე მერვე საუკუნეში დაარსეს. ამ  
ქალაქს მჭიდრო კავშირი ჰქონდა კოლხეთთან.  
საქართველოს ზღვისპირეთში ყველაზე დიდი  
მასალა სინოპისა და კოლხეთის ურთიერთო-  
ბისა, სწორედ ფიჭვნარში არის აღმოჩნდილი  
და იგი წელს კიდევ უფრო გამდიდრდა.

ამ აღმოჩენებით დასტურდება, რომ კოლხეური კლასიკა ამ პერიოდისათვის თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ამ სამეცნიში ძალიან დიდ როლს თამაშობს ფიჭვნარის დასახლება. აյ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში წარმოდგენილია სამი ცენტრის - თაზოსის, ბიზანტიონისა და პერაკლებას ამფორები. ასე რომ, სახეზე გვაქვს ძალიან მაღალი კულტურა, როგორც ადგილობრივი კოლხური, ასევე ბერძნული.

ქობულეთი ტურისტული თვალსაზრისით  
მნიშვნელოვნია იმითაც, რომ სწორედ ეს არის  
ის ადგილი, სადაც სამი დაცული ტერიტორია  
მდებარეობს. ქობულეთის კინტრიშის ხეობის  
ისტორია აღრეული პერიოდიდან მოდის, კინ-  
ტრიშის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ  
დასახლებებში ქადაგება ჯერ კიდევ პირველ  
საუკუნეებში დაიწყო ანდრია მოციქულმა. მდი-  
ნარე კინტრიშზე შემორჩენილია შუა საუკუ-  
ნეების თაღოვანი ხიდების ნანგრევები. ხოლო  
მის უშუალო სიახლოვეს მყოფი ისტორი-  
ული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ხინო წმინ-  
დის ეკლესია სოფელ დიდვაკის მახლობლად,  
ელიას ციხე ჭახათის მთაზედა მამუკას ციხე  
სოფელ ალაშბარში.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიას საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩინა, ის ქალაქ ქობულეთიდან 20-25 კილომეტრითაა დაშორებული. დაცულ ტერიტორიაზე შესაძლე-

ბელია საწყალოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური, რელიგიური და კულტურული ტურების მოწყობა. თაღლვანი ხიდები, ბზების კორომები, აღმოჩენილი ლვინის მარანი, წმ. გიორგის დედათა მონასტერი, ჩანჩქერები, არ დატოვებს გულგრილს აյ მოსულ სტუმარს. კინტრიშის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედის 1959 წელს დაარსებული კინტრიშის დაცული ნაკრძალი, რომელიც მოიცავს სოფელ ცხემლოვანსა და ხინოს მთის შუა ნაწილს. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ქვემო საზღვარი ზღვის დონიდან 250-300 მეტრზე გადის. ნაკრძალის წყლის მთავარი არტერია, მდინარე კინტრიში, სათავეს ხინოს მთიდან იღებს და კურორტ ქობულეთის სიახლოვეს შავ ზღვაში ჩაედინება. მისი სიგრძე 45 კმ-ია. მისი დიდი და მცირე შენაკადებია: ხეკნარა, პერანგა, მამედაღი, დიდლელე, მისანათის ღელე, რომლის მშვენება 30 მეტრიანი თვალწარმტაცი ჩანჩქერია. მაღლა მოებში 2200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებულია ორი პატარა ტბა, ტბიყელი და სიძრძალი, რომელთა ფართობი 1,5 ჰექტარს არ აღემატება, აქედან პირველი ტბა უმუალოდ ნაკრძალის ტერიტორიაზეა, მეორე კი-მის საზღვრებს გარეთ.

კინტრიშის ხეობის ლაშქრობისთვის დანიშნულების პუნქტთან უახლოესი დასახლებული პუქტია სოფელი ჭახათი, მარშუტის სიგრძე თბილისიდან ტრანსპორტით:

თბილისი -ქობულეთი -360გმ

ბათუმი - ქობულეთი 28 გმ

ქობულეთი - ხინოს მონასტერი - 40 კმ

დაცული ტერიტორია მდიდარია ფლორითა და ფაუნით, სადაც ჭურისტთა ყურადღებას იქცევს ბზის კორომები, უთხოვარის ტყები,



ტბა ტბიყელი. კინტრიშის ხეობის ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს წმ. გიორგის სახელობის დედათა მონასტერი, ასევე ხინოს ოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი, რომელიც ცნობილი საქაპისკოპოსო და ხინოწმინდის საბრძანისი გახლდათ. ხონოწმინდის საქაპისკოპოსო კათედრამ სუნთქვა XVIII საუკუნის 80-იან წლებში, ოსმალთა სასტიკი თარეშის დროს შეწყვიტა და ერთ დროს თვალწარმტაცი ხინოსგან მხოლოდ ნანგრევები, ნასახლარები, საფლავები და ქვაში ნაკვეთი ისტორიალა შემოვრჩა. ამ ეკლესიის შესახებ ვახუშტი წერს: „აქა ხინო არს ეკლესიანი გუბათიანი, კეთილად შენნი, რაგ ადგილას, ზის ეპისკოპოსი მწყებსი ხინოს წყლის სამხრეთით ჭოროხა-მდე“. მის ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს თამარის დროინდელი თაღოვანი ხიდები, რომელთა მორის გამორჩეულია ცხემვანას და კობალურის თაღოვანი ხიდებიც ცხემვანას ხიდი ნაგებია ნათალი ქვით, ხიდის მისასვლელები ფლეთილი ქვებით. ხიდს ხელოვნური ბურჯი მხოლოდ მარჯვენა მხარეს მოიცავს, მარცხენაზე კი - ბურჯის მოვალეობას ბუნებრივი კლდე ასრულებს, წყლის დონიდან ბურჯის სიმაღლე 2,75 მ-ია. ხიდის სიგრძე - 20 მ. უდრის, კობალურის თაღოვანი ხიდი (XIII ს) მის შესახებ მხოლოდ ლეგენდა ცნობილი, რომლის მიხედვითაც ეს ხიდი თოთქოს თამარის ბრძანებით ყოფილა აგებული... დიდ შოთასთან შესახვედრად, მობრძანდებოდა დედოფალი, მდ. კინტრიში ადიდებული დახვედრია, მსახურებს ოქროს ტახტრევაზე დაუსვამთ და ასე გადაუყვანიათ მდინარის მეორე ნაპირზე, მდინარეზე გადასვლისას დედოფალს ქოში (ცხადია ოქროს) გასძრობია და წყალში ჩავარდნილა, ბევრი უძებნიათ, მაგრამ ამაოდ. მაშინ უბრძანებია დედოფალს: „ამ ადგილას ისეთი ხიდი აიგოს, ვერც მდინარემ, ვერც დრომ, ვერაფერი დააკლოს.“ დედოფლის ბრძანება შეუსრულებიათ და ეს ხიდი აუგიათ... ნაკრძალში საბანაკე ადგილები მიტოვებული ქოხები და კიტრიშის დაცული ტერიტორიების კოტეჯი, ხოლო კოტეჯთან ახლოს მინდორში გამოყოფილია საკარავე ადგილი. ლაშქრობისათვის სასურველია სპორტულად და თავისუფლად ჩატანა: სქელძირიანი, დახურული, საველე ფეხსაცმელი, ქუდი, საწვი-


მარი, სპორტული შარვალი. ლაშქრობისთვის საუკეთესო დრო ივლისი-აგვისტო. კინტრიშის ხეობაში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ქობულეთის მეორე დაცულ ტერიტორიას წაროადგენს, მტირალას ეროვნული პარკი. 15 ჰექტარზე გაშენებული პარკი საზონადაა დაყოფილი: მკაცრი დაცვის ზონა, სადაც ადამიანების ჩარევა აკრძალულია, გარდა მეცნიერული დაგვირვებებისა, ისიც მხოლოდ შეთანხმებით ვიზიტორთა ზონა, სადაც ვიზიტორს შეუძლია ბილიკზე გასვლა, ცეცხლის დანთება გამოყოფილ ადგილებში, გასეირნება ველურ ბუნებაში, ქარვის გაშლა და პიკნიკის მოწყობა; ტრადიციული გამოყენების ზონა სადაც „ეროვნულ პარკს ორი მიმართულება აქვს – გარემოს, ანუ იმ ფართობის დაცვა, რომელიც ეროვნულ პარკად არის გამოცხადებული და ამავე დროს ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ”ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის“ მხარდაჭერით გარემონტდა ეროვნული პარკის აღმინისტრაციის შენობაც, რომელიც ჩატანის ცენტრში მდებარეობს. პარკში კი გაკოთდა სასტუმრო, საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკები ნიშნულებით. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებულია პარკი – აქვთ საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და მაღაზიები. აქვე მოქმედებს ფიჭის დამამუშავებელი და ფუტკრის სკების დასამზადებელი სამქროები. მოსახლეობის ნაწილს კი, პროგრამის ფარგლებში, გადაეცა ცხენები და სამთო ველოსიპედები, რომლებსაც აქირავებენ დანტერერებულ ტურისტებზე და სტუმრებზე.

ტურისტულ ზონაში არის ორი კერძო სასტუმრო და ვიზიტორთა ცენტრი, სადაც ერთდროულად რვა ადამიანის მოთავსებაა შესაძლებელი. ცენტრშივე კაფეტერია, ვერანდა და საგამოფენო დარბაზი. პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილ კონკრეტულ საკარვე ადგილებში განთავსება ფასიანია – ერთი დღე ხუთი ლარი. ფასიანია საპიკნიკე ადგილებიც და ხუთადგილიანი – 10 ლარი, ხოლო ათ-ადგილიანი – 15 ლარი ღირს. ვიზიტორს შეუძლია კარავი და საძილე ტომარა იქვე იქირავოს 15 ლარად.

მტირალას ეროვნული პარკში დამსვენებაში შეუძლია ისეირნოს ველურ ბუნებაში. მოაწყოს პიგნიკი, შეიძინოს ადგილობრივი თაფლი, ან რძის ნაწარმი, დაისვენოს სუფთა პარტია და ნახოს წითელ წიგნში შეტანილ მცენარეთა და ცხოველთა ნაირსახეობები.

მტირალას ეროვნული პარკი თბილისიდან 340 კმ-ში მდებარეობს. მტირალას პარკში სტუმრობამდე საჭიროა ეწვიოთ ეროვნული პარკის აღმინისტრაციას და ვიზიტორთა ცენტრს, სადაც დეტალურ ინფორმაციას მიიღებთ არსებული აქტივობების, სერვისებისა და მარშრუტების შესახებ, დაათვალიერებთ საგამოფენო დარბაზს და ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტის დახმარებით შეარჩევთ სასურველ მარშრუტს. მტირალას პარკში შესაძლებელია საცხენოსნო და საფეხმავლო მარშრუტებით სარგებლობა. აქტიური პერიოდებია - აპრილი - ოქტომბერი და ივნისი - ოქტომბერი - აგვისტო.



ისპანის დაცული ტერიტორიები ქობულეთის აღმოსავლეთით მდებარეობს. ისპანის სფაგნუმიანი ტორფნარი ერთი შეხედვით ისეთ ეფექტს ქმნის თითქოს ტბას დაჰურებდე ნიადაგის ზემოთ, რომელსაც საბანივით ახურავს 25-45 სმ. ისექის სფაგნუმი - თეთრი ხავსი. სფაგნუმი არასოდეს იფარება წყლით. იყი ისე მოქმედებს, როგორც ღრუბელი. მას შეუძლია თავის წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი წყალი შეიწოვოს. ძლიერი კოკისპირული წვიმებისას, როცა დღე-ღამეში 100 მმ ნალექი მოდის და როცა არემარე წყლითაა დაფარული, ისპანის ხელუხლებელ 300 ჰა გუმბათს შეუძლია 25 სმ-ით “გაიბეროს” და შეისრუტოს წყლის დიდი რაოდენობა. ის-

პანის ტორფნარები – ბიომრავალფეროვნებისათვის განსაკუთრებული, თითქმის ხელუხლებელი ჰაბიტატებია. ტერიტორია აგებულია თანამედროვე (მეოთხეული ასაკის) ზღვიურმდინარეული და ტბიურ-ჭაობის ნალექებით. ქობულეთის დაცული ტერიტორია მოიცავს ისპანის ტორფის საბადოს. რელიეფი ბრტყელია და ოდნავ ეროზიურებულია მდინარეების შავი ღელესა და ტოგონის მიერ. აქ ტიპური ზღვის, ნოტიო, სუბ-ტროპიკული კლიმატია; წლიური ნალექების 1500-2500მმ-ია, რისი უმეტესობაც წვიმის სახით შემოდგომა-ზამთრის სეზონზე.

დაცული ტერიტორია გადამფრენი წყლის ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა ეს ადგილები განსაკუთრებულად მდიდარია მცენარეთა სახეობებით. ისპანი I-ზე დღევანდელი მდგომარეობით წარმოდგენილია ნახევრად დევრადინებული, მეორადი მცენარეული დაჯგუფები. ისპანი II (ქობულეთის აღკვეთილი) მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური, პერკოლაციური გვემბათისებრი ჭაობია, რომელიც მხოლოდ წვიმის წყლით საზრდოობს. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტორფიანი ჭაობის საურთო ფონს ტორფის ხავსები - სფაგნუმის სახეობები, ე.წ. “იმერული ისლი”, თეთრი რინხოსპორა, კავკასიური რინხოსპორა (მოლინია ლოტირალის), ტორფის ისლი (ჩარეხ რიპარია), წყლის სამყურა (მენფანტჰეს ტრიფლიატა) და მრგვალფოთოლა ღრუბერა (დროსერა როტუნდიფლორა) და ზოგიერთი სხვა. ისპანის ჭაობის მთელი წლის განმავლობაში ტურისტები და მეცნიერ მკვლევარები სტუმრობს, მათი რიცხვი მას შემდეგ გაიზრდა, რაც ნაკრძალში ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა. რამსარის კონვენციაზე მომუშავე საბჭოს წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა და პროფესორებმა 2012წ. ისპანის ჭაობის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იმსჯელეს, რომელიც ნაკრძალში საინფორმაციო ცენტრის, სათვალოვალო კოშკების, ბილიკების და ჭაობზე გადასავლელი ხიდების მოწყობას გულისხმობს. ისპანის ჭაობში უნარშეზღუდულთათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის აუცილებლობასაც განიხილავენ.

ქობულეთში ისტორიულ კულტურული ძეგლების სიმრავლე საშუალებას იძლევა დაიგეგმოს შემცირებითი და კულტურული ტურების ორგანიზება სხვადასხვა მიმართულებით. კულტურულ ტურიზმთან ერთად შეიძლება მოვიაზროთ რელიგიური ტურიზმის განვითარება, რომელიც თანამდროვე ტურისტულ ინდუსტრიაში მოიაზრება როგორც კულტურული ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა. რელიგიური ტურიზმის ადგილებად შეიძლება ქობულეთში მოვიაზროთ სოფელი კვირიკე. წმ. კვირიკეს საპატივცემულოდ საქართველოში ბევრ ადგილს ჰქვია, მათ შორის ქობულეთის სოფელსაც. არსებობს მითი-თქმულება სოფელ კვირიკეს სახელთან დაკავშირებით (ჰერთის) IX-XI სს მმართველები, მეფეები და ქორეპისკოსები იყვნენ კვირიკეები. 1104 წელს, როდესაც დავით აღმამენებელმა გააერთანა საქართველო, შემოიერთა კახეთ-ჰერთი, კვირიკეების დინასტია დაასახლა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთი კვირიკე დაასახლებულა დღევანდელი კვირიკეს წმ. გიორგის ტაძრის მიდამოებში. მას ჩამოუტანია სალოცავი ქვა და აუგია საყდარი. სოფელ კვირიკეში 3 ტაძარი მდებარეობს, რომლებიც ბერძნების მერ არის აგებული. კვირიკეში მცხოვრები ბერძნების გადმოცემით კვირიკეში ისინი დაასახლდნენ 1870 წელს, ამ დროიდან იწყება ისტორია წმ.

ელენესა და კოსტანტინეს სახელობის ბერძნული ეკლესისა. იმ დროისთვის კვირიკეში მონასტრები არ ფუნქციონირებდა, ამიტომაც ბერძნებმა მორწმუნებებმა 1898წელს დაიწყეს წმ. ელენსა და კოსტანტინეს სახელობის ტაძრის აშენება, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარს ბევრჯერ დაემუქრა დანგრევა, 1980 წელს ეკლესია ისევ იქნა აღდგენილი, მაგრამ არ აღევლინებოდა წირვა ლოცვები. 1985-86 წლებში კვირიკელი ბერძნები წავიდნენ საპატრიარქოში ტაძრის აღდგენის თაობაზე, 1990 წელს ტაძარს გაუკეთდა რესტავრაცია და თანდათან დაიწყო სასულიერო კერის გამოცემება. საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე იყო ეფრემ ჩილინგარიძე ივანის ძე, რომლის საბერძნეთში გამგზავრების შემდეგ მიხეილ(გიორგი) ფუტურიდი და ვასილ მავ-

როპულო ეხლაც ტაძრის სამსახურში არიან. წმ. ელენესა და კოსტანტინეს სახელობის ტაძრის დღესასწაული ყოველწლიურად აღინიშნება 3 ივნისს.

მე-12 საუკუნეში კვირიკეში, სადაც ეხლა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს, ხის ეკლესია ყოფილა აგებული, რომელიც თურქეთის 300 წლიანი ბატონობის შემდეგად განადგურდა. კვირიკელი ბერძნების ძალის სტამბოლით ტაძარში წირვა 1937წელს აღსდგა. აღდგენილი ხის ეკლესია მცირე მოცულობის იყო, ამიტომ ბერძნებმა გადაწყვიტეს უფრო დიდი მოცულობის ქვის ტაძრის აშენება, რომელიც 1980წელს ააშენეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტაძარი აშენებულია ღამით, რადგანაც კომუნისტები კრძალავდნენ ტაძრის მშენებლობას. 1986 წელს ტაძარში განახლდა საღვთო ლიტურლია. ტაძრის დღესასწაული ყოველ წელს 16 ნოემბერს აღინიშნება.

ზედა კვირიკეში ასევე არის წმინდა ქალწულ მოწამე კირიაკის სახელობის საყდარი, ამ აღგილას ქველ პერიოში ქართული ტაძარი ყოფილა, მაგრამ ესეც თურქეთის ბატონობის დროს განადგურებულა, ბერძენ მორწმუნეს გიორგი ჩილინგარიდს გამოეცხადა ქალწულ მოწამე კირიაკი, რომელმაც უთხრა რომ ამ ადგილზე უნდა ააშენებინათ ეკლესია და ააშენეს კიდეც. წმ. ქალწულმოწმე კირიაკის დღესასწაული აღინიშნება 20 ივლისს.

ქობულეთის კიდევ ერთი საკურორტო ადგილი სოფელი ციხისძირია. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 60-90 მ-სიმაღლეზე, ის გაშენებულია ციხისძირის მაღლობზე, რომლის კალთებიც ციცაბოდ ეშვებიან ზღვაში და ქმნიან ციხისძირის კონცხს. ზღვაში შეჭრილი კონცხი პლატეს ორ ნაწილად ყოფს, რაც უნიკალურ სანახაობას ქმნის. ციხისძირის სანაპირო ზოლი დიდი პოპულარობით საგებლობს მათვის ვისაც ეგზოტიკური და მშვიდი გარემო ხიბლავს. ციხისძირის ჰავის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ზღვისა და მთის ჰაერის ნარევს წარმოადგენს. აქ ზაფხულობით უფრო გრილა, ზამთარში კი უფრო თბილა, ვიღრე ბათუმსა და მახინჯაურში.

აქვე მდებარეობს ციხე-ქალაქი პეტრა-ციხისძირი, ადრეფეოდალური ხანის ქართული



მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი. იგი ბათუმიდან დაშორებულია 20კმ-ით, ხოლო ქობულეთიდან 5 კმ-ით. ციხე ქალაქი-პეტრას ნანგრევები ახალი წელთაღრიცხვის VII-ით თარიღდება. ეს ტერიტორია ისტორიულად ერთ-ერთი ქართველური ტომის, ლაზების სამოსახლოს წარმოადგენდა. უნიკალური სამხედრო სტრატეგიული და სავაჭრო -ეკონომიკური მდებარეობის გამო ბიზანტიის იმპერიატორმა ოუსტინიანებმ აქ ქალაქი გააშენა. ქალაქის ტერიტორიაზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სახმელეთო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა დასავლეთ საქართველოს, ბიზანტიის პროვინციებს, ირანს და სომხეთს. ასევე კარგად იყო განვითარებული საზღვაო ნაოსნობა. შეა საუკუნებისათვის პეტრას ციხე იმდენად მიუდგომელი გახდა, რომ მას ქაჯეთის ციხედ მოიხსენებდნენ. ამავე სოფელში მდებარეობს ახალაშენებული წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძისა და წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძრები.

მნიშვნელოვანია გვარა-ზუცუბნის ტერიტორიაზე მდებარე თეთროსნის წმინდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც საქართველოს ჭეშმარიტ ბეთლემად მიიჩნევა. მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევენ ამ ტაძარს, მის წარსულსა და უდიდეს როლს ქრისტიანობის განვითარებაში, მწიგნობრობასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. როგორც ცნობილია თეთროსნის ეკლესია ზინოწმინდის საეპისკოპოსოსთან ერთად შემდეგ ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო იმ მხარეში (კინტრიშის ხეობა), არამედ მთელს

მეზობელ რეგიონებშიც. თურქთა მიერ ალამბრის მიტაცების შემდეგ “თეთროსნის” ეკლესიის საეკლესიო ქონება ჯერ შემოქმედის ეკლესიაში გადაუტანიათ, შემდეგ კი აკეთის ეკლესიაში. მათ შორის ყოფილა თეთროსნის ეკლესიის ცნობილი ღვთისმმობლის ხატი, ასევე თეთროსნის დავითი, (XVI) რომელიც გადაწერილია ქაიხოსრო გურიელისა და მისი დედის, დედოფალ ათაბაგის ქალ თამარის დაკვეთითა და ფინანსური უზრუნველყოფით, რომელზეც გამოყენებულია აღმოსავლური ქაღალდი, ნაწერია ნუსხურით, შემკულია 55 ტექსტზე აღრუული მინატურით. ტექსტის გადამწერია ვინმე გერმანოზი, დავითი ჯერ მოხვდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში, იქედან კი გადატანილი იქნა საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც სოფელ ლელვაში(ჩეხედენა) მდებარეობს, ცხრაფონას ყოფილი ამაღლების საყდარია. იგი თავის დროზე გამოკვლევია ი. სიხარულიძეს და ასე აგვილწერს მას: „ეკლესიის ფართობია 13,33 კვ.მ. აქედან საკურთხეველს უჭირავს 4.34კვ.მ ხოლო დარბაზს -8,95 კვ.მ. საკურთხეველს, როგორც ჩანს, სამი სარკმელი ჰქონია. თითოეულ პალისტრს აქვს თავისი კაპიტელი, რომელიც შემკულია საინტერესო ორნამენტებით. პალისტრების თავზე შემოჩენილი თაღის ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ ტაძარს კამარისებრი გადახურვა უნდა ჰქონდა. კარის ზღურბლზე შემოჩენილია ორი თლილი ქვა შესანიშნავი ორნამეტებით. ეკლესია ნაგებია, როგორც თლილი ასევე ფლეთი-

ლი და ფორე ქვით. თლილი ქვები გამოყენებულია კუთხებში სწორხაზოვანი წობოების მისაღებად, ეკლესია XIV-XV ს-ში უნდა იყოს „აგებული“. ეს ადგილი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ ეკლესის ეზოში დასაფლავებულია გურიის მთავარი მამია გურიელის ვაჟი მანუჩარი, რომელიც გადმოცემის მიხედვით ამ ადგლებში ნადირობისას ტრაგიკულად დაიღუპა. აქვეა დასაფლავებული მთავრის მეუღლეც, ათაბაგის ასული თინათინი.

დროთა განმავლობაში ცხრაფონას დაიდებული ტაძარი დანგრულა და უმოწყალოდ განადგურებულა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა ნახევრად დანგრულმა კედლებმა, ქვაჯვარმა და ორნამენტებით გაფორმებულმა ორმა სვეტმა. ამჟამად ამ ადგილას მოქმედებს წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტერი.

მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო წარსულის ძეგლია ელიას ციხეც. იგი აგებულია ჭახათის მთის ყველაზე უფრო მასიური კლდით დაბოლოებულ ქიმზე, საიდანაც თვალნათლივ მოჩნდს კოლხეთის დაბლობი, ქობულეთი და გურიის შემოგარენი. ციხემ ეს სახელწოდება მიიღო იმ მთის მიხედვით, რომელზედაც ისაა აგებული, „ელიას მთა“. ციხე ნაკლებადაა გამოკვლეული, იგი შეიძლება მივიჩნიოთ ფეოდალური ხანის ნაგებობად, რომელსაც იყენებდნენ საზღვაო-სათვალთვალო პუნქტად. როგორც გადმოგვცემნ, ოსმალთა ბატონობის ხანაში ეს ციხე ტყევთა ყიდვა-გაყიდვის ერთერთ დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა.

ასევე მრავალი ისტორიული ნაშთი შეინიშნება სოფელ ალამბარში, რომელთაგან ალბათ ყველაზე საინტერესოდ და მნიშვნელოვანად შეიძლება ჩაითვალოს ალამბრის ციხის ნანგრევები, რომელსაც მამუკა თავდგირიძეს ციხეს ეძახიან, ადგილობრივი მოსახლეობა კი მას „კატის ციხედ“ მოიხსენიებს. ეს ციხე მდებარეობს „ციხისყელად“ წოდებულ გორაზე, რომლიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი ქობულეთი და მისი შემოგარენი. კოშკი ნაგებია, როგორც ფლეთილი ასევე რიყის ქვით, წყობა უმთავრესად უსწორმასწოროა და აქაიქ ჰორიზონტალური რიგებიცაა დაცული. როგორ ცნობილია XVIII ს-ის 60-70 წლებში ალამბრის ციხე და სასახლე გურიის მთავრის

მამია გურიელის სამფლობელოში შედიოდა, მოგვიანებით ეს ციხე აჭყვა-კინტრიშის ხეობაში თავდგირიძების სამფლობელოთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა.

ქალაქ ქობულეთში 3 მოქმედი ტაძარია: ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების, წმ კირიონ II-ს, უფლის ამაღლების, ერთი მცირე სამლოცველო ღვთისმშობლის სახელობის და რამდენიმე მშენებარე ტაძარი.

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია 1997 ბათუმისა და ლაზეთის ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტმა მეუფე დიმიტრი შიოლაშვილმა აკურთხა. ტაძარი ინაიშვილებისა და ნიუარაძების ხელშეწყობით აშენდა. შენებლობის პროცესი დაახლოებით 1-2 წელი მიმდინარეობდა და 1997 წელს უკვე ფუნქციონირება დაიწყო. ეს ტაძარი ქობულეთში ქრისტიანობის აკვანია. მისი მაღლით, ლოცვითა და შეწევნით აქ დღითიდლე მრავლდებოდა მრევლი. ზაფხულში ქობულეთში ჩამოსული დამსვენებლებიც ამ ტაძრში ესწრებიან წირვალოცვებს, ეზიარებიან, ბევრიც ინათლება და ადგილობრივ მოსახლეობას ენათესავება. ტაძრის პირველი სასულიერო პირი დეკანოზი ზაქარია ფერაძე იყო. ის ამჟამად კუნძულ კვიპროსზე მოღვაწეობს. ამ ტაძარში, ასევე მსახურობდნენ შეძლევი სასულიერო პირები: მამა იაკობ ბენიძე, მამა თადეოზ გაბუნია, მამ ილარიონ სხირტლაძე, მამა კონსტატინე პაიჭაძე, მამა მათე რატიანი, მამა პეტრე ყრუაშვილი, მამა მარკოზ ბექაია, მამა აბრამ გორდელაძე, მამა გიორგი გეთიაშვილი, მამა კირიონ ფერაძე და მამა გრიგოლ დევაძე. დღეს ამ ტაძრის წინამდებვარია დეკანოზი სვიმეონ ჯინჭარაძე, ასევე მსახურობს მღვდელი დანიელ სოლომონიძე.



ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია ბაზილიკური სტილისაა, ერთნავიანი. მოპირკეთებულია ეკლერის ქვით. ეკლესიაში უმთავრესად მრევლის მიერ შემოწირული ხატებია. ამასთან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომლიც საგანგებოდ დაიწერა ქობულეთის მფარველად მისი უწმინდესობის ილია მეორისა და მეუფე დიმიტრის ლოცვაკურთხევით. საკურთხევლის ტრაპეზში ჩაბრანებულია წმინდა გიორგის ნაწილი. ტაძრის აქვს სამრეკვლო, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია სანათლავი ემბაზი, ნათლობა აქ აღესრულება შთაფლვით. ეკლესიის ეზოში უკანა მხარეს მიმდინარეობს წმ. ირინეს სახელობის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მშენებლობა.

ქობულეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია განსაკუთრებულად 4 დეკიმბერს, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ბრწყინვალე დღესასწაულს ზემობს.

ქალაქის ცენტრში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარეობს ქობულეთის მუზეუმი, რომელიც 2012 წელს გაიხსნა, უნიკალური არქიტექტურით შექმნილი სვეტებიანი, სივრცეთა პაუროვნებით გამორჩეული დარბაზები განსაკუთრებულ და განუმეორებელ შთაბეჭდილებებს ტოვებს მნახველზე. მუზეუმის პირველ სართულზე, დიდ საექსპოზიციო დარბაზში ფართო პროფილით იშლება მუნიციპალიტეტის ისტორია:

1. მუნიციპალიტეტის ისტორია - მოიცავს ზოგადად ქობულეთის მუნიციპალიტეტის შექმნის, განვითარების ეტაპებსა და საფეხურებს.
2. ფლორა და ფაუნა - წარმოდგენილია ქობულეთის პეიზაჟები, ცხოველთა სამყაროს ფოტო კოლაჟი, მობინადრე და გადამფრენ ფრინველთა ფიტულები, წითელ წინწკლებიანი კალმახის მულაჟი და სხვ.
3. გეოლოგიური წარსული და ბუნების წიაღში ნამარხი ნიმუშები.
4. არქეოლოგია - ქობულეთი შავიზღვისპირეთის მარგალიტია არქეოლოგიური მონაბორებით. არქეოლოგიური განყოფილება სოფელ ქობულეთისა და ხუცუბნის პირველყოფილი აღამინების ნამოსახლარებზე აღ-

მოჩენილი შრომითი და ყოფითი ნივთების ექსპონირებით იხსნება.

5. ეთნოგრაფია - ქობულეთური, ტიპიური ოდა-სახლის ინსცენირებითაა წარმოდგენილი. ქობულეთელი კაცი ოდითგანვე შრომის-მოყვარე და ხელგამრჯე იყო. ექსპოზიცია წარმოგვიდგენს სახელოსნო კუთხეს ხელის წისქვილით, საწნახელით, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, ჭურჭელით და საღურგლო საქმიანობით დაკავებული ახალგაზრდა მამაკაცის მაკეტს.
6. ამავე სართულზე განთავსებულია ფონდ-საცავი.
7. მუზეუმის მეორე სართული დათმობილი აქვს საკონფერენციო დარბაზს 25 პერსონაზე, კინო-დოკუმენტაციისტიკის დარბაზს 70 პერსონაზე, სამეცნიერო ლაბორატორიასა და სამუშაო აღმინისტრაციულ კაბინეტებს.

ქობულეთს გააჩნია განახლებული ზღვისპირა პარკი, რომელშიც სრული კომფორტია შექმნილი დასასვენებლად და გასართობად: ჩოგბურთის და ბაღმინტონის მოედნი, 600 ადამიანზე გათვლილი ამფითეატრი, მოწყობილია სასეირნო ბილიკები, მოცეკვავე შადრევნები და ასევე ტბის შადრევნი, მოსასვენებელი სკამები, პარკი გამშვენებულია დეკორატიული განათებებით. პარკის ტერიტორიაზე სეზონის განმავლობაში ფუნქციონირებს კაფე და რესტორანი, ასევე საბილიარდო. ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს „მხატვრის სახლი“, სადაც ეწყობა ხელოვნთა ნამუშევრების გამოფენა - გაყიდვა.

ქობულეთში ზაფხულის სეზონისთვის მზადება იწყება ივნისის თვიდან, დამსვენებლთა რაოდენობა პიკს აღწევს ივლისის შეარიცხვებში და გრძელდება აგვისტოს ბოლომდე. მთებზედავად ტურიზმის სხვა სახეთა მრავალფეროვნებისა, ქობულეთში დომინირებს ზღვაზე დასვენების ტურიზმი.

სასტუმრო „ჯორჯია პალასი“ პირველი ქართული ხუთგარსკვლავიანი სასტუმროა. 156 ელეგანტურად გაწყობილი ოთახი, რომელთა აივნებიდან ვრცელი ზღვის და მთის პეიზაჟი იშლება. სასტუმროს გააჩნია 5 რესტორანი და ბარი, ღამის ბარი “ა ერლა“, რესტორანი „აჭარა“, „ლობი ბარი“, „ღორი არდებ“-ი და



ტერასაზე საუკეთესო ადგილია იმისათვის, რომ განიტვირთოთ ზღვის ულამაზესი ხედით და დააგემოვნოთ უგემრიელესი ოტალიური კერძები, „ოოლ არ“ - აუზის ბარი, ზაფხულის განმავლობაში გთავაზობთ საუკეთესო კოქტეილების მრავალფეროვან არჩევანს. სასტუმროში ფუნქციონირებს ექსკლუზიური სპა ცენტრი, რომელიც ცნობილია სხეულის გამაჯანსალებელი პროცედურების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. „ჯორჯია პალასის“ აქვს საუკეთესო ადგილი კონფერენციებისა და წვეულებების გასამართად, 4 სათათბირო ოთახი, საბანკეტო და საკონფერენციო დარბაზი „პეტრა“ განკუთვნილია 400 ადამიანზე. სასტუმროს ასევე გააჩნია დახურული და ღია აუზები. სასტუმრო მდებარეობს ზემოთ აღნიშნულ, ყოფილი ბერიას აგარაკის ადგილას.

მეორე სასტუმრო, რომელიც დაბა ჩაქვში მდებარეობს ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „ოაზისია“. იგი განლაგებულია წყნარსა და ეკოლოგიურად სუფთა ადგილას. სასტუმროს ტერიტორია შემოსაზღვრულია ევკალიპტის ტყით და შავი ზღვით. სასტუმროს გააჩნია საკუთარი 300მ შემოფარგლული პლაჟი, რომელიც ინტეგრირებულია სასტუმროს ტერიტორიასთან, რაც განასხვავებს მას სხვა სასტუმროებისაგან. სასტუმროს გააჩნია 30 უფასო და 30 ფასიანი სერვისი, რითაც გამოირჩევა „ოაზისი“ სხვა სასტუმროებისაგან. სასტუმროში ფუნქციონირებს 5 ბარი და რესტორანი: “ოუნგე არ”, “იდს არ”, “ოოლ არ” “ანპატ-ტან იგპტ არ”, “ეაცჰ ჩლუბ” და “თერასა

ლესტაურანტი”. სასტუმრო შედგება სამი კორპუსისაგან, სადაც განთავსებულია 125 სხვადასხვა კლასის ნომრები 13 სტანდარტული, 75დელუქსი, 24სემი-სუიტი, 7 აპარტამენტი, 3 საპრეზიდენტო სუიტი.

ქობულეთში მრავალად არის უფრო მცირე ზომის სასტუმროები და სასტუმრო სახლები: სასტუმრო „სანაპირო რეზიდენცია ქობულეთი“, სასტუმრო „სოლიდარობა“, სასტუმრო „კონდორი“, სასტუმრო „ინგ ალაცი“, სასტუმრო „სავანე“, სასტუმრო „ჩვენი ეზო“, სასტუმრო სახლი „ამიგო“, სასტუმრო „რენტ ოუსე“, სასტუმრო სახლი „სანაპირო“, სასტუმრო სახლი „ელგრად“, სასტუმრო სახლი ბუტიკი „არის – ბუტიკი“ და სხვ.

სეზონის განმავლობაში სანაპირო ზოლზე იხსნება ღია კაფე ბარები და გასართობი კლუბები, რაც აქტიურ დამსკვნებელს აძლევს საშუალებას ცურვის გარდა ღამით გაერთოს სურვილისამებრ.

ქობულეთის საკურორტო-ტურისტულ-ბაღნეოლოგიური, პოტენციალის სრულად გამოყენება უმნიშვნელოვანესია, რადგან ქობულეთის წვრილქიშიანი ნაპირი, მზის უხვი რადიაცია, რომელიც პელიოთერაპიისთვის კარგ პირობებს ქმნის, სამკურნალოა ძვალ-სახსრების, ლიმფური ჯირკვლების, ტუპერკულოზის, ბრონქიალური ასთმის, გულ-სისხლ-მარლვთა დაავადებებისთვის, ასევე ქობულეთის ტერიტორიაზე მინერალური და გოგირდოვანი წყლებისა თუ სამკურნალო ტალაზის არსებობა სამკურნალო ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა.

ქობულეთი არის ის ადგილი, სადაც შეიძლება იხილო შავი ზღვა გრძელი სანაპიროთ, - სამკურნალო კლიმატით, ულამაზესი მთები, დაცული ტერიტორიები სადაც იშვიათი სახეობის ფლორა და ფაუნაა, მშვენიერ ხეობები - შემკული ჩანჩქერებითა და პატარა ღელებით, ასევე ისტორიულ კულტურული ძეგლების სიმრავლე გულგრილს არ დატოვებს აქ ჩამოსულ ქართველ თუ უცხოელ სტუმარს. სწორედ ეს გარემო ქმნის ისტორიული ქობულეთის ტურისტულ პრიორიტეტებს.

## ს ა დ ლ ე ბ რ ა მ ლ ო

მშობელო მთებო,  
მზესოფელო,  
სოფლის შვილებო,  
სულ ერთით უნდა ჩემთან  
ბჭობა ინებოთ.  
თქვენს პურს და მარილს უნდა ერთხელ  
მეც მაზიაროთ,  
და სული ჩემი ერთხელ თქვენებრ აამზიანოთ.  
მშობელო მთებო,  
მთებზე თოვლო,  
თოვლქვეშ იებო,  
წყალობა ჩემი ისევ თქვენვე უნდა ინებოთ.  
მე როგორც მუხას  
მჭრიდნენ როცა,  
როცა მამხობდნენ,  
ვეთხოვებოდი მიმავალი ჩემს ტკბილ  
სამყოფელს, -  
ოცნებას ჩემსას აცრემლებულ თქორში ვალბობდი,  
ვამბობდი თქვენთვის ყველა ლოცვას,  
თუკი ვამბობდი!  
ჰეი, გახედეთ,  
წყალს რომ მოაქვს და მოაბოტებს, -  
ეგ სხეულს ჩემსას ჯავრი კორტნის  
და ანაფოტებს.  
ყალყზე შემდგარა სული ჩემი, თუ ეს ქაფია,  
თუ ჭიუხებმა აქ შვიდფერი მტყორცნეს კაფია,  
გაფრენილ ჩანჩქერს შეეღეწა  
სხივი მზის ფრთებით,  
თუ ძირს ბროლივით ჩამოიმსხვრა ციდან  
ზვირთები,  
თუ მთის ამირანს გამირისხდნენ ისევ ღმერთები,  
რომ თქვენ მიშველოთ  
მაგ ზღაპრებით და ლეგენდებით.  
მოვსულვარ თქენთან,  
როგორც ძმებთან, როგორც ტოლებთან,  
სიმაღლის უინი თქვენებრ მუდამ მეც მაზმორებდა,  
მეც მაწამებდა ყოფა ჩემი  
და სულს მიხრავდა,  
მაგრამ, მიყვარდა თქვენებრ გულით,  
რაიც მიყვარდა.  
ავაგსებ მიტომ კვლავაც თქვენთვის  
ჩემს სადღეგრძელოს,  
რომ თქვენი ქარი ერთხელ მკერდზე  
მეც დამებგეროს.  
რომ ფიქრი ჩემი ნატვრისხეთა მისწვდეს ქენწეროს  
და მზის სიმღერა უბერებელ გულზე მეწეროს!

წიგნიდან „ერთგულება“  
ბათ., 1980, გვ. 4-6.

## სოფელ წაბლანისა და მთა ღომას კლიმატურ-ბალნეოლოგიური აღჭრა

### I საერთო მონაცემი

წაბლანა შეუძლია რაიონული ცენტრი-დან დაშორებულია 14 კილომეტრით. სოფელში ცხოვრობს 70 ოჯახი, 340-370 სულით. სოფელ წაბლანიდან ღომას მთამდე სამანქანე გზა 7 კმ-ია. ღომას მთის ცალკე დასახლებულ უბნამდე - საყნდრიამდე 11 კმ, მდებარეობს შავშეთის ქედის წინაველას თხემზე სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან წაბლანა 1200 მეტრია, მთა ღომა კი 2000 მეტრამდე.

### II კლიმატი


1. ზაფხულის კლიმატი შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: თოვლის მასა 25 მაისიდან 15 ივნისამდე გასტანს. ცალკეულ შემთხვევებში 20-25 ივნისამდე. მოსახლეობა საზაფხულო საძოვრებზე მიდის 25 ივნისიდან და რჩება 15 სექტემბრამდე. ღომას მთაზე მოსახლეობის ყოფნის ხანგრძლივობა 2,5 თვეს აღწევს, ცალკეულ შემთხვევაში ნაკლებსაც. თოვლის ნამჯრები ხევებში და ხრამებში აგვისტომდე გრძელდება, რაც ქმნის ბუნების განსაკუთრებულ სილამაზეს და ხდის მიმზიდველს. ამასთან ხელს უწყობს სასიამოვნო ტემპერატორულ რეჟიმს - დღისით საკმაოდ თბილს და ღამით გრილს.

ივნისის თვეში მთა ღომას ტემპერატორული რეჟიმი საშუალოდ დღისით 25-30 გრადუსის, ღამით 12-17 გრადუსის ფარგლებში მერყეობს. აგვისტოში - შესაბამისად 30-35 და 20-25 გრადუსია. ცალკეულ დღეებში იცის გადახრები - მზიან ამინდში 2-3 გრადუსით მატება, წვიმიან ამინდში 2-3 გრადუსით კლება.

მზიანი ნათელი დღეთა რაოდენობა საშუალოდ ივლისის თვეში 20-23 დღეს შეადგენს. დღის საათებში უღრუბლო მოწმენდილი ამინდია, შუადღის შემდეგ წამოვანისლი, საკმაოდ ტენიანი და აღწევს სოფელ წაბლანის ცენტრამდე. ღომას მთის ტემპერატორულ რეჟიმზე, ნათელ დღეთა რაოდენობაზე გავლენას ახდენს შავი ზღვის თვისებები. აგვისტოში გაცილებით მეტია მზიანი ამინდი.

2. ზამთრის კლიმატის თავისებურებებზეც მოქმედებს შავი ზღვის კლიმატის გავლენა, 15-

20 სექტემბრიდან მთა ღომაზე ნალექები თოვლის სახით მოდის. თოვლის საფარი 3-4 ოქტომბრიდან სოფლის ცენტრამდე აღწევს. უმეტესად თოვლის საფარი ნოემბრიდან იწება. ცალკეულ წლებში მშრალი შემოფგომა წლის ბოლომდე გრძელდება. თოვლის სა-



სოფელი წაბლანა

ფარი მთა ღომაზე ნოემბრიდან მაისის შუა რიცხვამდეა. მესაზღვრეთა მიერ ჩატარებული დაკვირვებით ერთი ზამთრის განმავლობაში მოსულმა თოვლის საერთო რაოდენობაში სიმაღლეში 40 მეტრს მიაღწია. საერთო თოვლის საფარი 4-5 მეტრს აჭარბებს.

ზამთრის ტემპერატორული რეჟიმი არათანაბარია. ყინვები მერყეობს 10-12 გრადუსიდან 20-25 გრადუსამდე. თოვლის მასა იანვარ თებერვლის თვეში მშრალია. მთა ღომიდან წაბლანის ცენტრამდე თხილამურებით სწრაფი დაშვებისათვის საუკეთესო პირობებია. თოვლის საფარით გასწორებულია რელიეფი, ამოვსებულია ხრამები. თვით მთა ღომას ტერიტორიაზე ზამთრის სათხილამურო სპორტისათვის საუკეთესო პირობებია. როგორც რელიეფური მდებარეობით, ისე სხვა პირობებითაც.

### III სავაჭრო საქართველო გზა

ისტორიულ წარსულში სავაჭრო-საქართველო გზის ერთ-ერთი შტო დასავლეთ საქართველოდან სამხრეთ საქართველოში გადიოდა შავშეთის ქადის წინაველას თხემის გაყოლებით, ჩადიოდა შავშეთის გავლით არზრუმამდე. გურიის რეგიონიდან ხაბელაშვილები ჭვანის გავლით, დანდალოს თამარის დამაკავშირებელი ხიდით, წინაველამდე. აგრეთვე ქობულეთიდან აჭყვისთავის ცხმორისის გავლით, დანდალოს თამარის ხიდის გავლით კვლავ წინაველამდე. ამ გზით სარგებლობდა ცხმორისისა და დანდალოს მოსახლეობაც. აგრეთვე ბარათაულის შეახვის და თვით უჩამბის ხეობის ნაწილი სოფლების მოსახლეობა. მოსახლეობაში შემორჩენილია გადმოცემები ამ გზაზე მომზარი უბელური შემთხვევებისა და ყაჩაღობის ფაქტების შესახებ.

### IV ისტორიული წარსულის ნაშთები

სოფელ წაბლანაში ახლახანს არქეოლოგი სპეციალისტების მიერ ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოებით ნათელი მოეფინა ლეგენდად ქარეულ გადმოცემას, ნათლის მცემელზე ეკლესის არსებობის შესახებ. ჩატარებული სამუშაოებით აღმოჩნდა ეკლესის საძირკველის ნაშთები. ის შეტანილი იქნება არქეოლოგიურ ძეგლთა ნუსხაში, მისი პერი-

ოდის დადგენისათვის მუშაობა არ დასრულებულა. ეკლესიის კედლების დამუშავებული ქვები გადატანილია მეჩეთის საძირკველში, სოფლის ცენტრში სასმელი წყლის კეთილმოწყობისთვის და სასაფლაოებზე. ეკლესიის დაშლა დაკავშირებულია ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

მთა ღომას, წინაველას თხემზე მინდორიველი მოიხსენიება „ჯვარის“ სახელწოდებით.

ვარაუდობენ ეს სახელწოდება აღგილის - ნიშნავდეს გზაჯვარედინის შინაარსს. არის სხვა მოსაზრებაც. ჯვარი დაკავშირებული იყოს ქრისტიანული სარწმუნოების შინაარსის ჯვართან.

მთა ღომას, საყენდოიას დასახლებულ ტერიტორიაზე, აღმართულია ვულკანური წარმოშობის მწვერვალი, რომლის სიმაღლე აღმოსავლეთიდან 250-300 მეტრამდე იქნება. მწვერვალი იმდენად ვიწროა, რომ მწვერვალის ფართობი 7-8 კვადრატულ მეტრის ფარგლებშია. მწვერვალზე არის წმინდანის სასაფლაოს დამადასტურებელი ნაშთები.



მწვერვალს მოსახლეობა „წმინდა გორას“, ეძახის.

ამ მხარის წარსულის შესწავლა არქეოლოგი სპეციალისტების გადაუდებელი მოვალეობაა, რის შესახებაც ახალ სიტყვას იტყვიან ისტორიკოსები, რითაც ნათელი მოეფინება წაბლანისა და უჩამბის ხეობის ისტორიულ წარსულს.

წაბლანაში იმის შესახებაც ამბობენ, რომ დღემდე შემორჩენილია შორეული ისტორიის მქონე დინოზავრის ნაკვალევია, სახელდობრ აღგილს: „ეკილი ფეხს“ ეძახიან. კლდეში იკვეთება ფეხის ფორმის ნაკვალევი. მისი

რეალურობის დადგენისათვის კვალიფიცირებული სიტყვა ჯერ არავის უთქვამს.

## V ბალნელოგიური რესურსები

1. სამკურნალო წყალი. სოფელ წაბლაში მისვლამდე სახელდობრ მოფრინეთის

ტერიტორიაზე „ჭალის ხევის“ კუჭნაწლავის სამკურნალო წყალი. შესწავლილია სათანადო შესაბამისი ორგანოების მიერ. ხდებოდა მისი ჩამოსხმაც სახელწოდებით „უჩამბა“. წყლის შემადგენლობა: ანიონები და კათიონები დაზუსტებულია. სათანადო ფინანსური შესაძლებლობის გამო, თანამედროვე ტექნოლოგიების დაცვით ჩამოსხმას და რეალიზაციას, მესაკუთრე ვერ ახერხებს. ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი და მოსახლეობის კმაყოფილებას იმსახურებს.

ბირგევლაში არსებულ სამკურნალო წყალს ადგილობრივი მოსახლეობა რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებს, ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად აფასებს.

სოფელ წაბლანიდან 2,5 კილომეტრში სახელდობრ „გუდანაში“ მდინარის პირზე არსებულ მინერალურ წყალს იყენებენ კანის სწეულებათა სამკურნალოდ.

იქვე ახლოს ხიდთან გზის პირას გამომდინარე წყალს მოსახლეობა იყენებს თვალის სწეულებათა სამკურნალოდ.

კანის სწეულებათა სამკურნალო წყალს უჩამბის ხეობის მოსახლეობა ინტენსიურად იყენებდა. მოსახლეობის შეფასება დადებითად არის მიღებული. ამ სამკურნალო წყლით ჩატარებული სამი ოთხი პროცედურით დავადებული სრულიად იკურნებოდა. ანალოგიურად კარგი თვისებებით გამოირჩევა თვალის სწეულებათა სამკურნალო წყალი.

წაბლანიდან ტბებში მიმდვალ გზაზე, გუდნის საზღვართან ჩამომდინარე პატარა ხევში სამანქნე გზის ზემოთ არის ორი სამკურნალო მინერალური წყალი, რომელსაც მოსახლეობა სახსრების დაავადებათა მკურნალობისათვის იყენებს.

წაბლანის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელდობრ „წითლობში“ გამოედინება ძლიერი კონცენტრაციის მინერალური წყალი, რომლის შესწავლა ფრიად საჩქარო და სასურველია, გამოირჩევა წყლის უხვი დებეტით.

ღომას მთის დასახლების შუა ნაწილის გასწვრივ წინაველას მხარეს მინერალური სამკურნალო წყალია.

სასაზღვრო საგუშაგოს ახლოს წინაველას მხარეს მინერალური წყლით სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა.

მთა ღომას საყენდრიას დასახლების უბანში მინერალური წყლები მრავლადაა. ვინაიდან საყენდრიას მთის მთლიანი ქანობი მაღნეული შემადგენლობისაა მინერალური წყლებიც ხშირია და გამოირჩევა სხვადასხვა თვისებებით. სახელდობრ ქათამაძის ჭალის ბოლოს არის მინერალური წყლის ერთ



მეტრამდე სიღრმის შავი ფერის ტბა, რასაც იყენებდნენ სახსრების ტკივილებისა და სხვა სწეულებათა მკურნალობისათვის.

იქვე 50-60 მეტრში გამოედინება სამკურნალო ცივი წყალი, გამჭვირვალეა, რკინის ჟანგის მაღალი შემცველობით. უფრო ზემოთ „კაჩაბათი“-ს მიმართულებით ახალად გაყვანილი გზის პირზე, სამკურნალო წყალია.

ყურადღების ღირსია მერიახევის სათავეში სახელდობრ ლაშეზე ოთხი სამკურნალო



წყალი. ქონებთან ახლოს პარალელურად და ლაშის ფერდობზე ორ ადგილზე.

ადგილის სახელწოდება ლაშე, არ უნდა იყოს სწორი. უნდა იხმარებოდეს სიტყვა „მლაშე“. რადგანაც მრავალი წყალი მოინახება ამ უბანში. მერიახევის შავწყალს აბანობა, საღაც წინათ 25-მდე რგოლი იყო ამის დასტურია. ბუნების არასწორი ექსპლოატაციის გამო მინერალური წყლების რაოდენობა საგრძნობლად მცირდება.

მინერალური წყლის რესურსები დომას მთაზე სრულყოფილად არაა შესწავლილი არც რაოდენობრივად და არც ქიმიური შემადგენლობის თვალსაზრისით.

2. ცივი სასმელი წყალი. მაღალი ხარისხის და საუკეთესო თვისების. სოფლის მოსახლეობა ცივი

ბუნებრივი წყაროს წყლით უზრუნველყოფილია მთლიანად. სოფლის ცენტრში მუდმივად მოედინება კარგი სასმელი წყალი, იქვე ახლოს დახურული შადრევანია.

მთა ღომაზე ხშირია მთის ცივი და გრილი ანკარა წყაროები. ჭინჭიჭალაში, ხარის გზაზე, ჯვარის მინდორთან ახლოს, საყენდრიას დასახლების გორის ფერდში სალების წყალი რაიონული ცენტრის მოსახლეო-

ბისათვისაა გადაყვანილი, არის წყაროები საცოცხაკილდესთან. დიდ საყენდრიას, და სხვა მრავალი.

მოიაღვეები სახელდობრ საბანელზე ხელოვნურ ტბას აკეთებენ, ზაფხულობით ცივი წყლით ბანაობენ.

3. სამკურნალო მცენარეებიდან უხვად არის: მთის მოცვი, მიწამოცვა, გაზაფხულის დვალურა. იშვიათად

მაგრამ მცირე რაოდენობით ნეგო, კულ-მუხო, სააფთიაქო ნედლეული „ხარიშუბლა“ და სხვა მრავალი.

4. კარგი გონება განწყობისათვის საუკეთესო საშუალებაა წიწვოვანი და ფოთლოვანი



ტყის კორომები, როგორც ღომაზე, ისე საყენდრიას.

არის საკვებად გამოსაყენებელი სხვადასხვა ტიპის სოკოები.

დათვის, მგლის, ტურის, მტაცებელი ცხოველების მომრავლებასთან დაკავშირებით ნადირობის შესაძლებლობანი შეზღუდულია.

## VI საყოფაცხოვრებო კომფორტი

მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეუძლია სტუმრის მიღება და მომსახურება. წაბლანაში ამ მხრივ გამოირჩევა საცხოვრებელი სახლები მაღაზ ბერიძის, რამაზ ბერიძის, ევგენი თურმანიძის, შალვა ველიაძის, ბეჟან ველიაძის და სხვების.

„ლაპლაკეთის“ რედაქციას

უდიდესი მოვლენაა ჟურნალ „ლაპლაკეთის“ დაარსება ზემო აჭარის მოსახლეობის ცხოვრებაში.

გილოცავთ ჟურნალის დაარსებას, გუსურვებთ უდიდეს წარმატებებს თქვენს უკეთიდ შობილეს საქმიანობაში.

დაე, თქვენი ჟურნალი გახდეს ჭეშმარიტი და მართალი ცხოვრების გზამკგლევი.

პატივისცემით გ. სოლომონიძე

\* \* \*

მინდა გულწრფელად მოგილოცოთ დღე დღევანდელი  
ეს დღე ჟურნალის დაარსების დასაწყისია,  
დე, მის ფურცლებზე მათ შესახებ გაეგოს მკითხველს,  
ვინაც გულწრფელად იმსახურებს, ვინაც ღირსია.

მჯერა ჟურნალი გაამართლებს ხალხის მოლოდინს  
და შესრულებს იმ მისიას, რაც აკისრია.

მხოლოდ სიმართლეს ქადაგებდეს აწ და მარადის  
მიეზღოს ყველას, ვინაც რისიც საკადრისია.

თქვენგან მოელის მართალ სიტყვას თქვენი მკითხველი,  
სრულიად მთელი საქართველო და მთიანეთი,  
გულს გაახარებს, მაგიდებზე აშრიალდება  
და ისტორიას შემორჩება მწამს

„ლ ა პ ლ ა პ ე თ ო“

## ანსამბლი გათუმა 20 წლისაა

ქართველი ერი გამორჩეულად ნიჭიერი ერია, ამის დასტურია ის, რომ სწორედ ამ ერშია უამრავი ვირტუოზი, მუსიკოსი, კომპოზიტორი, მომღერალი, მსახიობი, ქორეოგრაფი, მხატვარი, მწიგნობარი .. ყველა თავისი საქმის უბადლო შემოქმედია ერთი სიტყვით აქ საქართველოში ხელოვანი და ნიჭიერი ერი ვცხოვრობთ რომელ ერსაც გადაშენება არ უწერია. ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზაზე შექმნა საერო და სასულიერო მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშები. ქართული ხალხური მუსიკა აღიარებულია უნიკალურ მოვლენად. მასში გაცხადდა ხალხის მუსიკალური გენი, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებს უქსოვარი დროიდან მრავალხმიანობა ასასიათებდათ, ქართული ხალხური სიმღერები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენს წინაპართა ადათსა და წესზე, ამდენად ქართულ ხალხურ სიმღერას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს.

მრავალხმიანი ფოლკლორულ მუსიკა სულ სხვა ფენომენია. ეს ის ძალაა, რო-

მელიც ქართველების ცხოვრებას, აზროვნებასა და ხასიათს აერთიანებს, და კიდევ თავისი გენეტიკით თუ შინაარსით უცხოსთან გვაახლოებს. ამ ტრადიციების უდავო დამცველი, გამგრძელებელი და უბადლოდ შემსრულებელი დღეისთვის ეს არის ერთ ერთი საუკეთესო მთელ საქართველოში ვოკალური ანსამბლი ბათუმი. ანსამბლ „ბათუმის“ თითოეულ წევრს აქვს ძალზე დიდი შემოქმედებითი ტალანტი. თითოეული წევრი გამოირჩევა პროფესიონალიზმით. ოსტატობითა და საშემსრულებლო კულტურის მაღალი დონით. 1991 წელს ნოდარი სურმანიძისა და ენვერ ხაბაძის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მერიასთან შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ბათუმი. რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართული ხალხური სიმღერის ჩინებული ოსტატი თემურ დოლიძე. 2000 წლიდან ვოკალური ჯგუფი გამოეყო ძირითად ანსამბლს და დაფუძნდა აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“.



წარმატება დაარსების დღიდანვე თან ახლდა ანსამბლს. ასევე წარმატებული იყო ანსამბლის თითოეული გასტროლი ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალ-კონკურსზე 1995 წელს ანსამბლმა მაყურებლის სიმპათია და პირველი პრემია დაიმსახურა. 1997 წელს შვედეთის ქალაქ ოსკარჰამაში ფოლკლორის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალზე მოპოვებული გრან პრი ანსამბლის შემოქმედებით მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა.

2000 წლის პირველი ივნისიდან ბათუმს მიენიჭა სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და დღემდე იწოდება როგორც აჭარის სახელმწიფო კოკალური ანსამბლი



„ბათუმი“. ანსამბლს მრავალი და წარმატებული გასტროლი ჰქონდა. 2001 წელი ისრაელი-საქართველოს კულტურის დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები ქალაქ იერუსალიმში. 2003-2008 წწ გასტროლები საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ლატვიაში. 2009 წ - აზერბაიჯანში ანსამბლი წარმატებით გამოვიდა ქალაქ ბაქოს კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში. 2010 წელს პოლონეთის ქალაქ ვარშავაში ანსამბლმა პირველი პრემია აიღო-მართლმადიდებლურ საგალობო.

2011 წელში ჩინეთი უანგაიეს 2011 წლის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსი. 2011 წლის 15 დეკემბერს ბათუმის

მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში აღინიშნა ანსამბლ ბათუმის იუბილე. ანსამბლს იუბილე მიულოცა აღგილობრივმა ანსამბლებმა და სტუმრებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო ღრამატული თეატრის წინ გაიხსნა ანსამბლ ბათუმის ვარსკვლავი.

სიმღერებით და დიდი ენთუზიაზმით ეწევა ანსამბლი „ბათუმი“ პოპულარიზაციას. როგორც საქართველოში ასევე უცხოეთის ქვეყნებში. დღეს ანსამბლ „ბათუმის“ რეპერტუარშია ქართული საგალობლები. საქართველოს ყველა კუთხის 150-მდე ხალხური, 80 -ქალაქური, 20 -კლასიკური სიმღერა. გამოცემული აქვს ქართული ხალხური სიმღერების კომპაქტური დისკი.

როგორ უნდა ემსახურო ქართულ ხალხურ სიმღერას ისე რომ არ აცდე დროს, შეინარჩუნო თვითმყოფადობა და იმავდროულად აქციო მუდამ აქტუალურად; წარმატებული მომღერალი მუსიკის ანსამბლის ქორმაისტერი ნოდარ ვარშანიძე მიუხედავად დატვირთული სამუშაო რეჟიმისა მან მაინც მოახერხა ჩვენთან გასაუბრება და ექსკლუზიურად რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხა.

უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა, რომ გამონახეთ დრო ჩვენთვის.

1) ბატონო ნოდარ თქვენ და სიმღერა განუყოფელი ხართ, სიმღერის გარეშე თქვენი თავი ალბათ არც გახსოვთ?

პატარაობიდანვე ვმღერივარ, ალბათ ლაპარაკი რომ დავიწყე თან ავმღერდი, შეიძლება პირიქითაც კი ითქვას (იცინის) მთელი ოჯახი ვმღეროდით ბაბუაჩემი ლადო ერქომაიშვილთან ერთად მღეროდა, რომელიც პატარაობიდანვე გვაჩვევდა და შეგვაყვარა ქართული ხალხური სიმღერის პოლიფონია შემდგომ ეტაპობრივად ვითარდებოდა ჩემი მუსიკალური მონაცემები. საესტრადო ხელოვნებაში ბათუმის გადმოსახედიდან დიდი წარმატება მქონდა 1972-1976 წლებში. ჩავაბარე ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში

მათემატიკის ფაკულტეტზე და პარალელურად ვსწავლობდი ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში.

2) თქენ როდიდან მოღვაწეობთ ანსამბლში?

1995 წლიდან მე დამიკავშირდა ანსამბლის ხელმძღვანელი თემურ დოლიძე და მან მითხვა, მე მყავს ანსამბლი და ძალიან კარგი იქნება გვერდში თუ დამიდგებიო, შეგვედი ანსამბლის წევრებს, როდესაც მოვისმინე, ანსამბლით აღფრთოვანებული დავრჩი, ისეთი ვოკალური მონაცემები ჰქონდათ ბიჭებს. მაშინ, ვუთხარი თემურის, მე დიდი სიამოვნებით დაგიდგებით გვერდში და ვიქები ანსამბლის წევრი, რომ ანსამბლში არ იქნება მარტო ფოლკლორული ჟანრის სიმღერები აქ იქნება კლასიკური, ქალაქური, საესტრადო სიმღერები და რაღათქმაუნდა საგალობლები. შეთანხმებას მივაღწიეთ და დაიწყო ჩვენი ერთობლივი მუშაობა სწორედ ამ რეპერტუარით თქვა თავისი სათქმელი ანსამბლ „ბათუმ“-მა, რაც ვერ თქვა სხვა ყველა დანარჩენ ანსამბლებმა.

3) რა არის მთავარი მიზეზი რის გამოც ანსამბლი აქტუალურობას არ კარგავს?

პირველ რიგში ეს არის ანსამბლის თითეულ წევრთა პროფესიონალიზმი რომელიც არის ანსამბლის ხელწერა. ანსამბლის რეპერტუარი და ვოკალური პოტენციალი, ქართული სიმღერის მადლი, ყველაფერმა ამან შეუნარჩუნა ანსამბლს დიდი ხნის ავტორიტეტი.

4) არაერთი ქვეყანა გაქვთ მოვლილი, არაერთი კონცერტია ჩატარებული, ყველაზე განსაკუთრებით მაინც რომელი დაგამახსოვრდათ?

მე ვფიოქრობ მაინც შვეცია, ეს იყო 1997 წელს ფოლკლორის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი, სადაც გრან პრი მოვიპოვეთ იქ წარდგენილი ვიყავით როგორც ფოლკლორისტ ასევე ქალაქური სიმღერებით, ბოლოს ყველაზე შთამბეჭდავი და ლამაზი გვირგვინი იყო ნადური, რომელიც ჩვენ შევასრულეთ. მაშინ მოვიდნენ ჩვენთან და ნადურის ნოტები გვთხოვეს, ჩვენ ვუთხარით ეს ის საგანძურია

რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და რომელსაც ნოტები არ გააჩნია. არასოდეს არ დამავიწყდება კონცერტის ბოლოს მაყურებელი დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში იდგა ფეხზე ამ ლამაზი საღამოსათვის ანსამბლ „ბათუმ“-ს აპლოდისმენტებით მადლობას უხდიდა.

5) შემოქმედებით საქმიანობაში რა სიახლე გაქვთ?

მე ვფიოქრობ წესისამებრ გაგრძელდება რეპეტიციები ჩვენ გვინდა, რომ წარესდგეთ ჩვენი საანგარიშო კონცერტით რაიონებში და დასკვნითი კონცერტი ჩავატაროთ ქალაქში. ჩვენ გამოცემული გვაქვს აჭარული ხალხური სიმღერების კომპაქტური დისკი და ასევე გვინდა ქალაქური სიმღერების ერთად თავმოყრა, დამუშავება და კომპაქტური დისკის სახით გამოიცემა, რომელიც ერთგვარ სახელმძღვანელოდ იქცევა მომავალი თაობების შემოქმედებითი აღზრდა განვითარებისათვის.“

6) ამ ხნის განმავლობაში ვინ გედგათ მხარში და ვის გადაუხდიდით მადლობას?.

ჩვენ სახელმწიფო ანსამბლი ვართ. ანსამბლი ფაქტორად უმეგობროდ არასოდეს არ ყოფილა. მადლობა ყველას ვინც წვლილი შეიტანა ანსამბლის თანადგომისთვის, ღონისძიების მოწყობა ჩატარებისთვის, მხარდაჭერისათვის. ყოველი კონცერტის შედეგ მადლობელი ვართ იმ სითბოსათვის, რასაც მაყურებელი ასე უხვად გამოხატავს ჩვენს მიმართ. ეს არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, მეტი სტიმული, რომ კიდევ უფრო მეტი სიმღერის ენერგია გვქონდეს, ხალხის სიყვარულის მოპოვებას წლები სჭირდება. მადლობა ამ სიყვარულისათვის.

7) ახალბედა ურნალს რას უსურვებდით?

ბევრ კარგ მკითხველს ავტორსა და ბეჭდურ გამოცემებს, მე ვფიოქრობ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებეთ, აღამიანური ურთიერთობების ხიბლი, რომელიც ვირტუალურ სივრცეშიც კი უმთავრესია რაც უურნალში ყოველთვის იგრძნობა.

წარმატებებს გისურვებთ.

## ჩემი სოფელი

პატარა შუამდინარეთი, მაღალი მთებით შემოსალტული, ღომადან წმინდის სერამდე რკალივით რომ აკრავს სოფელს, მხოლოდ ერთი გასავლელით უკავშირდება ბარს. ოდეს-ლაც უღრანი ტყით დაფარული ეს ადგილი ვაჟაცთა თავშესაფარი ყოფილა. აქ პიორველად ვინმე გიორგი (გოგი) დასახლებულა. წყაროსთან ქოხი დაუდგამს, გამრავლებულა და სოფელიც გოგიეთად (გიორგიეთად) შემდეგ რატომდაც გოგაძეებად მოუნათლავთ. თუმცა, ეს მხოლოდ გადმოცემაა და მისი სემანტიკა კერძოდ „გოგაძეები“ შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

აქ მრავლად სახლობენ დავითაძეები, ჯიბლაძეები, ბერიძეები, ბათაძეები, თურმანიძეები, ვახტანგიძეები და ახალი უბნებიც გაჩენილა: ქვედაუბანი, შუაუბანი, მეხრიები, ვახტანგეთი, ზეკარა, საწვეთიქედი...

სოფელს ორი ძირი ძირინარე ჩამოუდის. ერთი სატბოლ მოზრდილი, კლდოვანი კალაპოტითა და კალმახიანი ქვაბებით, ხოლო მეორე - პატარა, ანკარა წყაროების ნაერთი. სწორედ იგია სოფლის მაცოცხლებელი, ჭალების გამაგრილებელი, წისქვილების დამაბრუნებელი. მრავლისმთქმელია ცალკეული უბნების თუ ადგილების სახელწოდებებიც: „ნაფეტ-

ვარი“, „ნაჭარვალა“, „სათიბელი“, „გომანი“, „კურდანა“, „უკანა ტბა“, „თელვანა“, „ნამწვარევი“, თუ „ნაომარი“...

აქ შემორჩენილია ნანგრევები ქრისტიანული ფერისცვალების ეკლესიისა, რომლის უკანასხელი მღვდელი მამა დავითი(დავითაძე) ყოფილა. ნანგრევები და მიწაში აღმოჩენილი ღვინის ჭურები სოფლის მრავალ საუკუნოვან ისტორიაზე მეტყველებს.


ბუნება გამორჩეული, განუმეორებელია. ნაძვნარით დაფარული მთებიდან და ვარსკვლავებით მოჭედილი ციდან წინაპართა იღუმალი ხმები ჩაგჩრჩულებენ და მაგიურ ძალასა და ენერგიას გმატებენ.

თელვანიდან არყიძირის გადასასვლელით გზა შავშეთში გადადიოდა. სანამ სახლვრები ჩაიკეტებოდა, ეს ერთგვარი სავაჭრო არტერია იყო და აქაურებს მეზობელი ძველქართული ქვეყნიდან საქონელი გადმოჰქონდათ, საპატარიძლოები გადმოჰყავდათ. მომამდე და ომის წლებში ამ გზით ბევრიც მუჰაჯირად გადავიდა მეზობელ სახელმწიფოში.

გოგაძეებში გაზაფხული ნაგვიანევი იცის. თოვლის ნამქერებში ჯიქურ მოძვრება ია, ენძელა, ყოჩივარდები. ფრინველების სამური გალობა და ადიდებული ნაკადულების დუღუნი ბუნების გაღვიძებას გაუწევებენ.

ზაფხულობით ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვანია. მინდორველი ათასნაირად მოიქარება. უყურებ გვირილებით მორთულ მდელოებს და ისეთი განწყობა გეუფლება, დიდ რუს პოეტს სერგეი ესენინს რომ ათქმევინა:

მე დავიბადე სიმღერით  
ვარდ-ყვავილების ჭალაში,  
და გაზაფხულმა მარწია  
ცისარტყელების აგვანში.



ბლომად არის როგორც სასმელი, ისე სამკურნალო წყლები. ცივი, ყინტარო მთის მაღლიანი მიწიდან ტევრით ამონახეთქი: „ჩუხ-ჩუხა“, „შავწყალა“, „ბოგილი“, დაუსრულებლად რომ მორაკვაკებენ და ყელის ჩასაგრილებლად უხმობენ თავისი მიწის ჯიშსა და ჯილაგს.

ზამთარი მკაცრი და ხანგრძლივია, ცივი და ქარბუქიანი, თეთრი საფარი ხშირად 6-7 თვეს დევს და ზოგჯერ 2-3 მეტრს აღწევს. თოვლის ნიჩაბი, თხილამური, მარხილი აქაური კაცის განუყრელი ატრიბუტია და სანადიროდ გასვლა თუ ტყიდან შეშის ჩამოტანა ერთობ საინტერესო და მიმზიდველი საქმეა. მარხილს ტყეში მხარზე დადებული აიტან, ზაფხულობით გამზადებულ ხმელ შეშას დააწყობ, თოკით შეკრავ, წინ ჩაუჯდები და შეშასთან ერთად სრიალით ეშვები გაყინულ თოვლზე უკან კი ფიფქების კორიანტელს ტოვებ.

არანაკლებ მიმზიდველია ფიფქ თოვლში თხილამურებით სრიალი რომელიც აქ საკმაოდ პოპულარულია და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების დიდი პერსპექტივია.

წინაპართა მსგავსად ამტანი და გულიანია აქაური კაცი. მთელი სიცოცხლე შრომობს, ჯახირობს, ეფერება და ელოლიავება მშობლიურ მიწას. რაღაც მაგიური ბუნებრივი ძალა იზიდავს, გულში იხუტებს, სხვაგან გასაშვებად ვერ იმეტებს. მაგრამ წამსვლელი მაინც მიდის. საქმე იმაშია, რომ პატარა სოფელს ბევრის დატევა არ ძალუბს და იმდენი ოჯახია გადასული სხვადასხვა რაიონებში, ბარემ 3-4 სოფელს ეყოფოდა. სად არ ცხოვრობს გოგაძეებში ფეხადგმული კაცი: ბათუმში, ქობულეთში, თბილისში, გურიაში, იმერეთში, ქართლსა თუ კახეთში.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინათ 30-ზე მეტი ოჯახი გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში ჩასახლდა, იქ გაიჩინა ახალი ფუძე და ამრავლებს თავის მოდგმას. გოგაძეებლი კაცი გამრჯე, სტუმართმოყვარეა. უცხოს უმაღ შინ ეპატიუება, სახელდახელო სუფრას უშლის.

უწინ სოფელში ქერსა და პურს თესდნენ, ბევრგან ნახავთ კალოსა და კევრს. ახლა ნაფუძვრებში სიმინდი მოჰყავთ. კარგად ხარობს კარტოფილი, ლობიო, ბოსტნეული. ბევრია

ხილი, განსაკუთრებით ბალი, ქლიავი, 50-ზე მეტი ჯიშის მსხალი: „მსხალთაფლა“, „სტამბოლურა“, „საჭურა“, „ბარაქა“, „ბოქმვა“, „კაცისთავა“, „თავრეჯულა“, და მრავალი სხვა, რომლებიც იშვიათი გემოთი გამოირჩევიან.

სანერგედ ველური პანტა მოაქვთ, ამყნიან, სათუთად ზრდიან. სოფელი განთქმულია მეხილეობით, მეფუტკრეობით, მოხელეებით, განათლებული და სწავლული ხალხით. ორი მეცნიერებათა ღოქტორი და 5-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი ჰყავთ აქ.

მესაქონლეობა დიდ ჯაფას მოითხოვს. პირუტყვი ზამთრობით, 7 თვის განმავლობაში ბოსელში აბია და მის გამოსაკვებად თივა და ჩალა ბლომად უნდა მოიმარავო. ნეკერი და ფიჩი უნდა დაახმარო, რომ როგორმე გამოაზამთრო.

ივნისიდან პირუტყვი იალაღებზე გადაინაცვლებს. აქ ყველა ოჯახს ქოხი უდგას. ამზადებენ ერბოს, ყველს, ნაღუღს, მოჰყავთ ნიორი და სექტემბრის შუა რიცხვებში ბარში ბრუნდებიან. ბარს პირობითად ვამბობთ, თორემ ზღვის დონიდან 1400 მეტრზე მდებარე სოფელს ბარი ნაძვილად არ ეთქმის.

აქ ბლომადაა გარუელი ხილი (მოცვი, თხილი, ასკილი), სამკურნალო მცენარეები, რომელსაც მოსახლეობა ამზადებს და ყიდის. საკმაოდაა სამასალე ზე-ტყე. სიღუბჭირის მიუხდავად, ყველას უდგას ორსართულიანი ხის ზოგსაც ქვის სახლი, ბოსელი, ბელელი, საბძელი თუ სხვა დამსმარე ნაგებობა, ხეხილის ბალით, ბოსტნით, ფუტკრებით სავსე სკებით.

სოფელს მწარე ტკივილად შემორჩა 30-იან წლების რეპრესიები. ათეულობით ადამიანი დაიჭირეს, დახვრიტეს თუ გაასახლეს. ბევრმა უცხო ქვეყანაში გაქცევით აიცილა ყოველივე ეს, მაგრამ სამშობლოს ნოსტალგია აუფერულებდა ემიგრანტის ცხოვრებას.

მშობლიური სოფელი, წინაპრების საძვალე, თითოეული ადამიანის წმინდა სალოცავია და ღმერთმა ნურავის ნუ მოუშალოს ის მიწა-წყალი, რომელმაც გამოკვება, გაზარდა, ის ვეღ-მინდვრები, სადაც ფეხი აიდგა, დავაჟებდა, ის სამეზობლო-სანათესაო, ვისთან ერთად იშრომა, იღვაწა და ცხოვრების ავ-კარგი იგემა.

### დედა აჭარას

ლამაზი მთები გამშვენებს,  
ყვავილხატულა ბორცვებით,  
გიცავს ხიხანის ხეობა  
და სხალთის ტაძრის ლოცვები.  
გიცავს გონიოს გონი და  
ლიბო, ნათელი დევგმირთა,  
წარსული - დედა მყოფადის  
გამოწვეული დელგმიდან. . .  
აჭარავ, სულში მიზიხარ  
ზღვით, ბარითა და მთებითა.

### დანდალოს ხიდი და თამარ მეუე

დანდალოს ხიდი გზის შუაწელზე  
შემოსალტული ვერცხლის ქამარი,  
ვით სამკაული და სასწაული,  
ის უკვდავია, ვით მზე თამარი. . .  
როდესაც მტერი კედელს გვინგრევდა  
მეფე თამარი მძლავრი რევანშით ციხეს აგებდა  
და გზა შეჰყავდა უკვდავებაში  
შვენოდა მზე ქალს კვდემა ქალური,  
თუმცა ის იყო ეპოქალური.

### ს ა მ შ ო ბ ლ ო

ენა, რომ გქონდეს ალბათ იტყოდი  
ცრემლი და დარდი, ვერ მოიცილე  
გული, რომ გქონდეს ამას იტყოდი  
ეჰ, ეხლა რომ გყავს, ბევრი მოცილე  
დედაო მიწავ, ქართულო მიწავ.  
ჩემო სამშობლო ძლიერ მიყვარხარ  
შენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ  
სიმართლე არის მთავარი ჩვენში  
კვლავ დავიბრუნებთ, აფხაზეთს, ოსეთს  
და ბედნიერი ვიქენებით ხალხი.

· · ·

საქართველო, საქართველო  
ლამაზი ხარ ქვეყნებს შორის,  
კულტურა და ხელოვნება  
ბრწყინვალეა აღორძინდი.  
მომწონს შენი მთა და მდელო  
საყვარელო საქართველო,  
სულ უკვდავად იყავ ერო!  
სულ უკვდავად საქართველო.

## გურამ ჩხატარაშვილი

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნ.-თანამშრომელი

### ქვის ხანის არქეოლოგიური მასალები აჭარისწყლის ხეობიდან

აჭარაში ქვის ხანის ძეგლების მეცნიერული შესწავლის ისტორია საკმაოდ მოკრძალებულია და რამდენიმე ათეულ წელს მოითვლის. თუმცა, სხვადასხვა დროს განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა—ძიებების შედეგად საკმაოდ მრავლად გამოვლინდა ახალი ქვის ხანის ძეგლები, როგორც შავიზღვისპირა, ისე მთისწინა გორაკ—ბორცვოვან ზოლში. რაც შეეხება ზემო აჭარას, იგი ამ მხრივ ფაქტობრივად შეუსწავლელია, რადგან იქ დღემდე არ განხორციელებულა გეგმაზომიერი საველე არქეოლოგიური კვლევა—ძიებანი, მხედველობაში თუ არ მივიღებთ დაზვერვებისა თუ შეთხვევითი აღმოჩენების შედეგად ნაპოვნ მასალას.

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებით XIX ს-ის 80-90-იან წწ. დაინტერესდნენ ცნობილი მოგზაურ—მკვლევარები — დიმ. ბაქრაძე [ბაქრაძე; 1878], გ. ყაზბეგი [ყაზბეგი; 1875], პ. უვაროვა [Уварова; 1891], თ. სახოკია [სახოკია; 1985] და სხვები. მაგრამ ხეობის არქეოლოგიური შესწავლა XX ს-ის მეორე ნახევარში დაიწყო, რომელიც ბათუმის ნ. ბერძნიშვილის სახელობის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის სახელთანაა დაკავშირებული. აჭარისწყლის ხეობაში მიკვლეულია ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფერდალური ხანის ძეგლები [კაზიძე, მამულაძე; 1993: 9-10]. აჭარისწყლის ხეობაში უძველესი დროიდანვე არსებოდა ხელსაყრელი გარემო პირობები, რაც მის ფართო განსახლებაზე აისახა ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში.

ზემო აჭარის (აჭარისწყლის ხეობა) შესწავლის მიზნით პირველი ცდა განხორციელა 1972 წ. ბათუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელმაც დაზვერვები ჩაატარა აჭარისწყლის ხეობაში. არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად ბეშუმის ტერიტორი-

აზე ზედაპირულად შეგროვდა კაუისა და ობსიდიანის მასალა [გოგიტიძე; 1977: 90]. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ აქაური კაუი მრავალფეროვანია და მირითადად წარმოადგენს ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის გაქვავებულ—გაკაუებულ სახეობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იგი სრულიად განსხვავდენა ზღვის სანაპირო ზოლში გამოყენებული კაუისაგან.

2002 წ. საკმაოდ მნიშვნელოვან აღმოჩენასთან გვქონდა საქმე ბეშუმში, ადგილ ბულულას სერზე [გრიგოლა; 2007: 105-112]. იგი დაკავშირებულია პროფ. გ.გრიგოლიას სახელთან. კოლექცია შედგება ანდეზიტ—ბაზალტისაგან ნაკეთები იარაღ—ანატკეცებისაგან (ტაბ. I). მკვლევარი გ. გრიგოლია ბეშუმის მასალებს ქვედა პალეოლითის პერიოდით ათარიღებს (300-200 ათ. წელი).

ბეშუმის ნამოსახლარი ლოკალური ხასიათის ძეგლია და მნელდება მისი ამა თუ იმ კულტურულ არეალზე მიკუთვნება; იგი მეტ სიახლოვეს იჩენს პალურის ე.წ. „მთის კულტურისა“ და აჭარის ზღვისპირა ზოლის ქვის ხანის აღრეულ ძეგლებთან [გოგიტიძე; 2007: 116].

არქეოლოგიური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 1973 წ. დაზვერვები ხიხაძირში (ხელოს მუნ-ი). ექსპედიციის ერთ—ერთმა რაზმმა დაადასტურა არაერთი კაუის გამოსავლები, შეგროვებულ იქნა კაუისა და ობსიდიანის მასალებიც. გარდა არქეოლოგიური დაზვერვებისა, რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევითი აღმოჩენები, რომლებიც მნიშვნელოვან მასალებს შეიცავენ. ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 1977 წ. როცა ბეშუმის ტერიტორიაზე ბათუმის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ჟ. ქოიავამ ზედაპირულად შეაგროვა კაუის ანამტგრევ—ანატკეცები და ლამელები [გოგიტიძე; 1979: ]. ზოგიერთი

მათგანი იარაღია, რომელსაც ეტყობა გამოყენების კვალი (ტაბ. II).

საინტერესო შემთხვევით აღმოჩენასთან გვაქვს საქმე ბეშუმის ახლოს მთა ოეთრობთან (ნაჩადრევი) ხ. სურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე 1878 წ. მოპოვებული ცულის სახით. იგი ორმხრივლესილია, ორივე მხრიდან გულმოდგინედაა გაპრიალებული და უწახნაგოა (ტაბ. III). ანალოგების მიხედვით მკვლევარი ს. გოგიტიძე მას განვითარებული ნეოლითით ათარიღებდა [გოგიტიძე; 1979: ]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სინამდვილეში ეს არის ალპურ ზონაში ნეოლითური ხანის მსგავსი ქვის ცულის პირველი აღმოჩენა.

შემთხვევითი აღმოჩენებიდან საინტერესოა სოფ. ფუშრუკაულში ხ. სურმანიძის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილი ქვის იარაღი (ტაბ. IV), რომელიც შესაძლებელია თავიდან ხელსაფქვავი ან სასრესი ყოფილიყო. იგი მოგრძო ოთხკუთხედის ფორმის ანდეზიტ-ბაზალტის ქვის ოდნავ ირიბ ჩამონატეხს წარმოადგენს. მონაპოვარი კომბინირებული იარაღი ჩანს, – მისი ერთი მსარე ხელსაფქვავადაა გამოყენებული, მეორე გაცილებით ვიწრო და მომრგვალებული – სანაყად. სწორი სიბრტყის შიგნით დაწყებულია გახვრეტა, რაც ბოლომდე არაა მიყვანილი. გახვრეტისა და მასზე ტარის მორგების შეძლევ იგი ჩაქუჩად ან უროდ შეიძლებოდა გამოყენებულიყო [კახიძე, მამულაძე: 12]. ფუშრუკაულის მონაპოვარს ს. გოგიტიძე ნეოლითის დასასრულითა და ენეოლითის პერიოდით ათარიღებს.

მნიშვნელოვანია სოფ. წაბლანაში შემავალ ყიშლაში ვინმე თ. შაინიძის საკარმიდამო ნაკვეთზე მოპოვებული მასალა, რომელიც შედარებით მცირერიცხოვანია და უმთავრესად ანატკეცებითაა წარმოდგენილი (ტაბ. V). თუმცა, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ყიშლას მასალა მთლიანად ობსიდიანითაა წარმოდგენილი და სრულიად იდენტურია სამხრეთ-აღმოსვლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითურ ნამოსახლარებზე გამოყენებული ობსიდიანის ნედლეულისა [გოგიტიძე: 1979: 26].


როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, აჭარისწყლის ხეობაში მცხოვრები უძველესი ადამიანი ხის გაქვავებულ-გაკაუებულ სახეობას იყენებდა. დაზვერვების დროს არაერთი კაუის გამოსავლები დადასტურდა, რაც სავსებით საქმარისი იყო პირველყოფილ აღამიანთა ყოფისათვის; ხოლო, რაც შეეხბა ობსიდიანს, იგი სრულიად იდენტურია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითურ ძეგლებზე გამოყენებული ობსიდიანის ნედლეულისა. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორივე მსარე ერთი და იმავე წყაროდან მარაგდებოდა. უკანასკნელი გამოკვლევებით (მათ შორის ქიმიური ანალიზებით) დგინდება, რომ ჯავახეთის ზეგანზე არსებული ჭიქიანის მთა ვულკანური ქანების შემცველია და მისი ობსიდიანი, რომელიც უმაღლესი ხარისხისაა ფართოდ გამოიყენებოდა შავი და კასპიის ზღვებს შორის ვრცელ ტერიტორიაზე (ტაბ. VI). როგორც ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე (სოფ. ქობულეთი, ანასუელი I და ანასუელი II) წარმოდგენილი ობსიდიანი სწორედ ჭიქიანის მთიდან არის მოტანილი [Badalyan, Chataigner, kohl; 2004: 442-443]. ამდენად, აჭარის ტერიტორიაზე, როგორც ბარში, ისე მთაში წარმოდგენილი ობსიდიანი სავარაუდოდ ჯავახეთის ზეგანიდან ჩანს მოტანილი, რაც ბუნებრივია. მიუთითებს ამ დროს მცხოვრებ ხალხთა უძველეს კონტაქტებზე.

ამრიგად, აჭარისწყლის ხეობა ქვის ხანის მასალების მხრივ მეტად საინტერესო ჩანს, რაც დადასტურდა არქეოლოგიური დაზვერვებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად შეგროვებული მასალებით. ჩვენ ვფიქროთ, რომ აუცილებელია გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიებების ჩატარება, რათა დაგრიდეს საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩენების საწინდარი იქნება.


## Stone age materials from Acharistskali Gorge

In this article we discuss some stone age materials from Upper Achara (Acharistskali Gorge). Archaeological materials have been found due to archaeological prospecting and by accidentally.


ტაბ. I




ტაბ. II




ტაბ. III




ტაბ. IV



ტაბ. V



## ტაბ. VI



### ლიტერატურა:


1. ბაქრაძე დ, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ. 1987
2. გოგიტიძე ს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ. 1977
3. გოგიტიძე ს, შემთხვევით აღმოჩენილი ქვის ხანის მასალები აჭარისწყლის ხეობიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, თბ. 1979
4. გოგიტიძე ს, მეზოლითური და ადრენეოლითური კულტურა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა ტ. I, ბათ. 2007
5. გრიგოლია გ, ქვედა პალეოლითური ძეგლი აჭარის მაღალმთიანეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა ტ. I, ბათ. 2007
6. კახიძე ა, მამულაძე შ, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ. 1993
7. სახოჯა თ, მოგზაურობანი, ბათ. 1985
8. ფაზბეგი გ, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ. 1995
9. Уварова П, Абхазия, Аджария, Шавшетия, Потховский участок, Моск. 1891
10. adalyan R, Chataigner C, Kohl P, Trans-Caucasian obsidian: The exploitation of the sources and their distribution, Peeters 2004

## ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს საზღვაო ინდუსტრიის მდგრადის შესახებ

1993 წლის ივნისში ჩვენი გულისხმევის შედეგად საქართველო გახდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრი.

1994 წლის იანვარში ქვეყანაში დაიწყო საზღვაო სრულყოფილი ძალაუფლების შექმნა - საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი, ხოლო 2002 წლიდან პრეზიდენტის დაქვემდებარებაში.

1994-1995 წ. საქართველო მიუერთდა 22-ზე მეტ საზღვაო კონვენციას, 1997 წ მიღებული იქნა საქართველოს პირველი საზღვაო კოდექსი, 2003-ში კანონი საზღვაო სივრცეების შესახებ; კანონი საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ, კანონი მეზღვაურთა მომზადებას და დიპლომირების სესახებ; (რიგი ძირითადი ნორმატიული აქტების, რომელიც რეგლამენტირებას უკეთებენ სახელმწიფოს საზღვაო ხელისუფლების საქმიანობის ძირითად ასპექტებს); ხელმოწერილია 32 შეთანხმება მეზღვაურების მომზადების სისტემის ურთიერთ აღიარებაზე, მათ შორის ევროკავშირის 3 ქვეყანასთან და 2006 წლამდე ინდუსტრიის განვითარება მიღობდა ინტენსიური ტემპებით; გაიხსნა სუფსისა და ყულევის პორტები; დაიწყო მაშაობა ფოთსა და ბათუმში საბორნე გადაშესვლელმა.



და შემდეგ კი, კატასტროფა - 2006 წ. დაწყებული კბენდუქიძიდან და ი.თაქთაქიშვილიდან, გამომდინარე პირადი ამბიციებიდან გამოვიდნენ წინადადებით საზღვაო ხელისუფლება გამოიყვანათ პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან და დაექვემდებარებინათ ეკონომიკის სამინისტროსათვის და სამინისტროს და ერთიანი სატრანსპორტო აღმინისტრაციის ყველა მომდევნო ხელმძღვანელი დამთავრებული გაკარბელაშვილით და იდავითაძით აგრძელებდენ რეგრესიულ პროცესს.

ამ მომენტიდან დაიწყო პათოლოგიური პროცესები დესტრუქციული მოქმედებებისა, ყველა საზღვაო კანონმდებლობის რევიზია (რომელიც თავის დროზე იქმნებოდა, როგორც საზღვაო სამართლის საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებული და პრაქტიკულად ყოველთვის გადიოდა მიღების წინ საექსპორტო რევიზიას ევროკავშირის და IMO-ს და ევროკავშირის (TASIS-ის ფარგლებში) საერთაშორისო ბანკის და ასე შემდეგ). დაიწყეს მისი პრიმიტიული გადაწერა ეკონომიკის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის პირადული გემოგნებით.

ბოლოს კი აღმოჩნდა, ავიაციის წრეებიდან ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, რომ იგივე სიტუაცია ჩამოყალიბდა ავიაციაშიც. ეკონომიკის სამინისტრო გახდა საბჭოთა ტიპის სამინისტრო, მიუხედავად იმისა, რომ დასავლური გაგებით სამინისტრო არ უნდა მართავდეს რომელიმე დარგს, არამედ ახორციელებდეს პოლიტიკის ფორმირებას. ზუსტად სამინისტროს არაკომპეტენტურმა ქმედებამ შექმნა ციებ-ცხელების და დაშლის სიტუაცია ზღვაოსნობის დარგში. საზღვაო აღმინისტრაციის ფუნქციები, რომელიც შემუშავებული იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საერთაშორისო ბანკის პროექტის ფარგლებში, დაწეავუალირებული იყო, რო-

მელიც არ ჯდება მათ ავტორიტეტულ და ვოლუნტარულ დარგის მმართველობის მეთოდის კონცეპციაში. 2006 წ. -2010 წ. ოთხჯერ შეიცვალა მინისტრი და ერთიანი საზღვაო სატრანსპორტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, პერსონალის შტატი შემცირდა 45-დან 11 კაცამდე და შესაბამისად შემცირდა ბიუჯეტი, რითაც დარღვეული იყო პერსონალის სტაბილური მაშაობა. ყოველი ახალი მოსული ხელმძღვანელი პერსონალს აწერინებდა განცხადებას განთავისუფლებაზე პირადი სურვილით თარიღის მითითების გარეშე და ეს თარიღები იწერებოდა შემდგომ, როგორც წესი 3-5 თვის შემდგომ. ასეთ პირობებში საზღვაო დეპარტამენტის პერსონალი 3-6 თვის განმავლობაში იმყოფებოდა თავისი ბედის მოლოდინში და არ ჰქონდა საშუალება შემოქმედებითად და პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობები და საბოლოოდ პრაქტიკულად ყველა განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან (თუ გაათავისუფლეს მენეჯერი რა შუაში იყო აქ რიგითი პერსონალი, რომელიც განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი საფუძველის გარეშე და სამართლიანი იქნებოდა მათი სამუშაოზე აღდგენა) საზღვაო დეპარტამენტის ყველა ინიციატივის იგნორირება ხდებოდა როგორც ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში ისე სამინისტროში, მოქმედებდა პრინციპი - „არ მაინტერესებას“. ზუსტად ამ მიზეზის გამო არ იყო ხელმოწერილი IMO-ს ზოგიერთი კონვენცია, არ იყო დამტკიცებული ბიზნეს გეგმა, ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის გეგმა და ავარიულ სამაშველო ოპერაციების გეგმა, არ იყო მიღებული ღონისძიებები რომლებიც შემოთავაზებული იყო და ითვალისწინებდა მეზღვაურთა დიპლომების აღიარებას ევროკავშირის ქვეყნებში.


მეზღვაურების ზურგზე დაიწყო საზღვაო სააგენტოს შენახვა, რომლის პერსონალი უცებ თითქმის 100-მდე გაიზარდა (ეს როცა მისი ოპტიმალური რიცხვია 45). ჯამში მეზღვაური იხდის საბუთებისთვის, რომელიც უნდა გასცეც სააგენტომ სახელმწიფოს სახლით, უზომოდ მაღალ საფასურს.

ასევე უზომოდ მაღალ საფასურის გადასახადია ნავსადგურში მდგომ გემებიდან და

არავინ არ დაფიქრებულა, რომ გემთმფლობელები მიაწერენ ფრახტზე ამ დამატებით გაუმართლებელ გაბერილ მოსაკრებელს და შედეგად საქართველოს ნავსადგურები გახდენ ყველაზე ძვირად ღირებულ ნავსადგურებად შავ ზღვაზე (მაგალითად საბორნე გემები იხდიან გაუმართლებლად დამატებით მოსაკრებელს თითქმის 1900-2000 აშშ დოლარს).

ფაქტიურად სამინისტრომ და სააგენტომ არაფერი ახალი არ შექმნა (2006 წლამდე საზღვაო ადმინისტრაცია ასევე იმყოფებოდა თვითდაფინანსებაზე და მისი ბიუჯეტი შეადგენდა 2.5 მილიონ ლარს, გემების რეგისტრაციიდან შემოსული თანხებიდან, გემების შემოსვლის მოსაკრებელიდან 100 აშშ დოლარს და შეადარეთ ეს ციფრი 2000 აშშ დოლარს დღეს საბორნე გემებისთვის). დღევანდელი სტრუქტურა ინახება მეზღვაურთა მაღალ მოსაკრებელთა და ნავსადგურებში შემომავალი გემების ხარჯზე).

ხოლო პორტებში დაიწყო კვალიფიციური კადრების (რომელთაც ჰქონდა განათლება ნავსადგურების ექსპლოატაციის საკითხებში) დათხოვნის ეპოქა და მათი შეცვალა არაკვალიფიციური კადრებით ამ საკითხებში (იურისტებით, ეკონომისტებით), რომელებთაც არ ჰქონდათ არავითარი წარმოდგენა ნავსადგურების საქმიანობის შესახებ და დღეს ნავსადგურებში დარჩენენ ერთეული სპეციალისტები, რომელებსაც აქვთ განათლება ნავსადგურების ექსპლოატაციის საკითხებში.



ნავსადგურების პრივატიზაცია იმ შემთხვევაში შეიძლებოდა შეფასებულიყო დადებ-

ითად, თუ განხორციელებული იქნებოდა მხოლოდ საქმიანობის სახეობების პრივატიზაცია ნავსადგურებში (სტიკიდორული, ტალ-მანების, მცირე მექანიზაციის, საოპერატორო, სანავსადგურო ფლოტის ნაწილის, სარემონტოს, ტექნიკური ინფრასტრუქტურის და ასე შემდეგ). სინამდვილეში მოხდა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების პრივატიზაცია (ნავსადგურის ადმინისტრაციის ფუნქციის), რამაც საბოლოოდ მიგიყვანა ნავსადგურებში სახელმწიფო ფუნქციის დაკარგვასთან.

მკვეთრად გამორჩეული ხასიათი მიიღო ჩამოყალიბებულმა მონოპოლიის გაჩენამ აგენტიორების და ექსპედირების დარგში. „ტრანსისტემ საქართველო“ ბათუმის ნავსადგურში არის მონოპოლისტი ტვირთების ექსპედირების დარგში, ამავე დროს ის არის „ტრანსისტემ ყაზახეთის“ შეილობილი კომპანია, რისი 20%-ის მფლობელია რუსეთის რკინიგზა. ყულევის ნავსადგურში გემების აგენტი, მონოპოლისტი არის კომპანია „პამალი“ 100%-იანი აზერბაიჯანის ინტერესებით და ამ ნავსადგურში მკვეთრად ჩანს ნაციონალური ფაქტორი სომხების მიმართ, რომელიც ხელმძღვანელობის მხრიდან მოდის.

პარადოქსალურია, მაგრამ პრეზიდენტმა შემდგომ აღიარა შეცდომა ნავსადგურების პრივატიზაციის თაობაზე და ჩაიდინა მომდევნო შეცდომა - გამოვიდა ახალი უზარმაზარი ნავსადგური ლაზიკას დაარსების იდეით, რომელიც აპირებდა განეხორციელებია სახელმწიფო პოლიტიკის იდეის შერწყმა. ამასთან მშენებლობა დაიწყო მხოლოდ ერთი ფურცლის საფუძველზე ნავსადგურის გენერალური გეგმის (ესე იგი არავითარი სამშენებლო პროექტი, არავითარი გაანგარიშებები, არავითარი საპროექტო დოკუმენტაცია, საექსპორტო დასკვნები და ასე შემდეგ). ანალოგიური სიტუაციაა სუფსის ახალ ნავსადგურთან დაკავშირებით (დაიწყო მშენებლობა საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე).

დამახინჯებები შეეხო აგრეთვე სხვა საკითხებს, კერძოდ: სანაპირო დაცვას მიეცა მათთვის არათვისობრივი ფუნქციების განხორციელებების დავალებები განსხვავებით ევროპისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში სანაპირო

დაცვა იყენებდა ოთხმოცდაათიანი წლების ავტონისპექციის პრაქტიკას, იდგა „ჩასაფრებაში“ დაელოდა შემთხვევით დარღვევების ქმედებებს ან თვითონ პროვოცირებას უკეთებდა ასეთ დარღვევებს და შემდგომში ცალსახად აფორმებდა დანაშაულებებს, მაღალი ჯარიმების გამოძალვის მიზნით, ბიუჯეტის სასარგებლოდ. (ტანკერ „მინევრა კლარა“, მაღალტის დროშით საქმე და სხვა მრავალი შემთხვევა).

საჭიროა სანაპირო დაცვის ასეთი პოლიციური ფუნქციის გადახედვა: ნავსადგურში მათ არაფერი ესაქმებათ, მათი მიზანია ტერიტორიალურ წყლებში პატრულირება, ცურვის რეჟიმის, კონტრაბანდის, არალეგალების ზღვიდან შემოღევის და თევზჭერის დარღვევის გაფრთხილება და თავიდან აცილება.

ნავსადგურებში ჩაღვრის შემთხვევაში საკმარისია შავი ზღვის ინსპექციის და ნავსადგურის კაპიტნის ყოფნა, ხოლო ზღვაში დაბინძურების შემთხვევაში სანაპირო დაცვამ უნდა განახორციელოს გემის დაკავება და გადასცეს შავი ზღვის დაცვის ინსპექციას. რაც მთავარია მიდგომა უნდა შეიცვალოს ძირეულად, არ მოხდეს დარღვევის პროვოცირება და შემდგომ საჯარიმო სანქციების გამოყენება, არამედ განხორციელდეს დაღვევების წინასწარ გაფრთხილება და თავიდან აცილება.

საჭიროა აღიკვეთოს მათი ჩარევის უფლება თევზჭერი და მცირე ზომის გემების ზღვაში გასვლისას, ამისათვის არსებობს ნავსადგურის კაპიტანი, სანაპირო დაცვამ უნდა მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ გემების მოძრაობის შესახებ და ასეთი ინფორმაცია მათთან მოდის რადიო ლოკაციური ინფორმაციის სახით, რომლებსაც დებულობენ მათი კუთვნილი რადიოლოკაციური დაკვირვების პოსტებიდან, რაც სავსებით საკმარისია მათი ამოცანების განსახორციელებლად.

ქვეყანაში საზღვაო კონცეფციის და ნაოსნობის მნიშვნელობის გაგების არყოფნას კიდევ ერთხელ ამტკიცებს ის ფაქტი, რომ 2006 წ. შემდეგ არ განხორციელებულა არცერთი მიერთება საზღვაო კონვენციებთან, მიუხედავად იმისა რომ ეს საკითხი მუდმივად წამოიწეოდა ძველი ადმინისტრაციის

მიერ, არ ექცეოდა შესაბამისი ყურადღება ჰიდროგრაფიულ სამსახურს, არ განხორციელებულა საერთაშორისო ჰიდროგრაფიულ ორგანიზაციაში (სპო) შესვლა. დღემდე არ არის დამტკიცებული ზღვაზე ნავთობის ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის ნაციონალური გეგმა და ზღვაზე ავარიულ სამაშველო ოპერაციების ჩატარების ნაციონალური გეგმა, რომლებიც მომზადებულია ევროპის და კანადის საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად. არ ექცეოდა ყურადღება საზღვაო რუქების გამოცემას და ეს მიუხედავად იმისა, რომ ძველი საზღვაო ადმინისტრაცია ყველა ღონებს ხმარობდა ამ საკითხის წინ წამოსაწევად და თავიანთ უფლებამოსილების ფარგლებში მუდმივად ღებულობდა ზომებს საზღვაო რუქების თანამედროვე მოთხოვნების შენარჩუნების მიზნით, რომლებიც გამოიცემოდა სხვა სახელმწიფოების მიერ დასვამდა საკითხს სპო-ში შესვლაზე.



საზღვაო პოლიტიკის არქონა და სამხედრო საზღვაო ფლოტის როლის არ გაგებას ადასტურებს სამხედრო საზღვაო ფლოტზე უარის თქმა. იდეა იმის შესახებ, რომ სამხედრო მდგომარეობის შემთხვევაში სანაპირო დაცვის კატარლები გადავლენ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში და შეასრულებენ ნაოსნობის დაცვის ფუნქციას არ ექვედებარება გაგებას. სანაპირო დაცვა თავისი

ბუნებიდან გამომდინარე ვერ შეძლებს ნაოსნობის დაცვის ამოცანების შესრულებას, ამის არ გაგება ეჭვის ქვეშ აყენებს სპეციალისტების მომზადების ხარისხს სამხედრო აკადემიაში და გენერალურ შტაბში, არაფერს ვიტყვითავდაცვის სამინისტროზე (ბატალიონის დონეზე, რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მომზადებაში მიღწევები, რომელიც ჭეშმარიტად არსებობს ჩვენს ჯარში, ვერ შეძლებს გადაფაროს უფროსს და უმაღლესს მეთაურების კომპეტენციის სრული არ ქონა) და როგორც რეზულტატი 2008 წ. აგვისტოში - ერთი მხრიდან რიგითი შემადგენლობის მამაკობა და მეორე მხრიდან ტაქტიკური და სტრატეგიული მართველობის დაბნეულობა და პანიკა, ტაქტიკური და სტრატეგიული მოქმედების თვისებების უქონლობა, ჯარების მართველობის და მატერიალური ფასეულობების დაკარგვა ( მაგალითი - სამხედრო საზღვაო ფლოტის მეთაური ზ.შენგელიას პანიკური გაქცევა ფოთიდან ბათუმში და როგორც ჯილდო შემდგომი მისი დანიშვნა სანაპირო დაცვის ხელმმძღვანელის თანამდებობაზე), როგორ პეტე ეს 1941 წლის ივნისის საჭოთა მეთაურების მოქმედებას.

მხოლოდ ძველი საზღვაო ადმინისტრაციის კომპეტენტური ქმედებებით ჩაშლილი იყო რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების მცდელობა განეხორციელებინათ საქართველოს საზღვაო ბლოკადა და არა ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალებით. მხოლოდ საზღვაო დეპარტამენტის ძალისხმევით, რომელმაც შეძლო სწორად და პროფესიონალურად გაეწია ორგანიზება ნაოსნობისათვის სამხედრო დროის პირობებში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

### ზრუნვა

რატომდაც მინორულ ბგერებს ჩავაცივდი,  
თითქოს მაჟორული აღარ არსებობს  
დარდებთან ბრძოლაც უცებ წავაგე და  
სულ მთლად მისუსტდა სულის სამფლობელოც.  
მჯერა, რომ ღამე არ გაგრძელდება,  
დღეს ჩამოწყდება ის შავი ფარდა,  
არ გაილევა ეს ჩემი გული  
ამდენ ვაებად და ამდენ დარდათ.  
მე ველოდები გარიურაჟს ისევ,  
ჩამოცურებას ბალახზე ცვარის,  
მე მენატრება ალერსით ქროლვა  
ჭვავის ყანაზე ზეფირი ქარის,  
და ისევ მინდა ვიზილო  
ქათქათა რაშის ორფეხზე დგომა  
დაუვარც ხნელი ფაფარი მისი  
თუ როგორ ადევს იმ მწველ მზეს ფონად.

### ორკესტრი

ვხედავ ოცნება თავს იქლავს,  
ისერებიან ფიქრები,  
ნოტებს ბგერები გაურბის  
ვეღარ ამღერდა ორკესტრი.  
მე ვერ ვეწევი საათის ისრებს  
სულ გულზე მხვდება წუთების წინსვლა  
თითქოს ამ ქვეყნად წამით ვართ ყველა  
და დედამიწამ შეწყვიტა ბრუნვა.  
მაგარმ ერთს გეტყვი ადამიანო  
ეს დედამიწა არ გაჩერდება  
ჩვენი სამყარო უსასრულოა  
ასეთივეა ჩვენი ცხოვრებაც.  
ჩვენ კი არ ვპატიოთ, გარდავიცვლებით  
და ჩვენი სული განაგრძობს სუნთქვას  
სხეული რა? არაფერია  
ის ისევ მაინც მიწად იქცევა.  
ჰოდა ამიტომ სიკეთე ვთესოდ  
არ გვინდა ფრონტი, არ გვინდა ომი,  
სულ სიყვარულის ზეიმი შევქმნათ.

მაშინ ოცნება თავს არ მოიკლავს,  
არ დაისერავს თავს ეს ფიქრები,  
ნოტებს ბგერები არ გაექცევა  
და ამღერდება ჩვენი ორკესტრიც.

### სამი საუკუნე

აჭარულ გულში ჩაღვენთილ სიწმინდეს  
შავი ზღვის ტალღები ნაპირზე რიყავდა,  
ბლავილით მოვარდნილი ურიცხვი მტერი  
ვაზს გვიჩეხავდა ტაძრებს ლეწავდა.  
მაგრამ ტაძრები, ცას რომ არღვევდნენ  
ამაყად იდგნენ, ქედს არ იხრიდნენ,  
მათი სპეტაკი ძალის დიდებით  
დემონებს დევნიდნენ შიშის ზარს სცემდნენ.  
ლოცვის დროს ხანჯალს გვირტყამდნენ გულში,  
და ზარბაზანზე ცოცხლათ გვაკრავდნენ,  
უწმინდურ შუბებს გვირტყამდნენ სულში,  
გვკლავდნენ გვჩეხავდნენ და გვაწამებდნენ.  
ომისგან დაღლილებს, სისხლის ტბით დაცლილებს,  
ჩვენ ხორცის ნაგლეჯს შავ ყორნებს ატანდნენ  
ჩემო აჭარავ, სიწმინდის კერავ,  
შენ ურწმუნობას ნეტავ ვინ დაგწამებს.  
ტაოს კედლებზე მოხატულ ხატებს  
შეუშრობლად, რომ სდიოდა მირონი,  
აქ სველდებოდა უფლის წმინდა კვართი,  
აქ ლოცულობდა ნატანჯი დედები  
და სისხლის მტვერი ქარს შორს მიჰქონდა.  
დარდთა ჯარების შემოტევისგან  
სასმელს მივეძალე უაზრო ზომით,  
სევდით დაღლილი გახელებული  
ცხელი სიბრაზის ქვაბში ვგარდები.  
ვიღებ მაუზერს და ჩემი ცხენით  
შენს ბებერ მთებში ყაჩაღი ვხდები  
და ძველაჭარულ ჰოი და ნანაზე  
აჭარულს ვცეკვავ ჭიპონით ხელში.  
გაღმით ტაო-კლარჯეთს ლოცვად ვიმუორებ,  
გამოღმით მემლექეთს კოცნით ვერთვები,  
ჩემო სამშობლოვ წმინდათ ნაძერწო  
მე შენს სიწმინდეს სანთლებად ვენთები.

## მთავარია ჩვენ ვაჭარმოოთ ხარისხიანი და ბაზარზე გვერდებს კონკურენციანი პროდუქცია

სოფლის მეურნეობის პრობლემატიკურ საკითხებზე გვესაუბრება აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ავთანდილ მესხიძე.

**ბატონი ავთანდილ საქართველოს აგრარული ქვეყნის მდგომარეობის, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების და ცვის გათვალისწინებით რა მიზანმიმართულ კვლევებს და მეთოდებს ანხორციელებს აჭარის სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო ინსტიტუტები.**

აჭარაში არსებული ყველა სამეცნიერო ინსტიტუტი გაერთიანებული არის შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში. სამეცნიერო ცენტრში არსებული ინსტიტუტებიდან ორი არის სპეციალიზებული - აგრარული მიმართულებისა, ესენია: ბიოპათალოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ქობულეთშია განთავსებული, მეორე აგრარული და მემბრანოლოგიური ტექნოლოგიების ინსტიტუტი კი ბათუმში. ორივე ამ ინსტიტუტთან სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს მჭიდრო ურთიერთობა. მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს მიზნობრივი პროგრამები განსახორციელებელი, რომელსაც

აქვს სოციალური დატვირთვა, რამაც უნდა გააკეთოს და მოხსნას პრობლემა რაც მოსახლეობას აწესებს. ჩვენ აუცილებლად ვთვლით მეცნიერების ჩართვას პრიორიტეტული პროგრამების განსაზღვრის პროცესში. ერთ-ერთი პროგრამა იქნება ნიადაგების კვლევა, რომ დარწმუნდეს მოსახლეობა რა მინერალური სასუქია გამოსაყენებელი თავის ტერიტორიაზე. 20 წლის განმავლობაში. ფაქტიურად აღარ არსებობს ახალი მონაცემები ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ, შემდეგი პროგრამა იქნება მავნებელი დავადებების მონიტორინგი, დაგნოსტიკა, პროგნოზირება. მოსახლეობისთვის, ჩვენი ფერმერებისთვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ საკითხზე, პრევენციული ღონისძიების ჩასატარებლად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუდმივად აქვს კონტაქტები სამეცნიერო ინსტიტუტებთან, მათი კონსულტაციებით მოვამზადეთ ორივე პროგრამა, რომელიც სამ წლიანი ვადით განისაზღვრა.

**ბატონი ავთანდილ სოფლის მეურნეობის მრავალ დარგოვანი ტრადიციული კულტურებიდან აჭარისთვის გამორჩეული არის ციტრუსები, ჩიი, ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული, ასევე მეფუტერეობა. მეცნოველობა, მიწადომელება, ამ ბოლო წლებში მათ რიცხვს თევზის წარმოება და მინერალური წყლის ჩამოსხმა მიემატა. რა იგეგმება (ამ მხრივ) აჭარაში ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და აღნიშნულის ბაზაზე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაუმჯობებების მიზნით.**

აჭარის მოსახლეობასთან შეხვედრების და მათთან მჭიდრო ურთიერთობის შემდგომ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 9 პრიორიტეტულ პროგრამაზე შეჩერდა, მომავალში ეს პროგრამები 15-მდე გაიზრდება. ბაზაზე ჯანსაღმა კონკურენციაში შესაძლებელია სხვა მიმართულება და პერსპექტიული



პრიორიტეტების დანერგვა გააჩინოს სოფლის მეურნეობის დარღობრივ სფეროში.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო-სთან კორდინაციაში მყოფი დონორი ორგანიზაციები გაეროს და იუსადის ერთობლივ პროგრამით განვახორციელებთ მეციტრუსეობისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. ახალი პროგრამით მოხდება მანდარინის წარმოების გაუმჯობესება. მთავარია ჩვენ გვერდის ხარისხიანი კონკურენტუნარიანი პროდუქცია. მინდა დავარწმუნო მოსახლეობა, თუ ჩვენ გვექნება ხარისხიანი კონკურენტუნარიანი პროდუქცია გასაღების პრობლემა ნამდვილად არ გვექნება. საჭიროა ერთობლივი შრომა, (წელს) განსაკუთრებულად ვემზადებით მეციტრუსეობასთან დაკავშირებით ამ წლის სეზონისთვის. მანდარინის ფასი ხარისხიან პროდუქციაზე (გადამუშავების) დაფასოების შემდგომ 2-3 ლარამდე გაიზრდება.



მაღალმთიან რაიონებში: ქედაში, შუახევში, ხულოში, ნაწილობრივ ხელვაჩაურის რაიონში განხორციელება მექანიზაციის ხელშემწყობი (შევუმსუბუქოთ გლეხს ხელით შრომა) პროგრამა. გვაქვს სხვადასხვა სიმ-

ძლავრის მრავალფუნქციური მოტობლოკები 5700 ლარის ღირებულების, რაც მთავარია მოსახლეობა, მოტობლოკს მიღებს 30%-იანი თანადაფინანსების წესით. მოსახლეობის მოთხოვნით ცოცხალი გამწევი ძალისთვის გლეხი მიღებს გუთანს და სახნისს. თითეული 1000-1000 ცალი ერთეული. საქართველოს მაშტაბით გათვალისწინებულია აშენდეს ხილის გადასამუშავებელი მცირე საწარმოები დაახლოებით 60-მდე. აქედან ნაწილი ჩვენს რეგიონშიც იქნება შენახვის, გადამუშავებისა და დაფასოების (ანუ გადასამუშავებელი) საწარმოები. ასევე გაკეთდება ხილის საცავები .სამაცივრე დანაღვარები, რომელიც ხელს შეუწყობს მალფუჭებადი პროდუქციის მომზარებლისათვის მომსახურეობის პერიოდის გაზრდას. ეს ეხება როგორც ციტრუსოვან ნაყოფს, ხილს, ასევე კარტოფილს. კარტოფილი უნდა ვაწარმოოთ ხარისხიანი, რომ შემოტანილ პროდუქციას გაუწიოს კონკურენცია. კიბოთი ტუბერების და სხვა დაავალებების გამო შეიქმნა პროგრამა საკარანტინო დაავადებათა სია. უცხოეთიდან შემოტანისლი დაავადების შემცველი პროდუქციის შესასწავლად.

ჩვენი მიზანია სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული პროგრამები ისე გავანაწილოთ ,რომ ერთნაირად სარგებლობდეს მთისა და ბარის მოსახლეობა. ჩვენ გვინდა მივაწოდოთ მოსახლეობას (ეს არის საპილოტე პროგრამის მიხედვით) 20 წლიანი გარანტით თანადაფინანსების წესით 75-80 ლარამდე ღირებულების 7/10 კგ შემცველი ტემპერატურული რეჟიმის მქონე ფუტკრის



სკა. ზამთარში თბილი და ზაფხულში გრილი, ორსართულიან ფუტკრის სკაში ფუტკარი მეტად წარმატებული პროდუქტულობით გამოირჩევა. მოსახლეობას წელს მივაწოდებთ აგრეთვე მრავალწლიან ნერგებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვადგინოთ ჩაის ფართობები, საქართველო ხომ ჩაის მწარმოებელი ქვეყანა იყო, დღეს კი მომხმარებელთა 10%-ს ვერ ვაკმაყოფილებთ.

აჭარაში თურქებთან ერთად ერგები გაიხსნება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის „სასაკლაო“. მოსახლეობიდან ანამეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის მერე ერგეს ხორცის დამამზადებელი საწარმოო სანიტარული ნორმების დაცვით უზრუნველყოფს ბაზრის მომარავებას.

ბატონი ავთანდილ რა საჭირო ღონისძიებებს ატარებთ სოფლის მეურნეობის სააგენტოების შექმნის, მცირე და საშუალო საწარმოების, კოპერაციული გაერთიანების, დაბალპროცენტიანი მიზნობრივი კრედიტების გაცემის მცირე და საშუალო ბიზნესის, დამოუკიდებული სამეწარმეო სექტორის განვითარებისთვის.

დამოუკიდებელი იქნება ყველა ვინც წარმოადგენს ბიზნეს გეგმას, თავის ხელვებს, მიიღებს მიწას (მუშავდება კანონი მიწის შესახებ) იქნება ყველა დამოუკიდებელი თავის წარმოებაში, ჩვენი მეწარმეები კონკურენციას მხოლოდ ერთმანეთს გაუწევნ და ეს იქნება ჯანსაღი მიღობა საქმისადმი. კოპერაციული გაერთიანების მიმართულებით აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში განხორციელდება დარგობრივი სპეციალიზაციის მოდელი. რაც შეეხება კრედიტებსა და დაბალ %-იან სესხებს ეს ფონდი უკვე გამოიყო, იგი საერთოდ ერთიანი იქნება მთელს საქართველოს მაშტაბით. ჩვენ ვფიქრობთ რომ ბიზნეს-გეგმები წარდგენილი იქნება ბანკებში პროკრედიტ, ქართუ და ლიბერთ ბანკში. აპრილის დასაწყისში ნებისმიერ ბანკს ექნება უფლება აწარმოოს ეს სერვისი. პრიორიტეტების მიხედვით დააფინანსოს 3-7

%-მდე გრძელვადიანი კრედიტი. კრედიტის დაფარვის შედავათები იქნება დაწესებული მოგების დაწყების მერე.

მთელი საქართველოს მაშტაბით შეიქმნება საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრები, რომლებიც კოორდინაციაში იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ერთობლივად გაკონტროლდება პრიორიტეტული მიმართულებით გაწერილი საქმიანობა. ამ ფორმით აჭარაში შეიქმნება საინფორმაციო-სტატისტიკური სამმართველობი. დღიდ მუნიციპალიტეტში: ქობულეთში, ხელვაჩაურში და ხულოში 5-5 სპეციალისტით, ხოლო ქედაში, შუახევში და ქალაქ ბათუმის მერიასთან არსებული ტერიტორიულ ორგანოში 4-4 სპეციალისტი. შესაბამისად სამი აგრონომი, ერთი ეკონომისტი და ერთიც ვეტერინარი. სპეციალისტების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით.

ბატონი ავთანდილ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე სასურველია ქეყნის მოსახლეობამ მისთვის საჭირო საარსებო მინიმუმი-სურსათი თვითონ აწარმოოს, როგორც სასოფლო სამეურნეო ასევე მეცხოველეობის პროდუქცია. რა იქმნება ამ მიმართულებით აჭარაში.

ისევ და ისევ სწორი მიღვომა კულტურების სწორი განლაგება და ზრუნვა ხარისხზე. ყოველთვის ჩვენთან მოწეულმა პროდუქციამ უნდა გაუწიოს ხარისხით კონკურენცია და იგივე ხარისხით უნდა გავიღეთ დასავლეთის ბაზარზე. თუ ვაწარმოებთ ხარისხიან პროდუქციას შესაბამისი სტანდარტების დაცვით ჩვენ პრობლემა არ გვექნება და ბაზარიც იქნება დაცული. ჩვენ მოსახლეობას ეცოდინება, რომ ქართული წარმოების პროდუქცია უკეთესია ვიდრე შემოტანილი. ეს დადგებითი პროგრესული მექანიზმები, ეკონომიკური საშვალებები, სახელმწიფო დახმარება (თანადამფინანსებელი), გონივრული ხედვები სოფლის მეურნეობის საქმიანობას პერსპექტივისკენ წაიყვანს. მომავალი უკეთესი იქნება.

\* \* \*

ტექნიკურმა პროგრესმა წიგნიერების სამყარო თითქოსდა გააუფერულა, მაგრამ კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, თუმცა სამწუხაროდ დღეს მოდად იქცა თუ დაავადებად - კომპიუტერულმა ტექნიკამ გადაინაცვლა პირველ ადგილზე. ძელია თუ ახალი, წიგნი მანც წიგნია და იგი შეუცვლელი მეგობარია მოაზროვნეთათვის.

შერნალისტურ სივრცეში სამწუხაროდ ტკივილიან ხარვეზთან ვდგავართ - როგორც ვახსენე, მათ უკანა რიგში გადაინაცვლეს.

მივესალმები ახალი შერნალის დარსებას და ვუსურვებ, ხალხის სამსახური მაღალხარისხონად და ღირსეულად შეესრულებინოს, რამეთუ ახალი გამოცემა, როგორც ძველ თაობას, ისეც ახლებს წარმოაჩენს სახალხო-სამწერლო ასპარეზზე. დაე, ახალი საუკუნის პირში მაღალმხატვრული და მრავალფეროვანი ჟანრის უბერებელი მაცნე ყოფილიყოს.

## მინიატურები

### ადამიანებთან შებრძოლება

... ცივილიზებული სამყარო ტყეს შეესია. ფინანსურად მომდლავრების წყაროდ იქცა ტყე - იჩეხება შეუბრალებლად. საუკუნობით ნაზარდი, ბუნების ერთეული მშვინიერება - ტყე, მიწას განერთხა.

დისბალანსმა და ქაოსმა მოიცვა - ფლორა, ფაუნა და ოზონი.

ადამიანმა დედამიწა მთლიანად დაიპყრო. დაირღვა პროპორციული საზომი ტყესა და ადამიანს შორის, კოსმოსს შეუღლო ადამიანმა კარი, იქ თავშესაფარს და საარსებო წყაროს დაეძებს, ხოლო დედამიწაზე არსებულს უმოწყალოდ ანადგურებს.

საბუდაროშილი, საკვებდაკარგული (მოისპო შველი, ირემი, კურდღელი. . .) ნადირი ახლა ადამიანს დაემტერა, თუ ტყის სანიტრების სახელს ატარებდნენ ტურა, მგელი და დათვი, ახლა ადამიანის მონაგარს შეესია - დღისით, მზისით ჩამოდიან სოფლად და იტაცებენ რაც მოყებათ.

ძალიან ძლიერია შიმშილის მომაკვდინებელი ძალა, ისეთივე ბრძოლისუნარიანი და მავნე, როგორიც თანამედროვე საბრძოლო საჭურველი.

პოდა, აღარ უფრთხის ნადირი ადამიანს.

... გუშინ ტურა შუალისას ძალიან ეზოდან ქათმი წაიღო, დათვმა ბაღჩაში ხეხილი ჩამორეცა და მოულხინა, მგელმა კი ადამიანი დაგლოვა . . . ხვალე იქნებ უარესიც მოხდეს. . .

გაბოროტებული მხეცი, უარეს მხეცს - ადამიანს შეებრძოლება. . .

იქნებ ბიბლიური ნააბბობის ხორცშესხმა აქედან იწყება? იქნებ მგელი, ტურა და დათვი, არათუ ადამიანს, ცხვარსაც კი დაუმუეგობრდეს? მაგრამ სანამ ეს მოხდება, ცივილიზაციამ სხვა რელსებზე უნდა გადაინაცვლოს - ტყე გაჩეხონ კი არა, ისე ხშირად უნდა გააშენონ, ნადირმა ხებს შორის გასაძვრომიც ვერ ნახოს. . .

### -შენ-

... „შენ“ ღამის იდილია გაკრთობს ხანდახან, ხშირად კი მთვარეზე გადაფარებული ღრუბელიც, თუმცა განსაკუთრებული ინტერესით არც ბრდღვიალა მოვარე გხიბლავს და არც მზის თაკარა, იმისა ხან მთვარეს ესაუბრები და ხან მზეს ლოცავ. . .

სიცოცხლე ისე გწყურია, როგორც მაშვრალს წყაროსწყალი, თუმცა თვალებს ხშირად ნისლიანი კაეშანი გიბინდავს. იმ წუთას მუხლებიც გეპვეთება და მდუმარებაში ჩაფლულს არათუ ვინმეს დანახვა, ჩქამის გაგონებაც არ გინდა. არადა, რა მხარეული ხარ, როცა სიხარულის წუთები გაქვს-თითქოს ფრებ, თითქოს ზღაპრული ფერიების ენით საუბრობ, თითქოს. . .

... შენ ძალიან გწყურია და გიყვარს სიცოცხლე, დიმილი, სიკეთე, მაგრამ ასეთ კეთილშობილებასთან ერთად ხანდახან ისეთი უსახურა აზრები გიპყრობს, თითქოს, წამიერად დაზუტული თვალების მიღმა გამქრალ სიცოცხლეს გაპეევი თან. . . არა! მსგავსი რამ არ შეიძლება - შენ ხომ ჯერ ის კვირტი ხარ რომელიც ეს-ესაა უნდა გაიშალოს. შენ ხომ ის სურნელოვანი ვარდის კოკი ხარ, რომელმაც ლამაზმანთა რიგი უნდა გააკეთილსურნელოვნოს. . .

შენ უჭენობელი ვარდი ხარ და ასევე დარჩები, რომ ახარო ისინი, ვისაც შენით ტკბობა და სიხარული უწერიათ . . . შენ დაუსრულებელი სიკეთის საგანმური ხარ, დაუშრეტელი კეთილშობილების წყარო, ამოუწურავი მუზების ჯადობსნური სივრცე, მაცოცხლებელი სუნთქვა და თავად სიცოცხლის საწყისი. . .

სიცოცხლე და სიხარული ხარ, რომელიც მარტო შენი საკუთრება არ არის . . . ის სხვებსაც ეკუთვნის და უფალი სწორედ იმ სიძართლის გზებით გატარებს, სხვებს რომ სიხარული მიანიჭო. . .

... ღმერთმა გახაროს და გაგაძლიეროს.

ლექსი ეძღვნება მელაპათ წიმშიაშვილს,  
შერიფ წიმშიაშვილის შვილიშვილს\*

### მენატრები, ჩემო ხულო

მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მიწავ, ჭირნახულო,  
თეთრ სიზმრებში დანახულო, იქნებ ვეღარც გინახულო.  
ვეფერები სხალთას, თაგოს; მანდ დარჩენა მიქადაგოს,  
მშობელ მიწამ წამლად მარგოს, უცხოეთში არ დამკარგოს.  
ფიქრის მთებით გადაგსერავ ნიგაზეულს, სარიჩაირს,  
ვკოცნი მიწას მონატრებულს, წყაროს, ყვავილს მრავალნაირს.  
სტამბულს შუქი ეფინება, ჩემს თვალებს კი ბინდი აკრავს,  
გულით როდი მეღიმება ამდენი წნით ნაღველნაკრავს...  
სამოცდაათს მივაღწიე, შენთან ყოფნა გულით მწადის,  
შენს ნატვრაში გავიარე შვიდჯერ ათი წელიწადი...  
რა იქნება, ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად ჩამომლვენთო,  
ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მიწა წამახურო,  
რომ მშობლიურ აჭარაში ჩემი სული სანთლად ენთოს...  
დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთის კალთაზე დახატულო,  
ჩემთვის ტაძრად შენახულო, მენატრები, ჩემო ხულო...

---

\* მელაპათ წიმშიაშვილი ცხოვრობს ქ. სტამბოლში. ლექსი დაიწერა 1993 წელს, როდესაც იგი 70 წლისა ბრძანდებოდა, ამჟამად ადრესატი 90 წლისაა. უკრნალის მომდევნო წომერში ლექსის ავტორი გვპირდება მისი შექმნის მოქლე ისტორიას.

## აღვადგინოთ „წყარო ცხოვრებისა“

კურთხეულ არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

წმინდა მამა ოონე ბრძანებს,,„სწავლე ბრძენ-სა და შეგიყუროს შენ, ნუ ასწავლებ უგნურსა რაითა არ მოგიმულოს შენ“. იქ სადაც ღმერთი იდიდების, სოფელი განთავისუფლების ყოველ-გვარი უკეთერებისაგან, მორწმუნეთა მიერ სოფელი განმტკიცდების, სარწმუნოებით ყველა საქმე ჭეშმარიტი მოიპოვება და სასუფეველი დაიმკიდრება. ღმერთის გზაზე მავალთ ნათელი გამოუბრწყინდებათ, თავისი ნებით მავალთ სისწელე.

ყოველი ადამიანის უპირველესი დანიშნულებაა დაიმკიდროს ღმერთთან მშვიდობა და თანხმობა. ყოველი მორწმუნე ადამიანი ღალადებს და ამბობს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ვერაფერი ვერ აამაღლებს ადამიანს ღმერთის წინაშე გარდა კაცთმოყვარეობისა და სათნოებისა.

მარადიული ადამიანი ორი რამით იქნება წყალობითა და ჭეშმარიტებით.

ოონე ოქროპირი წერდა: „რომ ღმერთსაც კი არ შეუძლია იძულება ადამიანს თავისუფალ ნებაზე, ღმერთი ვერ აიძულებს მას სასიკეთოდ თუ თავად ადამიანმა არ აირჩია“ .... თუ რწმენა ცრუა, მისი გაქარწყლება მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენას შეუძლია, რომელიც თავისუფალ პიროვნებაში იძადება. სინდისის თავისუფლება კი ქრისტიანობამ მოიტანა, ადამიანის ღირსება თავისუფალ არჩევანშია, რომელიც ქრისტიანული ჭეშმარიტებაა.

სააუკუნების მანძილზე იწრობოდა და ყალიბდებოდა ჩვენი ქრის გროვნული თვით-შეგნება, ეროვნული ცნობიერება, ყოველივე ამის მძლავრი ფაქტორი უთუოდ რელიგიაც იყო. ცივილიზაციისა და ქრისტიანობის აკვანი პირველად საქართველოში - აჭარაში დაირწა: „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად სადაც იგი დაჰყო უმი მცირედი განვიდა მიერ და შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა....“ - გვაუწყებს ქართლის ცხოვრება. დიდაჭარის ამ „სულიერ სამშობლოს“ (სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსის

მეუფე სპირიდონის სიტყვებია) ნათელი მზის სხივები მოელ საქართველოს მოეფინა.

„კურთხეულ არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოს“ - ბრძანებს უწმინდეს. აჭარაში მრავლად არის ნივთიერი ნაშთი წარსული პოლიტიკური. გულტურული და სულიერი ცხოვრებისა, რომელიც ამდიდრებს და აქსებს ჩვენს შენაგან კულტურას, ჩვენს სულიერ ცხოვრებას. აჭარა, ღვთისმობლის წილხვედრილი საქართველოს ის კუთხეა, სადაც განგებად ას ბრწყინვალე ჩაქქსოვა ბუნებრივი სილამაზე, რელიგიური გრძნობის მშვენიერება და რელიგიური გრძნობის სილამაზე.

ჩვენი თაობის ვალია ღმერთისა და სამშობლოს წინაშე აღვასრულოთ ჩვენი ხვედრი.

აღვადგინოთ „წყარო ცხოვრებისა“ სწორედ ამ მიზნით გაგეოდა აჭარის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღდგენისა და ამ ძეგლებთან დამაკავშირებელი გზების ინფრასტრუქტურის პროექტი. განზრახული გვაქვს შევქმნათ ფონდი „იბერიელი“, რომელიც აჭარაში ძირდებოდა ეკლესიების აღდგენას უზრუნველყოფს, ასევე გადაწყვეტილი გვაქვს გავხსნათ „საკვირაო სკოლები.“ ჩვენი გულწრფელი თხოვნაა, ერთად ვიღვაწოთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ - შემოგვიერდით !


ზეციურ საქართველოში დავანებული წმინდანთა სულები გადმოჰყურებს ქართველ ერს. იდუმალი ძალებით კვლავ აღდგენისა და გამთლიანებისაკენ მოუხმის ჩვენს სულებს... უმთა სიავეგ წმინდა სალოცავების (ეკლესია-მონასტრების) საძირკველი შემოგვინახა მხოლოდ: „მიწად სიკვდილისად დამხადეს მე“, ადგილი იგი გვასწავლის და შეგვახსენებს: „მიხედეთ მყრისა მას კლდესა, რომლისაგან გამოიკუეთენით“. ყოველი ეკლესია განიცდის მოწამეთა მარტვილობას წამება-დაცემას და კვლავ აღდგენას, უფლის შეწვენით ჩვენც აღვადგინოთ „წყარო ცხოვრებისა“. „წყალმა ძლიერმა ვერ დაშრიტოს სიყვარული და არცა მდინარეთა წარლუნენ იგი“.

\* \* \*

აჭარაში მრავალი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლია(150-ზე უფრო მეტი), რომელსაც ესაჭირობა შესწავლა, რესტავრირება და აღდგენა. საჭიროდ მიგვაჩნია შეიქმნას მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების აღდგენის ეროვნული ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს აჭარაში - უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის კუთხეში ტრადიციულ ეროვნულ - კულტურული ფენომენის ცხოველმყოფელობას - სულიერ სხეულებრივ გაბრწყინვას.

ამჯერად ფართო საზოგადოებას გასაცნობად ვთავაზობთ ხულოს მუნიციპალიტეტის მა-ტერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს. მასალები მოგვაწოდა ნუგზარ შავაძე.

## „დიდაჭარობა“



„დიდაჭარობა“ ახალი  
დღესასწაულია. უწმინდესისა  
და უნეტარესის სრულიად  
საქართველოს კათოლიკოს  
პატრიარქის ილია II ლოც-  
ვა-გურითხევით აღნიშნული  
დღესასწაული ტარდება  
2005 წლიდან. იგი იმართე-  
ბა სწორედ იმ სოფელში  
საიდანაც პირველად იქა-  
დაგა ანდრია პირველწო-  
დებულმა. ტარდება ყოვე-  
ლი წლის 12 მაისს(ანდრია  
პირველწოდებულის საქართ-  
ველოში შემოსვლის დღეს).  
დღესასწაულს წინ უძღვის  
სამეცნიერო კონფერენცია,,  
რომელშიც მონაწილეობას  
ღებულობს საქართველოს  
თითქმის ყველა უმაღლესი  
სასწავლებლის სტუდენტები  
და პროფესორ მასწავლებ-

ბლები. სხალთის ტაძრიდან იწყება მსვლეობა ( სიგრძე სხალთიდან დიდაჭარამდე 20-25 კმ.) დიდაჭარისკენ და მთავრდება სწორედ იმ წმინდა ადგილზე სადაც ანდრია პირველწოდებულმა დაასვენა ჯვარი და ამ ადგილზე შემდეგში აივო პირველი ქრისტიანული სამლოცველო. ამ ადგილს „თარანგელოს“ მოა ქვია. (მთავარანგელოზის). ამ კუთხით დაინტერესებული ტურისტები ხშირად სტუმრობენ სოფელ დიდაჭარას და მონაწილეობას დაბულობენ ამ მსვლელეობაში.

დიდაჭარაში საოჯახო ტურიზმით ბევრი ოჯახია დაკავეული, თითქმის ყოველ წელიწადს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინიციატივით ზაფხულობით სოფელში იმართება ე.წ „საზაფხულო სკოლა”, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ როგორც უცხოელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა გუთხის მოსწავლეები.


## ხიხანის ციხე (ბათუმიდან 125 კმ.)

რეგიონი: ხულო

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: შუა საუკუნეები

მისამართი: სოფელი ზედა თხილვანა



ხულო. ხიხანის ციხე. XIII ს..

X-XI საუკუნეები საქართველოსათვის კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის წლებია. სწორედ ამ პერიოდში გადაინაცვლა შიდამთიანი აჭარის ადმინისტრაციულ კულტურულმა ცენტრმა დიდაჭარიდან ხიხანში (სხალთისწყლის ხეობა), რასაც როგორც ჩანს, მოჰყვა ამ ხეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი საქმიანობის გააქტიურება.

ხიხანის ციხე განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა. იგი მდგარეობს სხალთა-ხიხანის წყლის სათავეებში, ბათუმიდან 125 კილომეტრის მოშორებით, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, ზღვის დონიდან 2635 მეტრის სიმაღლეზე. ხიხანის ციხე აგებულია ერისთავთ-ერისთავის ტბელ აბუ-სერიძის მიერ, ხოლო ტბელის მეუღლე ბაკულას მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანა მშენებლობის დასრულებაში. ხიხანის ეკლესია აუმჯობია ბოლოკ ბასილეს, ასევე მშენებლობაში დიდი შრომა გაუწვიათ სოფელ ბაკოს მაცხოვებლებს. აი რას წერს ამის შესახებ XIII-საუკუნის მწერალი და მეცნიერი ტბელი აბუსერიძემ: „მამულისა ჩვენისა

კაცთა, წესისამებრ მეტისმეტად დიდი მოიჭირეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხვევითა ხელვყავ ეკლესიისა მრავალთა სახელოვნებითა აშენებაი მუნ შინა მოსრულთა სალოცავად ჭიდროებისა მისითა ნუგეშინის მისაცემად.“ ციხის უძველესი ფენა შუა ფერდალურ ხანას კერძოდ XIII საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო გვიანდელი ოსმალთა ბატონობის ხანას. ხიხანის ციხე არწივით გადმოჰყურებს მთლიან ხეობას, ის სამხედრო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენდა და მტრის არაერთ დარტყმას იგერიებდა. საქართველოს მიწა-წყლიდან დამპყრობელის ხვარაზმელი-ჯალალედინის ურდოების განდევნაში სწორედ ხიხანის ციხეს შეუსრულებია დიდი როლი. ხიხანის ციხე რამდენიმე საუკუნის მანძილზე (X-XIII ს.) აჭარის ერისთავთ-ერისთავების აბუსერიძეთა სარეზიდენციო ადგილი იყო (აბუსერიძეები თავიანთი ძლიერების ხანაში შავშეთ-კლარჯეთისა და სამცხის ციხისჯვარსაც ფლობდნენ.) დროთა ვითარებაში (XI საუკუნის შეახნებიდან) აბუსერიძენი თანდათან კარ-

გავენ თავიანთი სამფლობელოების მნიშვნელოვან ნაწილს და XII საუკუნეში შხოლოდ აჭარას ინარჩუნებენ. XIII საუკუნის 60-იან წლებში, მათ სამცხეში გაძლიერებული ჯაფელები აჭარასაც აცლინ ხელიდან.

ხიხანის ციხეში მოღვაწეობდა ტბელ აბუსერიძე. მას ეცუთვნის პაგიოგრაფიული მოთხოვისა “ახალი სასწაული წმიდისა გიორგისი”, “გალობანი წმინდათა იოვანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა”, “ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგბითა”.

უაღრესად მნიშვნელოვანია ტბელ აბუსერიძის დამსახურება საეკლესიო კალენდრის შედგენა-გამოთვლაში. აკადემიკოსი მარი ბროსე ასკვნის, რომ ქართველებს 1233 წელს უკვე ცოდნიათ იმ ცდომილებათა ნახევარი, რამაც 1582 წელს პაპი გრიგოლი აიძულა, რომ ას-ტრიონომიური რეფორმა მოქმდინ.

ციხე გაშენებულია ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე და დამშვენებულია 4 კოშკით, კედლებში დატანებულია სათვალთვალო სარკმლები, ასევე ციხეში შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები, როგორიცაა: თონე, მარანი, ეკლესია. დღემდევა შემორჩენილი ჭა.

განსაკუთრებით ძლირ დაზიანებითაა მოღწეული ციხის I კოშკი (ზომები: 4,5 X 3,5მ) რომელიც ციხის ასასვლელში მდებარეობს. შედარებით კარგადაა ამ ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი, ხოლო ჩრდილო სამხრეთი კედელი სანახევროდ დანგრეულია. ამ კოშკის წინ რამდენიმე ქვევრია დაფიქსირებული. ეს ადგილი ხიხანის მარანია. მარანი არის ოთხკუთხედი ფორმის შენობა, რომლის სიგრძე 12 მეტრს, ხოლო სიგანე 4,5 მეტრს შეადგენს. აღმოსავლეთ კოშკიდან 42 მეტრის დაშორებით აღმართულია მეორე კოშკი (ზომები: 4,5X3,5მ). ეს ნაგებობა მაღალი კედლით არის წარმოდგენილი (დასავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის). დასავლეთი კედლის სიგრძე 3,78მეტრია, ხოლო ჩრდილოეთისა 4,5 მეტრს. კოშკი სამ სართულიანი ყოფილა, ახლაც კარგად შეინიშნება კედლებში დატანებული სარკმლები. მეორე კოშკიდან ჩრდილოეთით მიემართება კედელი რომლის სიგრძე 33,5 მეტრია, სისქე-0,50სმ., ხოლო სიმაღლე 3 მეტრი. ამის პარალელურად სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიდის მეორე კედელი, რომლის სიგრძე 77,5მ-ია სიმაღლე 6 მეტრამდე აღწევს. ამ ორ პარალელურ კედლებს შორის არის რამდენიმე შენობის ნანგრევები, აქვეა ჭარომლის სიღრმე 5,5 მეტრია, ხოლო დამეტრი-1,5 მეტრი, იგი დიღეგი უნდა იყოს. მეორე

და მესამე კოშკებს შორის არის ეკლესის ნანგრევები, ნაგებობა ოთხკუთხედი ფორმისაა, დარბაზული ტიპის, სიგრძე 6,1, ხოლო სიგანე 4,2მ. მესამე კოშკი (ზომები: 4,5X3,8 მ) ჩრდილოეთი მდებარეობს, ეს ოთხკუთხა რამდენიმე სართულიანი ნაგებობაა, მეორე კოშკიდან 183 მეტრითა დაშორებული. მისი დასავლეთი და სამხრეთი კედლები შედარებით კარგადაა დაცული. უფრო სრულადა დაცული დასავლეთის კოშკი, რომელიც ჩრდილოეთის კოშკიდან 180 მეტრითა დაშორებულია. ამ კოშკს სამი სართული ახლაც კარგად ეტყობა. მას შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან აქვს. კარი გამოკვეთილია 2,85 მეტრის სიმაღლეზე, სადაც სპეციალური კიბის გარეშე არ აისვლება, ეტყობა კოშკში ხის კიბით ადიოდნენ.

მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეებში აჭარაში ხიმშიაშვილების მმართველობის პერიოდში მათი რეზიდენცია ნიგაზეულიდა ჯერ ხულოში, შემდეგ სხალთაში, ბოლოს კი ბაკო, კერძოდ ქოჩანი გამზღვდა. ასევე მათ დაქვემდებარებაშია ხიხანის ციხე. 1815 წელს, ამ ციხეში ეზრუმის ბაბა-ფაშამ ტყვევდ ჩაიგდო აჭარის ეროვნულ-განმანთავისუფლებული მოძრაობის ხელმძღვანელი სელიმ ხიმშიაშვილი და სოფელ ბაკოში სერიფანის უბანში 3 ივნისს მოკვეთეს თავი. სიკვდილის წინ მას ჯალათისთვის უთქვამს: “შე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დაგუტოვებო.” ბაბუის ანდერძი, აჭარის განთავისუფლების ეროვნული მისა იტვირთა მისმა შვილისშვილმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა. 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომის დროს მანდიდი როლი შეასრულა აჭარის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებაში და დედა სამშობლოსთან შეერთების საქმეში. შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი იყო პირველი მაპმადიანი ქართველი რომელიც მოინათლა ქრისტიანულად და მისაბაძი გახდა სხვებისათვის, მას მიენიჭა რუსეთის არმის გენერალ-მაიორის წოდება, სიცოცხლის ბოლო პერიოდში ცხოვრობდა სანტპეტერბურგში. გარდაიცვალა 1893 წელს, ანდერძისამებრ მისი ნეშთი ჩამოასვენეს და დაკრძალეს ხიმშიაშვილების საზაფხულო რეზიდენციაში, ხულოს რაიონის სოფელ მთისუბანში (ქოჩახში).

გამოყენებული ლიტერატურა: ი. სიხარულიძე „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები” ბათუმი 1962წ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები”. აჭარა II-ტ. ბათუმი 2009

## საცის ურის (ჯვართნის) ეპლესია

რეგიონი: ხულო

ტიპი: საკულტო-ძეგლები

თარიღი: IX-XIII საუკუნეები

მისამართი: 15 კილომეტრი დაბა ხულოდან, ჯვართანა



საცისურის ეკლესია მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადისა და ლორჯომისწყლის ხეობაზე, დაბა ხულოდა 15 კილომეტრის დაშორებით, შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსაზღვეობა “ჯვართანს” უწოდებს. ტაძარი თარიღდება IX-X საუკუნეებით. საცისურის ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ერთნავიანი ნაგებობაა (სიგრძე 8მ-სიგანე 5მ) ნაგებობისათვის საგანგებოდ მოუმზადებიათ საძირკველი, საძირკვლის ბალიშებად 1,5-1,7 მეტრის დამუშავებული მოზრდილი ზომის ქვებია დაგებული.

ეკლესის გარე მოხაზულობა სწორ-კუთხაა. ორსაფეხურიანი ცოკოლი, სხვადასხვა ზომის, შესანიშნავად დამუშავებული კვადრუბითაა ნაგები. ცოკოლზე აღმართავთ 60-70 სმ კედლები, როგორც ცოკოლის ისე კედლების პერანგები წითელი ტუფის ქისებანაა დამზადებული. შემორჩენილი კედლების სიმაღლეები სხავასხვაა: ჩრდილოეთით 4,8მ-ს, სამხრეთით -4,2მ, დასავლეთით -4,6მ, აღმოსავლეთითკი -3,5მ.

ეკლესის შესავლები სამხრეთიდან აქვს. აფსიდის ცენტრში ერთი სარკმლია გაჭრილი,

ხოლო გვერდებზე ნიშებია მოწყობილი. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურით არის ამაღლებული. დარბაზის გრძივი კედლები ნახევარსვეტების გარეშეა წარმოდგენილი. ინტერიერიც, როგორც ჩანს ბათქაშით იყო შელესილი. გამოვლენილია მოხაზულობის ფრაგმენტებიც, რომელებზეც წითელი, შავი და თეთრი ფერით შესრულებული ორნამენტული მოტივებია გამოსახული. მართალია ეკლესია დანგრეულია, მაგრამ მისი კედლები საკამაოდ კარგადაა დაცული. აյ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ეკლესის ირგვლივ დიდი და საკმაოდ მჭიდრო დასახლება ყოფილა, რასაც კოლექტიური სამარხებიც ადასტურებს.

### არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1985 წელს

ეკლესის ტერიტორიაზე გათხრებისას აღმოჩნდა სხვადასხვა საბის არქიტექტურული დეტალებიც, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ფურადებას იპყრობს კარისა თუ სარკმლის ორნამენტირებული საბირე ქვის ფრაგმენტები. ეკლესის გაწმენდისას ასევე მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა საბის კერამიკული მასალაც (ჯამების, სასმისების, ქოთხების, დოქების, დერგების, ქვეგრების მთლიანი ნიმუშები თუ ფრაგმენტები), მცირეა მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები.

გათხრებმა ცხადყო, რომ ჯვართნის ეკლესის გარშემო მუსაუკუნეთა დასაწყისშივე გაჩენილა საკმაოდ დიდი სასაფლაო.

შესწავლილი 36 სამარხიდან 20 ინვენტარიანია, წამყვანია ჯამები და სასმისები, სამარხების დიდი უმრავლესობა კოლექტიურია, დაკრძალვისწესი-ქრისტიანული.

## ვანაძეების (აგარის) ეკლესია

რეგიონი: ხულო

ტიპი: საკულტო ძეგლები

თარიღი: XII-XIII საუკუნეები

მისამართი: სოფელი ვანაძეები



ვანაძეების ეკლესია ზოგჯერ „აგარის“ ეკლესიის სახელწოდებით მოიხსენება, რადგანაც იგი აგარის თემში შედიოდა. ამ ოემის ძირითადი საეკლესიო ცენტრი იყო, ბუნებრივია სახელწოდებაც აქედან მიიღო.

ტაძარი თარიღდებოდა XII-XIII სს. ეკლესია მდებარეობს ღორივომის წყლის ხეობაში, სოფელ ვანაძეების სამხრეთით, მომაღლებულ ადგილას. ეკლესიის ამ ქედზე არსებობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა „საყდრისქედსაც“ უწოდებს. ხოლო უშუალოდ იმ ადგილს, სადაც ეკლესიაა აშენებული - „ნასაყდრალს“.

ვანაძეების ეკლესია აჭარიწყლის ეკლესიათა შორის ერთ-ერთია, სადაც ნანგრევებს შორის დიდი რაოდენობითაა გადარჩენილი ეკლესიის თაღის, პილასტრების კედლების პერანგების, სახურავების ღარების, საგულდაგულოდ დამუშავებული ქვის ლორფინების დეტალები.

ვანაძეების (აგარის) ეკლესია წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ერთნავიან, მოზრდილ ნაგებობას, რომლის აფსიდიც სწორკუთხედშია ჩაწერილი. აფსიდის შუა ხაზზე დატანებულია სარკმელი. ეკლესიის თაღის ასაგებად ორი საბჯენი თაღი-კონქის წინ, ხოლო მერქე-ეკლესიის შუა წელზე, რომლებიც ქუსლებით პილასტრების იმპოსტებს ეყრდნობოდა. იმპოსტები და თაღები ეკლესიის ფასადის მსგავსად კარგად და სუფთად დამუშავებული ქვებითა ნაგები. თაღის ქვების სისქე 0,48სმ-ია.

ეკლესიის დატაკი, როგორც მას თავის დროზე პ. უვაროვა აღნიშნავდა (ეს უკანასკნე-

ლი აწარმოებდა 2 დღიან არქეოლოგიურ გათხრებს 1888 წელს) ქვის ფილებით ყოფილა დაფარული, ასევე ეკლესია შიგნით თეთრი, წითელი და შავი საღებავებით ყოფილა მოხატული.

შედარებით კარგადაა დაცული ეკლესიის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები, ასევე ჩრდილოეთი კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი, რაც შეეხება დასავლეთს, ის საძირკვლის დონემდეა მორდვეული. დაცული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 3,5მ უდრის. შემორჩენილი ნიმუშებისა და კედლებზე დარჩენილი ფოსტების მიხედვით, ჩანს, რომ ეკლესის კედლები, როგორც შიგნით, ასევე გარეთ, შემოსილი იყო კარგად დამუშავებული მოზრდილი ზომის კვადრებით, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე 0,98 მეტრი-დან 1,05 მეტრამდე აღწევს. სიგანე სხვადასხვაა და იგი 0,55-0,70მ შორის მერყეობს. ეკლესიას ძირითადი შესასვლელი (სიგანე-0,75მ) სამხრეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთში აქვს.

ეკლესია გადახურული ყოფილა ორქანობიანი სახურავით, ხოლო გვერდითი მინაშენი კი-ცალქანობიანი, სახურავ მასალად გამოუქნებულია სხვადასხვა ზომის ( $1,05 \times 0,65\text{მ}$ ,  $0,90 \times 0,50\text{მ}$ ) ქვის კარგად დამუშავებული ლორფინები.

ვანაძეების ეკლესია მიეკუთვნება იმ ეკლესიების ტიპს, რომელთაც ეკვდერი აქვთ.

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კანკელი პ. უვაროვას თან წაუღია, ამიტომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ასევე

გათხრების დროს აღმოჩნდილია სხვადასხვა კერამიკული მასალა: ქვევრების, დერგების, ქოთნების, დოქების, ჯამების, სასძისების მოზრდილი ერთეულები თუ ფრაგმენტები. ასევე ბრინჯაოს ფირფიტა დათიშობლის გამოსახულებით, რკინის პატარა ზომის ჯვრები, ორი ბრინჯაოს ეფვანი. ვერცხლის ქამის ბალთები, მინის ფიალის მოზრდილი ნატეხი ქართული წარწერით. დიდი რაოდენობით გარეული თხის, ირმის და ვერძის რქები.

ეკლესიის ოთხივე მხარე სამარხებისთვის ყოფილა გამოყენებული. სამარხების ტიპი ერთადერთია – ორმოსამარხებია, ხოლო დამარხების წესები ისეთივეა, როგორც მაშინდელი ქრისტიანულ სამყაროში იყო.

ყოველივე მის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ ვანაძების (აგარის) ეკლესია თავის დროზე წარმოადგენდა მნიშვნელოვან და ძლიერ საეკლესიო ცენტრს, რომლის შემოგარენიც მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

## კალოთის ეკლესია X ს

რეგიონი: ხულო

ტიპი: საკულტო ძეგლები

თარიღი: ძველი წელთაღრიცხვით VIII-VII საუკუნეები

მისამართი: სოფელი კალოთი



კალოთის ეკლესია მდენარეობდა სხალთისწყლის ხეობაში სოფელ კალოთის ბოლოს, მაღალ ტერასაზე. აქაურები ამ ადგილს “კალოს” უწოდებდნენ, აქედან წარმოდგება თვით სოფლის სახელწოდებაც. სოფელი კალოთა, აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია, იგი უკვე უძველეს ეპოქებში ყოფილა დასახლებული. ეკლესიდან დღეს მხოლოდ საკურთხევლის კედელი და კონქის ნაწილია დარჩენილი. აღნიშნული ეკლესია დარბაზული ტიპის ყოფილა (8,2-4,6). საკურთხეველი ერთი საფეხურითაა გამოყოფილი დარბაზისაგან. აბსიდში ერთი სარკმელია გაჭრილი, გვერდითი სათავსოების ფუნქცია კი ნიშებს ეკისრება. დაარბაზის კამარა საკმაოდ სქელ კედლებსა და შვერილ პროფილირებულ პილასტრებზე გადადებულ ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობოდა. იატაკი 15-20 სმ სისქის დუღაბით იყო დაფარული. სამხრეთით გასდევს მინაშენი (სიგრძე 2,2მ-ი) რომელიც საძვალედ იყო გამოყენებული, დღეს

იგი საძირკვლის დონემდეა დანგრეული. აღსანიშნავია, რომ ტაძარი მეოცე სუკუნის 40-50 წლებამდე შემონახული ყოფილა და მიაკუთვნებენ X საუკუნეს. გადარჩენილი კედლის ფოსოების მიხედვით ჩანს, რომ თავის დროზე კალოთის ეკლესია შესანიშნავად დამუშავებული და ალაგ-ალაგ ჩუქურთმებით შემცულული ქვათლილებით ყოფილა მოპირკეთებული.

ხუროთმოძღვრული კომპლექსის არქოლოგიური გათხრებისას რომელიც ჩატარდა 1989-1990-1991 წლებში აღმოჩენილი იქნა ქვის ფილები ქართული ასომთავრული წარწერებით. (გათხრებს ხელმძღვანელობდა ბატ შ. მამაულაძე და ბატ. ა. კახიძე) ერთ-ერთი მათგანი ჯვრის წინაშე ხელაპყრობილი ოსტატის გამოსახულებით, აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ამავდროულად ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა ინდივიდუალური და კოლექტიური ქრისტიანული სამარხები, აგრეთვე სამი საოვახო ქვის სამარხი, რომლებიც ნაგებია ქვიშაქვის ფილებით.

## ბეგოშვილების ციხე, (ციხისაველი)

რეგიონი: ხულო

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XII-XIII საუკუნეები

მისამართი: სოფელი დიაკონიძები



ბეგოშვილების ციხე მდებარეობს უჩხო-სწყლის მარჯვენა მხარეზე, ციხისყელად წოდებულ სერზე. სერის სიგანე 5-6 მეტრს შორის მერყეობს, სიგრძე კი 25,5 მ-მდე. ამჟამად შემონახულია გალავნის მხოლოდ ერთი ნაწილი. ციხე აქვს ერთი კოშკი ამჟამად შემონახულია გალავნის მხოლოდ ერთი ნაწილი. ციხე აქვს ერთი კოშკი ნაწილში. კოშკი

ოთხკუთხა ფორმისაა, მისი აღმოსავლეთი მხარე მომრგვალებულია, მისი კედლების ერთი ნაწილი გამონგრეულა, ხოლო მეორე ნაწილი შიგნით ჩაქცეულა და ამოუცია კოშკი. კოშკის ფართობი 24 კვ. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე ჩრდილო-აღმოსავლეთ და თარიღდება XII-XIII საუკუნეებით.

## ვარდციხე (ბათუმიდან 109,5 კმ.)

რეგიონი: ხელო

ტიპი: საფორტიფიკაციო და არქეოლოგიური ძეგლები

თარიღი: XI-XIII საუკუნეები

მისამართი: სოფელი წინაძირი



ვარდციხე აშენებულია წინანის წყლისა და კალოთის წყლის შესართავთან მარცხენა მხარეს ამაღლებულ ადგილზე და წარმოადგენს ციხე-ყელის გაგრძელებას. ციხე დანგრეულია საძირკვლის დონემდე, შედარებით უკეთაა შემონახული აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლები, ჩრდილოეთ კედლელი არც თუ ისე კარგადაა დაცული, ამჟამად იგი 2, 8 მ-ის სიგრძეზეა ჩაქცეული. კედლის სისქე 0, 8 მეტრია, საერთო სიგრძე 18, 5 მ. გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 3, 5 მეტრია. გალავნის დასავლეთი კედლი კლდის თხევზეა დაშენებული. ახლა თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 0, 8 მ, სისქე – 0,

9 მ, საერთო სიგრძე კი – 13,5 მეტრია. შედარებით უკეთაა დაცული გალავნის აღმოსავლეთის კედელი – სიმაღლე 4, 5 მ, სიგანე 0,8 მ, სიგრძე 11, 5 მ. უკათაა გადარჩენილი ციხის გალავნის სამხრეთი კედელი, რომელიც მთელ სიგრძეზე სალ კლდეზეა დაშენებული, კედლის სიგრძე 15, 7 მ, სიგანე 0,8 მ. დაცული ნაწილის სიმაღლე – 4, 8 მეტრია. ციხეს პქნინა კოშკები, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებდა წინანისკენ მიმავალ გზებს. ვარდციხე აგებულია XI-XIII საუკუნეებში. იგი ძირითადად სამხედრო დანიშნულებისა და გზების უშუალო კონტროლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთნაწილის სიმაღლე – 0, 8 მ, სისქე – 0, ვნილი.


## სხალთის მონასტერი (ბათუმიდან 90 კმ.) XIII

რეგიონი: ხულო

ტიპი: საკულტო-ძეგლები

თარიღი: XIII საუკუნე

მისამართი: სხალთის თემი



XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მყოფ მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერები ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების აჭარის წყვლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა ქრისტიანული სალოცავები. მარტო ზ.ჭიჭინაძის მონაცემებით, აჭარის სოფლებში 100-მდე ეკლესიაა აღრიცხული. XIII საუკუნის სხალთის ღვთიმშობლის ეკლესია მეტ-ნაკლებად დაცული და ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოღწეული ტაძარია აჭარაში. სხალთის ეკლესის აშენების შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები ნაკლებადაა შემორჩენილი. ცნობილია ის, რომ სხალთის რეგიონი შუა საუკუნეებში საკამაოდ დაწინაურებული იყო. აქ გადიოდა აჭარიდან არტაანისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა. კუთხის კულტურული აღმავლობა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძლიერებისა და აჭარაში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდს უკავშირდება. აბუსერისძეთა გვარი

განსაკუთრებული სიქელითა და ღვითის-მოსაობით გამოირჩეოდა. მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ივანე აბუსერისძე საქართველოს ამირსპარსალარია და ეს გვარი მართავს აჭარის საერისთავოს. ცნობილია, რომ მათ მიერ არის აგებული ვერნების, ხიხანის და თხილვანას ეკლესიები. სხალთის ტაძრის აგება და ფრესკებით შემკობა აბუსერისძეთა სახელს უნდა უკავშირდებოდეს. სალხში დარჩენილი ზეპირთქმულებების მიხედვით კი სხალთის ეკლესის აგებას თამარ მეფის სახელს უკავშირდება.

სხალთის ხურორთმოძღვრული ანსამბლი ხულოს რაიონში, სხალთისწყლის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული. აჭარაში არსებული სხვა ტაძრებისაგან განსხვავებით, მისი თავისებურებაა შვერილი შვიდწახნაგოვანი აფსიდი და სამხრეთის თაღოვანი კარიბჭე. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს-სამხრსთისა

დასავლეთის. ეკლესიის შიდა სივრცე საზეო-მო და დიდებულია. ფართო, განიერი ნავისა და აფსიდის სივრცული მონაკვეთების დაკავ-შირება, არქიტექტურული მასების განაწილე-ბა სიმსუბუქესა და სიხალვათეს ანიჭებს ინ-ტერიერს. კამარის საბჯენი თაღები. გრძივი კედლების დამანაწევრებელი ნახევარსკეტები და თაღოვანი ნიშები დარბაზულ ნაწილს სამ მონაკვეთად ყოფენ. ტაძარი თანაბრადაა განათებული 9 მაღალი თაღოვანი და ორი წრიული სარკმლით. კედლები მოპიკეთებუ-ლია თლილი ქვის კვადრებით, რიყის ქვები მხოლოდ კამარის შუაგულშია გამოყენებული. კლესიის გარეგნული ფორმები მასიური და მძიმეა. ტაძრის დარბაზული ნაწილი გადახუ-რულია ორქანაობა, ხოლო აფსიდი-კონუსური ფორმის სახურავით. მონაცრისფრო-თეთრი ქვის პერანგი გამომსახულობას ანიჭებს ტაძარს. ძირითადად მორთულია აღმოსავ-ლეთისა და სამხრეთის ფასადები, რომელთა შემკულობას კარ-სარკმელთა ორნამენტული დეკორი შეადგენს. ტაძრის მშენებლობა XIII, ხოლო მოხატულობა XIV–XV საუკუნეე-ბით თარიღდება. 1957 და 1989 წელებში ჩატარებული სარესტარვაციო სამუშაოების შედეგად (რესტავრატორი ლ. ხიმშიაშვილი და ლ. ოთარაშვილი) ტაძარი კვლავ განახ-ლდა, ხოლო 1990 წლიდან მოქმედ ეკლე-სიათა რიგში ჩადგა. 1997 წელს ჩატარებული ფართო სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ (რესტავრატორი გ. ჭეიშვილი) წარ-მონადა, რომ სხალთის ეკლესიის მოხატუ-ლობა ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთ საინტერესო და თავის დროის გამორჩეული ნიმუშია. შაკურთხევლის კონქში წარმოდგენილი იყო „ველრების“ კომპოზიცია-საყდარზე მჯდომარე მაცხოვრის, ცეცხლო-ვან ბორბლებზე გამოსახული სერაფიმის, ღვთისმობლისა და იოანე ნათლისმცემლის მავედრებელი ფიგურებით. საგურთხევლის აფსიდის მეორე რეგისტრში გამოსახული იყენებს უფლის მაღიდებელი ანგელოზები, ქვე-მოთ კი მედალიონებში წარმოდგენილი წმინ-დანები. აბსიდის შუა სარტყელი „ზიარების“ სცენას ეთმობოდა. აქ შემორჩენილია მოცი-ქულთა რამდენიმე ფიგურა შესაბამისი ქა-

როული ასომთავრული წარწერით. სატრი-უმფო თაღზე წარმოდგენილი იყო „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია. დარბაზის კამა-რაზე მოხატულობა სამ რეგისტრად ნაწილ-დება. „ზეციურ ზონაში გამოიყოფა საუ-ფლო დღესასწაულის ოთხი სცენა: „ხარება“ „ფერისცვალება,“ „ამაღლება და „სულისწ-მინდის მოფენა.“

კამარის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთე-ბზე გამოსახულია ისტორიული თანმიმდევ-რობით ქრისტეს ცხოვრების სცენები: „შობა“, „მირქმა“, „ნათლისლება“ „ლაზარეს აღ-დგინება“, „იერუსალიმს შესვლა,“ „საიდუმ-ლო სერობა,“ „ქრისტე გეთსიმანის ბაღში,“ „ოცდაათი ვერცხლი იუდასათვის,“

„იუდას ამბორი,“ „პეტრეს უარყოფა,“ „პილატეს სამსჯავრო,“ „ჯვრის ზიდვა,“ „ჯვრის აღმართვა,“ „ჯვარცმა,“ „გარდონხ-სნა,“ „დატირება. “

ლიტერატურა: „სამხრეთ-დასავლეთ საქა-როველოს ისტორიი ნარკვევები“ II ტომი. ბა-თუმი 2009წ.

### თ.კომახიძე.რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1981-1982 წლებში ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მცირე ეკლესიის ნარჩენებზე და მის გარშემო არსებულ სა-მარხებზე.

ძეგლის გათხრებისას მცირე რაოდენო-ბით გამოჩნდა ხუროთმოძღვრული დეტალე-ბიც: საწვიმარი ღაქრების, სარკმლის საპირ-ების თაღის ნახევარწრიული ქვის მთლიანი ნიმუში თუ ნატეხები. ქედან წაღებული ორ-ნამენტირებული ქვების დიდი ნაწილი, გამო-ყენებული ჩანს სხალთის ტაძრის კედლის წყობაში. ძეგლზე სულ შესწავლილია 29 სამარხი. გამოიყოფა სამარხთა 4 ტიპი. 1. ორმოსამარხები. 2 ამოშენებული კედლიანი სამარხები. 3 ქვის სამარხები და 4 აკლ-დამა. მოპოვებული ინკენტარი-მოჭიქული თუ სადა თიხის ჯამები, სასმისები, რკინის და ბრინჯაოს ჯვრები, ზანზალაკები, მონეტები XI–XII საუკუნეებითაა დათარიღებული.

## ‘უჩხოს ქვის თაღოვანი ხიდი

რეგიონი: ხულო

ტიპი: საინჟინრო ნაგებობები—თაღოვანი ხიდები

თარიღი: XI-XIII საუკუნეები


მისამართი: სოფელი უჩხო



დაბა ხულოდან 7 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე, სოფელ უჩხოში მდებარეობს XI- XIII საუკუნეებით დათარიღებული თაღოვანი ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სოფელ უჩხოს ხევის ორ ნაპირს. გადმოცემის თანახმად ხიდი აგებულია თამარ მეფის მმართველობის პერიოდში და წარმოადგენდა გურია-აჭარის მესხეთ ჯავახეთთან დამაკავშირებელ უმოქლეს საქარავნე გზას. ხიდის სიგრძე შეადგენს 7,5 მეტრს, შუა წელის სიფართე 2,5 მ. მარჯვენა მისასვლელის სიფართე 2,8 მეტრი, მარცხენა მისასვლელის სიფართე 2,7 მეტრი.

ხიდის მაქსიმალური სიმაღლე წყლის დონიდან ხიდის თავამდე 4,6 მეტრი. თაღის სისქე შუა წელში 40 სმ-ია. დღეს ის მხოლოდ საცალფეხო გადასსვლელედ გამოიყენება. 2005 წელს ხიდს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბიზმესმენის დაფინანსებით ხიდს ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები, კერძოდ ხიდის სარტყლის გასამაგრებლად ქვემოდან გაკეთდა სპეციალური სარტყელი და დაისხა ბეტონი, რომელმაც ხიდს დაუკარგა პირვანდელი სახე და სასწრაფოდ მოსამლელია.

## თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეპლესია



თხილვანის ეკლესია მდებარეობს სხალ-თისწყლის ხეობის სათავეში, სოფელ გა-მოღმა თხილვანაში, ხიხანის ციხიდან 5 კილომეტრზე. 1948 წელს აქ აღმოჩენილი ბალავრის წარწერიანი ქვის საფუძველზე სხვადასხვა ავტორები ვარაუდობდნენ ეკ-ლესის არსებობას, რაც დადასტურდა კი-დეც 1978-79 წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ეკლესის ნანგრევები მოქცეული იყო ქვა-ღორღის უზარმაზარი ხელოვნური ბორცვის ქვეშ. გეგმაში ეკ-ლესია წარმოადგენდა წაგრძელებული ფორმის სამეკლესიან ბაზილიკას ორი შე-სასვლელით: ცენტრალური – სამხრეთის მხრიდან, მეორე – დასავლეთიდან. დღეი-სათვის თხილვანის ტაძრიდან შემორ-ჩენილია მხოლოდ ორსაფეხურიანი ცო-კოლი და კედლების წყობის ნაშთები. ეკლესის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული დეტალები მიუთითებენ, რომ იგი X-XI

საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ტბელ აბუსერისძის ნაშრომის მიხედვით ირკვევა, რომ თხილვანის იოანე მახარობლის ეპლესია ტბელის დას – დედოფალთ-დედოფალს ვანენს აღუდგენა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია არქეო-ლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ტიმპანის ქვა, რომელიც დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. ქვაზე ამოტ-ვიფრულია შვიდსტრიქონიანი წარწერა: “ქრისტე წმინდაო იოვანე მახარობელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ დღეს ამისა სასჯელისა, ნუ დასჯი.”

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1978-1979 წლებში. ეკლესის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 7 ქვევრი, შვიდივე დაუკირავია. ასევე აღმოჩენილი იქნა საკმაოდ საინტერესო კერძიკული მასალა, როგორიცაა დერგების, ქოთნების, დოქების, ხელადების, ჯამების, სასმისების მოჭიქული ჭურჭელი და სხვა. ეკლესის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი გამოყენებულია სამაროვნედ. შეს-წავლილია სულ 35 ორმო სამარხი. 21 პირველ ფენაში, 14-მეორეში. სამარხთა დიდი ნაწილი ინვენტარიანია, დაკრძალვის წესი ქრისტიანული.

## ვერების ეკლესია

რეგიონი: ხულო

ტიპი: საკულტო ძეგლები

თარიღი: XI-XIII საუკუნეები

მისამართი: სოფელი ვერნები



ვერების ეკლესია მდებარეობს მდინარე სხალთისწყლის სანაპიროზე, სოფლის ცენტრში, რომელსაც “მადიძირს” უწოდებდნენ. ეკლესიის მშენებლობა თარიღდება XI საუკუნის შუა ხანებით. არქიტექტურული სტილით ძალზე ახლოს დგას სხალთის ტაძართან, იგი აბუსერიძეთა საგამგებლოში შედიოდა. დღესდღეობით იგი მთლიანად დანგრეულია.

გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა კარ-სარკმელთა მორთულობისა და კარნიზის ჩუქუერთმების საუცხოო ფრაგმენტები, მცირე ზომის ბრინჯაოს ფირფიტა, რომელზედაც ღვთისმშობელია გამოსახული. ასევე აღმოჩენილია ბალავრის ქვა, სადაც ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი წარწერა : “ქ(რისტ)ე ად(იდე)ნ ე(რისთავთ) ერისთავ)ნი გრ(ი)გოლ აბ(უ)ს(ე)რი დ(ა) შვ(ილ)ნი მ(ა)თნი გ(რი) გოლ ზ(ა)ქ(ა)რ(ია)”.


## პვატის ეკლესია

რეგიონი: ხულო

ტიპი: საკულტო ძეგლები

თარიღი: XI-XIII საუკუნეები

მისამართი: სოფელი კვატია



აღნიშნული ნაეკლესიარი მდებარეობს ხულოს მუნიცილალიტეტის სოფელ კვატიაში. სოფლის ცენტრიდან 200 მეტრის ამაღლებულ ოვალური ფორმის გორაზე, რომელსაც აღგილობრივი მოსახლეობა სადღრიყვლს უწოდებს. ამ გორიდან კარგად მოსჩანს ამ ხეობაში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობები: ვარდციხე ციხისყელი, ასევე კალოთის ნაეკლესიარი. სავარაუდოდ აგების თარიღიც შეიძლება XI- XIII საუკუნეებით დათარიღდეს. სწორედ ამ სოფელზე გავლით გადიოდა უმოკლესი აბრეშუმის საქარავნე გზა ბათუმიდან შავშეთისა და არდაგანის

მიმართულებით. აღგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით, ეკლესის კედლები გასული საუკუნის 60-იან წლებამდე სრულად ყოფილა შემონახული, შემდეგ მოსახლეობას დაუშლია და მოჩუქურთმებული ქვები სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულები-სათვის გამოუყენებიათ. ამჟამად ძეგლის მიმდებარე ტერიტორია დაფარულია უსახური ხეებითა და ეკალ- ბარდებით. ძეგლის გაწმენდისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საკვლევი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება ეკლესიის ტიპისა და ზომის დადგენა.

## შინაარსი

### შალვა ველიაძე

|                                                                              |    |
|------------------------------------------------------------------------------|----|
| ისტორიულ ლომისიანთას ხეობაში მცხოვრები ლაკლაკისძეთა სულიერი საუნჯე . . . . . | 3  |
| <b>ოთარ ცინარიძე</b>                                                         |    |
| ხიჭაურში უნივერსიტეტის დაფუძნება ღვთიური წყალობაა . . . . .                  | 8  |
| <b>გივი თურმანიძე, ლამარა ბალანჩივაძე</b>                                    |    |
| ზელ ფესვებზე ამოზრდილი ყლორტები . . . . .                                    | 12 |
| <b>გურამ თურმანიძე</b>                                                       |    |
| როდემდის . . . . .                                                           | 18 |
| <b>თემურ თურმანიძე</b>                                                       |    |
| სამება თუ უჩამბა . . . . .                                                   | 20 |
| უჩამბას ანუ სამებას                                                          |    |
| ჩემო აჭარავ                                                                  |    |
| ღურღუმელას ღელე . . . . .                                                    | 21 |
| <b>რამაზ სურმანიძე</b>                                                       |    |
| უჩამბის ხეობის სოფლები XVI-XVIII საუკუნეებში . . . . .                       | 22 |
| <b>გოთა ჭოიძე</b>                                                            |    |
| აჭარა . . . . .                                                              | 24 |
| <b>ოთარ გოგოლიშვილი</b>                                                      |    |
| ბათუმის ისტორიიდან . . . . .                                                 | 26 |
| <b>ვასო ხიმშიაშვილი, შავრო ხიმშიაშვილი</b>                                   |    |
| სელიმ ხიმშიაშვილი . . . . .                                                  | 29 |
| <b>დავით თელორაძე</b>                                                        |    |
| მელაპარაკე ქართულად . . . . .                                                | 32 |
| <b>გურმან დავითაძე</b>                                                       |    |
| სავარდებო . . . . .                                                          | 33 |
| <b>გულიკო გაბაძე</b>                                                         |    |
| დედისა და ქალის ფენომენი, . . . . .                                          | 34 |
| სალამი მთაო, ლოცვად მოვსულვარ                                                |    |
| გაიღვიძე საქართველო . . . . .                                                | 35 |
| <b>ნინა ღულუკიძე</b>                                                         |    |
| ისტორიული ქობულეთის ტურისტული პრიორიტეტები . . . . .                         | 36 |
| <b>ეგნ დავითაძე</b>                                                          |    |
| სადღეგრძელო . . . . .                                                        | 46 |
| <b>მალხაზ ბერიძე</b>                                                         |    |
| სოფელ წაბლანისა და მთა ღომას კლიმატურ-ბალნეოლოგიური აღწერა . . . . .         | 47 |
| <b>გულნარა სოლომონიძე</b>                                                    |    |
| მინდა გულწრფელად მოგილოცოთ დღე დღევანდელი . . . . .                          | 51 |
| <b>პაატა ჭურპვეიძე, ინგა ვევაძე</b>                                          |    |
| ანსამბლი „ბათუმი“ ოცი წლისაა . . . . .                                       | 52 |

|                                                                       |    |
|-----------------------------------------------------------------------|----|
| <b>მისამართი</b>                                                      |    |
| ჩემი სოფელი . . . . .                                                 | 55 |
| <b>თამარ ჯაყელი</b>                                                   |    |
| დედა აჭარას.                                                          |    |
| დანდალოს ხიდი და თამარ მეფე.                                          |    |
| სამშობლო                                                              |    |
| * ** საქართველო, საქართველო . . . . .                                 | 57 |
| <b>გურამ ჩეატარაშვილი</b>                                             |    |
| ქვის ხანის არქეოლოგიური მასალები აჭარისწყლის ხეობიდან . . . . .       | 58 |
| <b>გურამ ველიაძე</b>                                                  |    |
| ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს საზღვაო ინდუსტრიის შესახებ . . . . . | 62 |
| <b>გიორგი რომანაძე</b>                                                |    |
| ზრუნვა                                                                |    |
| ორკესტრი                                                              |    |
| სამი საუკუნე . . . . .                                                | 66 |
| <b>გალვა ველიაძე</b>                                                  |    |
| მთავარია ჩვენ ვაწარმოოთ ხარისხიანი და ბაზარზე გვქონდეს                |    |
| კონკურენტუნარიანი პროდუქცია . . . . .                                 | 68 |
| <b>სერგო სამნიძე</b>                                                  |    |
| მინიატურები . . . . .                                                 | 71 |
| <b>ელაანთ ხიმშიაშვილი</b>                                             |    |
| მენატრები, ჩემო ხულო, ჩემო მიწავ, ჭირნახულო . . . . .                 | 72 |
| <b>გალვა ველიაძე</b>                                                  |    |
| აღვადგინოთ „წყარო ცხოვრებისა“ . . . . .                               | 73 |
| <b>აჭარის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები</b>                 | 74 |

კომპიუტერული უზრუნველყოფა: უზური ველიაძე, დარინა ბეჟანიძე,  
დამკაბადონებელი: ანაიღა ავეტისიანი

ფოტო ოთარ ცინარიძის

უზრნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ. გარეკანის პირველ გვერდზე ლაპლაკიძების  
ღვთისმშობლის ჭედური ხატი, მეოთხეზე – „დიდი ნათლობა“ (სამებაში) უჩამბაში.

დამფუძნებელი: შპს „ლომსიანთა“, ქლ. ფოსტა lomsianta@mail.ru; მ/ო საჯარო  
რეესტრი რ/ნ 447860609; თარიღი 22. 03. 2013; საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი:  
BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE75BG0000000306366200.

რედაქტირის მისამართი: შუახევის რაიონი, სოფელი წაბლანა. ქლ. ფოსტა  
laklaketi 2013@mail.ru ტელ: 591 71 57 70; 577 20 36 28.



უკრნალ „ლაკლაკეთის“ დაფუძნება  
2 დეკემბერი, 2012 წელი.

სურათშე: დამცუმნებლები (სამაცხოვრო ფოტო).

